კვირის პალიტრა

ტომი I

საქართველო
1991-1999

ჩვენი ეპოქა
20 წელი

ხუთტომეული

- ტომი I - 1995-1999
- ტომი II - 2000-2003
- ტომი III - 2004-2007
- ტომი IV - 2008 (08.08.08)
- ტომი V - 2009-2014

ტომი I

„ჩვენ გვქონდა წარსული... გვექნება მომავალი... აწმყოს კი – უნდა გავუძლოთ...“

ლალი გუნთაიშვილი
„კვირის პალიტრის“ მთავარი რედაქტორი

...ისე, როგორც საქართველო. ,

ამქვეყნად რაც გაჩენილა და რასაც უარსებია, ყველას და ყველაფერს აქვს თავისი ბიოგრაფია, წარსული, რომელიც სისხლხორცეულადაა გადაჯაჭვული თანადროულ ეპოქასთან. ეს გაზეთ „კვირის პალიტრასაც“ ეხება... დაბადების დღიდან საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებასთან კავშირში იქმნებოდა და ყალიბდებოდა, თითოეულ მკითხველამდე შიჰქონდა იმ დღეებისა და კვირების, წლების სატკივარ-სასიხარულო ამბები, სიმართლე, რომელიც ასე საჭირო იყო საზოგადოებისთვის. მკითხველის ოდენობამ და ერთგულებამ ცხადყო ამ სიტყვების უტყუარობა.

2015 წლის აპრილში „კვირის პალიტრის“ დაარსებიდან 20 წელი სრულდება. ყველა ნომერში თავმოყრილია ის, რაც აქტუალური იყო იმდროინდელი საქართველოსთვის. ამ გადასახედიდან შეიძლება ბევრი რამ სხვაგვარადაც აღიქვათ, ბევრი შეფასება არაზუსტი მოგეჩვენოთ, მაგრამ ეს იმ დროის ხმაა – მაშინდელი ცხოვრების რიტმში ჩამჯდარი, მაშინდელი საქართველო. მაგრამ ეს ჩვენი რეალობა და უახლესი ისტორიაა, რომელიც ერთად გავიარეთ, ჩვენო მკითხველო!

მედიასახლმა „პალიტრამ“ გადაწყვიტა ხუთ ტომში მოუყაროს თავი საქართველოს მიერ განვლილ 20-წლიან ცხოვრების გზას, რომელიც „კვირის პალიტრის“ ფურცლებზე აისახა. თითოეულ ტომში სხვადასხვა ეპოქა იქნება წარმოდგენილი. პირველი წიგნი „კვირის პალიტრის“ თვალით დანახულ 90-იან წლებს შემოგთავაზებთ, დასაწყისიდან – ბოლომდე, ეს პუბლიკაციები გაზეთში 1995-1999 წლებში გამოქვეყნდა.

გაზეთი „კვირის პალიტრა“ რომ მაქსიმალურად ახლოს იყო თავის ხალხთან და ქართველი ერის წიაღიდან მოჰქონდა თავისი არსებობის ენერგიაცა და მიზანიც, ამას ისიც ცხადყოფს, რომ დასაწყისში, 1995 წელს, პალიტრელებმაც სწორედ ისე დაიწყეს საქმიანობა, როგორი პირობებიც იყო მაშინ მთელ საქართველოში – უსახსროდ და უშუქოდ... ამ ბნელსა და უკუნში ჩანთქმულ წლებს ხელი არ შეუშლია გაზეთისთვის, აღეწერა ობიექტური რეალობა.

„პირველად იყო ფიქრი, ფიქრი წამივით ჩაწვეთებული, მყისიერად მოვლენილი და მერე მიჩუმათებული... ფიქრი ჯერ მცირე დროსა და დიდ პაუზას ითხოვდა, თანდათან იმძლავრა... მარტოობაში აღარ მოუნდა და სხვებთან გაზიარება ითხოვა... ფიქრის ავტორს თანამოაზრენი გაუჩნდა... ფიქრი იგი იყო – გაზეთის გამოშვება, უბინაობა, უმისამართობა, უკომპიუტერობა და უხელფასობა – ეს ყველაფერი იყო, და იყო ერთი ძალიან ლამაზი დღე – 1995 წლის 18 აპრილი... იყო დიდი

მღელვარება, დიდი მოლოდინი და შიში, თქვენთან მოახლებისა, ბატონო მკითხველო“, – წერდა „კვირის პალიტრის“ პირველი მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი...

„ბატონი მკითხველი“ კი თითქმის დაბადების დღიდანვე ენდობოდა „კვირის პალიტრას“...

პირველ ტომში შესული ამონარიდები ძახილია სიბნელეში, სიღატაკესა და განუკითხაობაში ჩავარდნილი საქართველოდან... საქართველოდან, რომელსაც ედემად აღქმული კუთხე აფხაზეთი უკვე ჩამოგლიჯეს! სადაც ჯერ კიდევ სისხლმდინარეა ძმათამკვლელ ომში მიღებული ჭრილობები. პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს ტერაქტებს უწყობენ (1992 წლის ტერაქტი უკვე გავლილია, მაგრამ 1995 და 1998 წლები ჯერ ისევ წინ არის)... სადაც 1989 წელს შექმნილი „მხედრიონის“ საქმიანობა აიკრძალა... სადაც ბნელა და ცივა, მეცხრე ბლოკს კი, რომლის აფეთქებამ და გამორთვამ ლამის სისტემატური ხასიათი მიიღო, ხან შეაჩვენებენ და ხანაც აშარჟებენ. პოლიტიკური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება ნატოსა და ევროსაბჭოს მიმართულებით, იწყება დიდი და საქართველოსთვის ძალიან საჭირო ბაქო-ჯეიჰანის პროექტის განხორციელება...

სხვა რომ არაფერი, მხოლოდ „კვირის პალიტრის“ პუბლიკაციების ამონარიდების გადაკითხვაც კი საკმარისია, რომ გაიაზრო: რამდენი რამ გადათამაშდა, რამდენმა – გაითამაშა, რამდენმა – ითამაშა!

1995 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადდა ახალი ქართული ეროვნული ვალუტა „ლარი“. მიმოქცევაში გავიდა 1, 2, 5, 10, 20, 50 და 100 ლარის ღირებულების ბანკნოტები.

სახელმწიფო ნელ-ნელა იქმნება და იბრძვის არსებობისთვის...

ერთ-ერთ საუბილეო წერილში ქართველ კლასიკოსზე, ოთარ ჭილაძეზე, ითქვა: „ის ცხოვრობს ისე, როგორც საქართველო!“

შეიძლება პირდაპირი შედარებისთვის არც გამოდგეს, მაგრამ მაინც... იმ მძიმე წლებში „კვირის პალიტრაც“ ცხოვრობდა ისე, როგორც საქართველო: ეს ეტყობოდა ფურცელსაც, რომელზეც იბეჭდებოდა, საღებავსაც, იმ სიდუხჭირესაც, რა პირობებშიც სულ რამდენიმე თანამშრომელი ახერხებდა გაზეთის გამოშვებას.

ხუთტომეულის პირველი წიგნიდან კი 1995-1999 წლების საქართველო დაგელაპარაკებათ ზუსტად ისე, იმ სიტყვებით, იმ რიტმითა და სიმართლით, როგორც ამ წლებში სუნთქავდა და ცხოვრობდა... დაგელაპარაკებათ უკვე წარსულიდან... თუმცა, ქვეყნის ისტორიაში არ არსებობს წარსული, რომელიც არ განსაზღვრავს მომავალს და არ გაიძულებთ მეტი სიფხიზლით შეხედოთ ხვალინდელ დღეს...

„კვირის პალიტრა“

18 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ, 1995 ᲬᲚᲘᲡ

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲞᲘᲠᲝᲡ“ ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ

თბილისის ომი

აფხაზეთის ომი

კრიმინალური ქრონიკა

საქართველო ამიერკავკასიის საჭადრაკო დაფაზე

90-იანი წლების თბილისი

თბილისის ომი

ასე დაიწყო...

1991 წლის 22 დეკემბერს თბილისის ცენტრში დაწყებულ ძმათამკვლელ ომს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ქვეყნიდან გაძევება და კანონიერი ხელისუფლების დამხობა მოჰყვა...

21 სექტემბერს ოპოზიცია ტელევიზიის წინ შეიკრიბა. მათ შავნაბადადან ჩამოსული გვარდიაც შეუერთდა

„პატიეცემულო ტელემაყურებელო! სრულიად საქართველოს ყურადღება დედაქალაქისკენ არის მიპყრობილი. უკვე მეორე დღეა, უზენაესი საბჭოს შენობასთან (პარლამენტის შენობა) ე.წ. ოპოზიცია ცდილობს, დაიკავოს ხელსაყრელი პოზიციები კანონიერ ხელისუფლებაზე თავდასასხმელად. ეს სურვილი არავითარ ეჭვს აღარ იწვევს, ვინაიდან მათ რიგებში თანდათანობით მატულობს შეიარაღებული ადამიანების რიცხვი“.

საინფორმაციო გამოშვება, 1992 წლის 21 დეკემბერი

1991 წლის 19 აგვისტოს, როდესაც რუსეთში ГКЧП (საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტი) დამარცხდა, საქართველო დენთის კასრზე აღმოჩნდა – მოსახლეობა უკმაყოფილებას ვერ მალავდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ГКЧП-სადმი თითქოსდა ლოიალობის გამო. გვარდიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელმაც პრეზიდენტის მორჩილებაზე უარი განაცხადა, თავდაცვის მინისტრ თენგიზ კიტოვანის მეთაურობით, რკონში დაბანაკდა.

1991 წლის 2 სექტემბერს კინოს სახლთან ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ტრადიციული საინფორმაციო მიტინგი იყო დანიშნული. ხალხს მოულოდნელად „ომონი" დაერია და მომიტინგეები სასტიკად დაარბია. როდესაც კინოს სახლთან სიტუაცია ჩაწყნარდა, იქ დარჩენილ ხალხს ედპ-ის ლიდერმა გიორგი ჭანტურიამ და ნოდარ ნათაძემ მიმართეს და ხელისუფლების გადადგომა მოითხოვეს.

მალე მიტინგებმა რუსთაველის გამზირზე გადაინაცვლა, პირველად ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერმა ირაკლი წერეთელმა შეკრიბა ხალხი „იმელის" წინ და ბარიკადებიც აღმართა. „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" შტაბის წინ ედპ (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია) მართავდა მიტინგებს, ბარიკადები მათთანაც გამოჩნდა. უზენაესი საბჭოს შენობის წინ კი ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერთა მიტინგები იმართებოდა. მშვიდობიანი დაპირისპირება 20 სექტემბრამდე გაგრძელდა, შემდეგ სამართალდამცავებმა გიორგი ჭანტურია და მისი მეუღლე დააკავეს (თვითმფრინავიდან ჩამოსვეს. მოგვიანებით ირინა სარიშვილი გაათავისუფლეს), რამდენიმე დღეში მათ მია-

თენგიზ კიტოვანი



ჯაბა იოსელიანი

ყოლეს სხვა ოპოზიციონერებიც – გოგა ხაინდრავა, მამუკა გიორგაძე, თემურ ჟორჟოლიანი და სხვები.

21 სექტემბერს ოპოზიცია შეიკრიბა ტელევიზიის წინ, სადაც უკვე რამდენიმე დღე ტელევიზიის თანამშრომელთა მიტინგები მიმდინარეობდა. მათ შავნაბადადან ჩამოსული გვარდიაც შეუერთდა.

ქალაქში მცირე შეტაკებები დაიწყო, უმთავრესად დაპირისპირება გამსახურდიას გვარდიასა და კიტოვანის გვარდიის ჯარისკაცებს შორის ხდებოდა.

სიტუაცია დედაქალაქში ნელ-ნელა მძიმდებოდა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მოლაპარაკება დაიწყო ორივე მხარესთან. შეთანხმებასაც თითქოს მიაღწიეს – თენგიზ კიტოვანის გვარდიას და ვაჟა ადამიას შეიარაღებულ ჯგუფებს თბილისი უნდა დაეტოვებინათ. გარდა ამისა, მიტინგებზე უკვე გაისმოდა საყვედური – კიტოვანი ამ ძალებით ვერაფერს გახდებაო. ამბოხებულმა სარდალმა დედაქალაქი დატოვა და თბილისის ზღვაზე გადაბარგდა.

1991 წლის სექტემბრის მოვლენების შეფასებისას ექსპერტები ფიქრობენ, რომ 2 სექტემბრის დარბევა, ოპოზიციონერების დაპატიმრებები, მიტინგის დარბევა რუსთაველის გამზირზე იყო პრეზიდენტ გამსახურდიას საწინააღმდეგოდ კარგად ჩაფიქრებული და ასევე კარგად განხორციელებული პროვოკაცია, რომ სწორედ 2 სექტემბრით დაიწყო საქართველოში რევოლუციური პროცესი, ხელისუფლების დამხობა კი მხოლოდ დროის საკითხი იყო.

ოქტომბრის მიწურულს დედაქალაქში მდგომარეობა თითქოს ჩაწყნარდა, მაგრამ ამ დროს გახშირდა შეიარაღებული თავდასხმები რუს ჯარისკაცებზე, მკვლელობები. სიტუაცია იმდენად არასახარბიელო იყო, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი დილარ ხაბულიანი იძულებული გახდა, ტელევიზიით გამოსულიყო და ხალხისთვის მიემართა.

1991 წლის შუა დეკემბერში რუსთაველის გამზირზე, პირველ სკოლასთან, სტუდენტების მშვიდობიანი საპროტესტო აქციები დაიწყო, უზენაესი საბჭოს შენობის წინ კი კვლავ გამსახურდიას მხარდამჭერთა მიტინგები გრძელდებოდა.



თენგიზ სიგუა



გიორგი ჭანტურია

21 დეკემბერს, საღამოს, თენგიზ სიგუამ (ყოფილი პრემიერ-მინისტრი) პირველ საშუალო სკოლასთან მორიგი მიტინგი გამართა. მიტინგების გაერთიანება, ზვიადისტებთან ერთობლივი მიტინგის გამართვა, რა თქმა უნდა, საბაბი და ერთგვარი პოლიტიკური ტექნოლოგია იყო, რათა გაემართლებინათ ოპოზიციური მიტინგის მოწყობა მაინცდამაინც იქ, სადაც ხელისუფლების მომხრეები მართავდნენ მიტინგს, რომ, საჭიროების შემთხვევაში, შეტაკება ადვილი ყოფილიყო. ორივე მხარის სიძულვილმა და ფანატიზმმა მწვერვალს მიაღწია.

მიტინგიდან მიტინგზე გადაძახილი საღამომდე გაგრძელდა. ოპოზიციამ სატვირთო მანქანების გათრევა დაიწყო, რომლებითაც ხელისუფლების მხარდამჭერი მიტინგი იყო შემოსაზღვრული.

დილარ ხაბულიანი ვითომ მოსალაპარაკებლად გაიტყუეს და თვალებში მჟავა შეასხეს. ამით ზვიად გამსახურდიას უკანასკნელი სერიოზული მოკავშირე ჩამოაშორეს.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ხელისუფლების ძალით დამხობის გადაწყვეტილება იმ დროისთვის უკვე მიღებული იყო, ხოლო ხაბულიანის განეიტრალება – შემუშავებული გეგმის ნაწილი.

21 დეკემბერს, საღამოს, კიტოვანის გვარდიის ნაწილმა უზენაესი საბჭოს მიმდებარე ტერიტორიაზე, ქაშვეთის ეკლესიის ეზოსთან, სასტუმრო „თბილისთან“, კავშირგაბმულობის სამინისტროსთან, აგრეთვე ამ შენობების სახურავებზე პოზიციების დაკავება დაიწყო. იმ გვარდიელებს შემდგომში სიგუას დაცვად ასაღებდნენ. შთამბეჭდავი დაცვა იყო ტყვიამფრქვევებით და ნაღმსატყორცნებით შეიარაღებული 30-40-კაციანი რაზმი. თავად თენგიზ სიგუა მეგაფონებიან ფურგონში იჯდა და გაჰყვიროდა: „მოვიდა თქვენი აღსასრულის ჟამი!.. მოვიდა თქვენი აღსასრულის ჟამი!!!“ ოპოზიციამ შეძლო გადამწყვეტ მიტინგზე ზვიად გამსახურდია გამოეყვანა, ეს კი ასე მოახერხეს – სიგუას ფურგონიდან დაიწყეს ყვირილი, – თქვენი პრეზიდენტი გაქცევას აპირებს, ამი-

ტომ აეროპორტისკენ გზას ათავისუფლებენო. უზენაესი საბჭოს შენობაში ყოფნა რომ დაედასტურებინა, ზვიად გამსახურდია იძულებული გახდა, მიტინგზე გამოსულიყო. მოულოდნელად ორივე მიტინგზე სიჩუმე ჩამოწვა. ზვიად გამსახურდია უჩვეულოდ მშვიდად ლაპარაკობდა:

– მოვუწოდებ ყველას, განსაკუთრებით ოპოზიციას, არ გადადგას ნაბიჯი, რომელიც სისხლის ღვრას გამოინვევს...

თენგიზ სიგუა გვიან მოეგო გონს: პრეზიდენტო გამსახურდიავ, რა პასუხს გასცემთ ქართველ ხალხს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიმართვასთან დაკავშირებით, რომელშიც დაგმობილი იყო თქვენი ხელისუფლება?

– ეს კითხვა თქვენს არაკომპეტენტურობაზე მეტყველებს. სახელმწიფო დეპარტამენტი არასდროს მიმართავს იმ ქვეყნების ხელისუფლებებს, რომელთა დამოუკიდებლობაც ჯერ ოფიციალურად არ უცნია. აი, ასეთი უმეცარი რომ ხარ, სწორედ ამიტომ გაგათავისუფლე თანამდებობიდან.

– შენი გასათავისუფლებელი არავინ იყო!.. შენი გასათავისუფლებელი არავინ იყო!.. გამსახურდია ცრუპენტელაა, გამსახურდია ცრუპენტელაა, – ისმოდა სიგუას ფურგონიდან. ზვიად გამსახურდია შენობაში შებრუნდა. დაპირისპირება მიტინგებზე გრძელდებოდა. ბოლოს, მხარეები დაიქანცნენ და სულ ცოტა ხანში მიტინგზე მხოლოდ სუსტი შეძახილები ისმოდა...

გიორგი წიქარიშვილი,
„დამარცხებული მოძრაობის ქრონიკა“

ზვიად გამსახურდია: „მოვუწოდებ ყველას, არ გადადგას ნაბიჯი, რომელიც სისხლის ღვრას გამოიწვევს...“

1991 წლის 22 დეკემბერს, დილით, დაახლოებით რვის ნახევარზე, უზენაესი საბჭოს შენობის წინ ტყვია გავარდა... მაშინ მძინარე დედაქალაქში ბევრმა არ იცოდა, რომ თბილისში ომის დღე გათენდა...

„საკუთარ ომს

„უკვე თენდებოდა 22 დეკემბრის დილა, პოლიცია რამდენიმე დღის უძინარი იყო. შტაბში, უზენაესი საბჭოს შენობაში ვიმყოფებოდით. ხალხიც შეთხელდა, წესრიგს ვეღარ ვიცავდით. ამ დროს შემოვიდა ლელე არჩვაძე (მანანა არჩვაძის და) და – რატომ ღალატობთ პრეზიდენტსო, – გვითხრა. დაპირისპირებული მხარეები რომ დაგვეცილებინა, პოლიციამ პიკეტირება დაიწყო, ლოთი ქობალიას (ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსი) ჯარისკაცებმა შეკრება დაიწყეს, ვანო ჭელიძეც იქ იყო, შინაგანი ჯარების სარდალი, და ყველას აფრთხილებდა, იარაღი არ იხმაროთო. ამ დროს ხელისუფლების გვარდიელებმა ჰაერში სროლა დაიწყეს, – ოპოზიციის მომიტინგეები შეშინდებიან და დაიშლებიანო. სიგუას დაცვის 15-კაციანმა ჯგუფმა ჰაერში სროლითვე უპასუხა. ტყვიები ასფალტსაც ხვდებოდა. ორი ტყვიით დავიჭერი და დეპუტატმა ჯემალ გოლეთიანმა საავადმყოფოში წამიყვანა. ამის შემდეგ ვინ

ტელევიზიასთან გამართულ მიტინგზე თენგიზ კიტოვანი იმუქრებოდა: „ჩვენ ვიბრძოლებთ ბოლომდე, სანამ არ დავამხობთ სატანას“

„22 დეკემბერს, ომის პირველ დღეს, ციცინო ქევხიშვილის გარდა, ბრმა ტყვიას პოლიციელი ხვიჩა ესებუაც ემსხვერპლა. დილას რუსთაველის გამზირზე საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა. ამბოხებულთა შტაბი სასტუმრო „თბილისში" განლაგდა. თავისუფლების მოედანი ვაჟა ადამიას შეიარაღებულ ჯგუფებს ჰქონდათ გამაგრებული და იქიდან უტევდნენ უზენაესი საბჭოს შენობას, საღამოს სროლები უკვე კოლმეურნეობის მოედანსა და სანაპიროზეც მიმდინარეობდა.

რუსთაველზე ომის პარალელურად, ორთაჭალაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს წინ, პრეზიდენტის მხარდამჭერთა მიტინგები მიმდინარეობდა. შეკრებილები პოლიციას ხელისუფლების დაცვისკენ მოუწოდებდნენ, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტროს დიდმოხელეები საქმეში ჩარევას არც ფიქრობდნენ. თბილისში კარგად იცოდნენ, რომ პოლიციას კიტოვანის გვარდიელები და ჯაბა იოსელიანის „მხედრიონი" თვალში არ მოსდიოდა, თუმცა, ისიც იცოდნენ, რომ გამსახურდიას ხელისუფლებას დიდი დღე არ ეწერა; ამიტომ პოლიცია პრეზიდენტის მხარდაჭერას არ ჩქარობდა, რადგან ოპოზიციის გამარჯვების შემთხვევაში მათ საკნების ხეხვა არ ასცდებოდათ. ამ დროს კი, მიუხედავად უამრავი მცდელობისა, ამბოხებულები მთავრობის სახლს ვერ იღებდნენ..."

გიორგი ნიქარიშვილი,

„დამარცხებული მოძრაობის ქრონიკა"

23-24 დეკემბერს მთავრობის სახლში გამაგრებულ პრეზიდენტ გამსახურდიას ამბოხებულებმა თბილისის დატოვება და აჭარაში გამგზავრება შესთავაზეს. მოლაპარაკებას თენგიზ სიგუა წარმართავდა და გამსახურდიას გარანტიას აძლევდა, რომ პირადად გაჰყვებოდა მას და შვეულმფრენით უსაფრთხოდ ჩაიყვანდა აჭარაში. როგორც ამბოხებულები აცხადებდნენ, პრეზიდენტი ერთხანს თითქოს თანახმაც იყო, თუმცა, მერე რატომღაც გადაიფიქრა – ეს მხო-

საით ისროდა, გაკონტროლება ძნელი იყო. კიტოვანის გვარდიის ნაწილები თბილისის ზღვიდან ჩამოვიდნენ, შეიარაღდნენ რიგითი თბილისელებიც"

რომან გვენცაძე (შინაგან საქმეთა მინისტრი)

„იმ დროისთვის უზენაესი საბჭოს შენობაში 2000-მდე შეიარაღებული პოლიციელი და ლოთი ქობალიას რაზმი იყო, კიტოვანის მხარეს — 200-300 შეიარაღებული კაცი"

დავით ზეიკიძე (თბილისის პოლიციის უფროსი)

ხელისუფლების მომხრეებმა სასტუმრო „თბილისთან" ოპოზიციის ტანკი ააფეთქეს



ასე გამოიყურებოდა პირველი საშუალო სკოლის დამწვარი შენობა

ლოდ ჩემი გადასაწყვეტი არ არისო. ერთი ვერსიით – გამსახურდია გარემოცვამ დაარწმუნა, რომ მთავრობის სახლს ოპოზიცია ვერ აიღებდა. რუსთაველზე საბრძოლო მოქმედებების დროს ტყვია-წამალი ორივე მხარეს აკლდა.

...დეკემბრის დღეებში, როდესაც რუსთაველზე საბრძოლო მოქმედებები არ წყდებოდა, თბილისი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა, საღამოობით კი რუსთაველზე გამართულ ბათქაბუთქს ათასობით მაყურებელი ჰყავდა, გარეთ დარჩენილი „მხედრიონის" წევრები კი ოპერის ბაღში შიმშილობას აგრძელებდნენ.

26-27 დეკემბერს პრეზიდენტის გვარდიამ კონტრშეტევით რუსთაველის გამზირი თითქმის გაათავისუფლა, ამბოხებულთა შტაბი სასტუმრო „თბილისიდან" „იმელის" შენობაში გადავიდა, თბილისის ზღვიდან უკანასკნელი ტყვია-წამალიც ჩამოიტანეს. ცხადი გახდა, რომ დახმარების გარეშე ამბოხება კრახით დამთავრდებოდა.

„თბილისის ომს მეტი მაყურებელი ჰყავდა, ვიდრე მონაწილე. სხვა ნიშნებითაც, ეს იყო უცნაური და განსხვავებული ომი. მახსოვს, ცნობისმოყვარეებს შორის ვიდექი რუსთაველის თეატრის წინ, როცა ვერის მხრიდან შვეულმფრენი გამოჩნდა, რომელზეც ვეებერთელა ავზი იყო ჩამოკიდებული. ავზი იმხელა იყო, რომ ხალხმა მაშინვე რაღაც სისულელეებზე დაიწყო ლაპარაკი. ვიღაცამ თქვა, – ალბათ, ვერელების „ვერტალიოტიაო", ვიღაც იქვე შეეკამათა კიდეც, – ვერელებისა კი არა, ჩემი ახლობელი ვაკელების არის და „რულთან" ბუბა კიკაბიძე ზისო. შვეულმფრენის შტურვალს ვინ მართავდა, ვერ ვხედავდით, მაგრამ ნათელი იყო, რომ კარგი არაფერი ხდებოდა (ის ავზი პარლამენტსა და პირველი სკოლის შუა ჩამოაგდეს. კიდევ კარგი, რომ არ აფეთქდა, რადგან როგორც მერე გავიგეთ, საწვავით იყო სავსე და პარლამენტის აფეთქებას აპირებდნენ, თუმცა, მსხვერპლი უამისოდაც დიდი იყო, რაც მთავარია, ომი წაგებული ჰქონდა ორივე მხარეს, რადგან შენს ომში ყოველთვის შენ აგებ და არა სხვა, საკუთარ ქვეყანას ომს ვერასდროს მოუგებ)".

დათო ტურაშვილი,
„იყო და არა იყო რა"

„სისხლიანი კლოუნადა“

1991 წლის 24-28 დეკემბერს, როცა შეიარაღებული ოპოზიცია კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი იარაღით და ცოცხალი ძალით დაეხმარა გადატრიალების ორგანიზატორებს.

„28 დეკემბერს კიტოვანს ამიერკავკასიის სამხედრო შტაბიდან დაეხმარნენ, ამჯერად ტელეანძის ასაღებად. ბრძოლაში მონაწილეობდა რამდენიმე ათეული საბჭოთა ჯარისკაცი. საერთოდ, თბილისის ომი შეიძლება ჩაითვალოს საბჭოთა არმიის უკანასკნელ ოპერაციად, რადგან 31 დეკემბერს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საბჭოთა ჯარები რუსეთის ჯარებად გადაკეთდა“.

სპარტაკ ჟიდკოვი, „მცირე იმპერიის ნახტომი“



ომის შედეგად დაინგრა და გადაიწვა ქალაქის ცენტრში მდებარე რამდენიმე შენობა, მათ შორის პარლამენტის შენობაც

„ქართულ ეროვნულ მოძრაობას ხელები სისხლით აქვს მოსვრილი და საეჭვოა, რომ მან ოდესმე ამ სისხლის ჩამობანა შეძლოს“

აკაკი ბაქრაძე, სატელევიზიო გამოსვლიდან, 1992 წლის იანვარი

1991 წლის 27 დეკემბერს ორთაჭალის საგამოძიებო იზოლატორში ხანძარი გაჩნდა. იმავე საღამოს ოპოზიციამ შეძლო ციხიდან ჯაბა იოსელიანის და სხვა პოლიტპატიმრების გათავისუფლება. პოლიტიკოსებთან ერთად იზოლატორი ასამდე მხედრიონელმა და მათთან ერთად სხვადასხვა ჯურის დამნაშავემაც დატოვეს.

27 დეკემბერს შეიარაღებული ოპოზიციის რიგებში რუსი ჯარისკაცები და სამხედრო ტექნიკა გამოჩნდა, ხოლო „მხედრიონი“ 28 დეკემბრიდან ჩაერთო კონფლიქტში.

„1991 წლის 27 დეკემბერს მთავრობის სახლის წინ რამდენიმე რუსი ჯარისკაცი ტყვედ აიყვანეს. მე და ჯონი ფირცხალაიშვილი წავედით ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელ გენერალ ბეპაევთან (გენერალი პატრიკეევი მაშინ შვებულებაში იყო). ბეპაევს პროტესტი განვუცხადეთ რუსი სამხედრო მოსამსახურეების პუტჩში მონაწილეობის გამო და რუსეთს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობა მოვთხოვეთ. ბეპაევი ყურადღებით გვისმენდა, შემდეგ მშვიდად გვიპასუხა, – ეს გადაწყვეტილება ჩემმა მთავარსარდალმა, ბორის ელცინმა მიიღო. მესმის, რომ ესენი (ამბოხებულები) კრიმინალური ბანდები არიან (ზუსტად მაშინ შეატყობინეს, რომ ერთ-ერთი დივიზიის მეთაური ყაჩაღური თავდასხმის მსხვერპლი გახდა და მძიმედ იყო დაჭრილი), მაგრამ მე მაქვს ბრძანება, დავეხმარო პუტჩისტებს, როგორც თქვენ ეძახითო“.

ვიქტორ დომუხოვსკი (უზენაესი საბჭოს ნევრი), ვარშავა, 2001 წ.

29 დეკემბერს ბესო ქუთათელაძე ოპოზიციის მხარეზე გადავიდა. ტელეანძის დამცველი ფიქრობდა, რომ ამდენი სისხლის ღვრა და წინააღმდეგობა უკვე უაზრობა იყო.

მეცნიერებათა აკადემიის შენობაში კი სიგუას, კიტოვანისა და ჯაბა იოსელიანის შეთანხმებით, სამხედრო საბჭო დაფუძნდა. სამხედრო საბჭომ თენგიზ სიგუას დროებითი მთავრობის შექმნა დაავალა.

რუსთაველის გამზირზე ქვემეხები გუგუნებენ...

ზვიადი გაიქცა... ოპოზიცია „ტირანზე" გამარჯვებას ზეიმობს

რუსთაველის გამზირზე ომი კვლავ გრძელდებოდა, ქალაქის კინოთეატრები კი საახალწლო კინოჩვენებებისთვის ემზადებოდნენ. 31 დეკემბერს რუსთაველის გამზირზე მთელი დღე მოკლელულიანი ქვემეხები გუგუნებდნენ. გვიან ღამით სროლა თითქოს მიწყნარდა კიდეც.

3 იანვარს დიდუბის მეტროსთან რამდენიმეათასკაციანი მიტინგი გაიმართა. მშვიდობიან მომიტინგეებს კვლავ გაუხსნეს ცეცხლი, დაიღუპა 5 ახალგაზრდა და დაიჭრა 25 კაცი.

სამხედრო საბჭომ გამსახურდიას ხელშეუხებლობისა და თბილისის უვნებლად დატოვების პირობა მისცა. 1992 წლის 6 იანვარს, ღამით, ზვიად გამსახურდიამ მთავრობის სასახლე დატოვა.

როდესაც ყოფილი პრეზიდენტის კოლონა მეტეხის ხიდზე გადადიოდა, გამსახურდიას მანქანა გაატარეს, ხოლო ავტობუსს ცეცხლი გაუხსნეს.

„მთავრობის სასახლიდან რომ გამოვედით, ჯერ გათენებულიც არ იყო. ისევ ბნელოდა. ავტობუსში ჩავსხედით, რომელიც ხალხით ისე იყო გაჭედილი, განძრევაც არ შეიძლებოდა. ჩემ გვერდით დეპუტატი ირინე ტალიაშვილი იჯდა“.

ნემო ბურჭულაძე

(უზენაესი საბჭოს წევრი)

ჯაბა იოსელიანმა მოგვიანებით აღიარა, რომ ყოფილი პრეზიდენტისა და მისი მომხრეებისთვის ცეცხლის გახსნა დიდი შეცდომა იყო.

„ეს იყო შეცდომა, რადგან, როცა კაცს ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევ და კაცურად ჰპირდები, უსაფრთხოდ დატოვებ ქვეყანასო, უნდა შეასრულო! იმ ავტობუსში ქალები და ბავშვები იყვნენ, პრეზიდენტს თავი რომ დავანებოთ“.

ჯაბა იოსელიანი

„დაცხრილულ ავტობუსში თითზე ჩამოსათვლელნი გადავრჩით. როგორც იყო, იქიდან ჩამოვედით და იქვე ახლოს, სარდაფს შევაფარეთ თავი. ალბათ, 7-ის ნახევარი იქნებოდა, რომ შეიარაღებული ახალგაზრდები შემოიჭრნენ. მე, ნემო ბურჭულაძე, ტარიელ გელანტია და ბორის კალანდია დაგვაპატიმრეს და წაგვიყვანეს მეცნიერებათა აკადემიის შენობაში, სადაც პუტჩის მოთავენი იყვნენ“.

ირინე ტალიაშვილი

(უზენაესი საბჭოს წევრი)

დევნილი პრეზიდენტი თავშესაფრის იმედით აზერბაიჯანში გადავიდა. თუმცა, პრეზიდენტმა მუთალიბოვმა, „მეზობლების“ განაწყენების შიშით, მას ტერიტორიის დატოვება მოსთხოვა. ზვიად გამსახურდია იძულებული გახდა, სომხეთში გადასულიყო.

პოლიტიკური პარტიის ლიდერები სამხედრო საბჭოს სომხეთში მყოფ ზვიად გამსახურდიას დაპატიმრებას სთხოვდნენ, გენერალურ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეც აღიძვრა დევნილი პრეზიდენტის წინააღმდეგ.

ზვიად გამსახურდია სოხუმიდან ჩაფრენილი თვითმფრინავით გროზნოში გაფრინდა...

1992 წლის 7 იანვარს შეიარაღებული ოპოზიცია უზენაესი საბჭოს შენობაში შევიდა და „ტირანზე“ გამარჯვება იზეიმა.

სწორედ ამ დღეს დამთავრდა თბილისის ომი.

იმავე დღეს, 7 იანვარს, მთავრობის სასახლიდან გასული გამსახურდიას 30-მდე გვარდიელი ზუგდიდში, შინ ბრუნდებოდა. ნატახტართან მათ ავტობუსს კიტოვანის გვარდიელებმა ცეცხლი გაუხსნეს. ავტობუსში მყოფთაგან მხოლოდ რამდენიმე გადარჩა.

თბილისის ომი დასრულდა, თუმცა, არ დასრულებულა სამოქალაქო დაპირისპირება...

დახვრეტილი მიტინგები

1992 წლის 3 იანვარს, ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც მთავრობის სასახლესთან ბრძოლები მიდიოდა, თბილისის ქუჩებში მრავალი ათასი უიარაღო მშვიდობიანი მომიტინგე გამოდიოდა კანონიერი ხელისუფლებისა და თავისი არჩევანის მხარდასაჭერად.

ციხეებიდან ახალგამოშვებულმა კრიმინალებმა და „მხედრიონმა“ მშვიდობიანი და უიარაღო მიტინგების დახვრეტის ბრძანება მიიღეს და დიდუბის მეტროსთან მიმდინარე მიტინგს ტყვია დაუშინეს...

იმ დღეს 34 ქართველის სისხლი დაიღვარა, მათგან – 5 მოკლულია, 29 – დაჭრილი.

ზვიად გამსახურდიას მომხრეთა დარბევა-დახვრეტა მთელი თვე გრძელდებოდა...

1992 წლის 2 თებერვალს, როდესაც ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი სახალხო გამოსვლა შედგა კანონიერების აღდგენის მოტივით, ყველაზე სისხლიანი დღე უწოდა ქართველმა ხალხმა. მასობრივი მშვიდობიანი საპროტესტო მსვლელობა ვაგზლის მოედნიდან ქალაქის ცენტრისაკენ მიემართებოდა. ცირკის მისადგომებთან ხალხის მასას სამხედრო საბჭოს მიერ მობილიზებული შეიარაღებული რაზმი დახვდა და მიმდებარე ფერდობებიდან ტყვია დაუშინა. ხალხი ვაგზლის მოედნისკენ გაბრუნდა, მაგრამ კინოსტუდიასთან მას კვლავ დახვდნენ შეიარაღებული პირები და მსვლელობის მონაწილეები იძულებული გახდნენ ტყვიების ზუზუნში გადაენაცვლათ აღმაშენებლის პროსპექტზე... მარჯანიშვილის მოედანზე დემონსტრაციას კიდევ ერთხელ ესროლეს და დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები...

1992 წლის 2 თებერვალს სამართალდამცავი ორგანიზაციების მონაცემებით, მოკლული იქნა 23 და დაჭრილი 183 მომიტინგე. დახვრეტილთა შორის იყო მედროშე, 16 წლის მამუკა ტერაშვილი...

საქართველო ფართომასშტაბიანი სამოქალაქო ომის ზღვარზე იდგა. შემდეგ დატრიალებულმა მოვლენებმა ბევრს გაახსენა გამსახურდიას სიტყვები:

„მე დაგიხატავთ ჩემი პოსტიდან წასვლის შემდგომ თბილისს: თბილისი გადაიქცევა რამდენიმე უბნად დანაწევრებულ ქალაქად, სადაც იქნება თითო შეიარაღებული ხელისუფლება, შეიარაღებული ბანდები და მათი ხელმძღვანელები, მათ შორის იქნება მუდმივი ბრძოლა ძალაუფლებისა და ზეგავლენისთვის. იქნება მოსახლეობის არნახული ძარცვა, არნახული დარბევა, მოიშლება ყველაფერი – ელექტროენერგია, გაზი, კომუნიკაციები... საქართველო გახდება მსხვერპლი ტოტალური ანარქიისა და საერთოდ საქართველოს არსებობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ“.

ზვიად გამსახურდია,
1991 წლის 8 ოქტომბერი

ქვეყნისათვის ამ საბედისწერო მოვლენებმა განაპირობა საქართველოს უახლესი ისტორიის ავბედითი განვითარება (ზვიად გამსახურდიას შემდგომ ბედზე, გარდაცვალების ვერსიებსა და მისი ნეშტის სამშობლოში დიდებით დაბრუნებაზე გამოცემის შემდგომ ტომებში მოგითხრობთ).

„ჩამოიყვანეთ

1992 წელს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ, რომლის წევრები იყვნენ თენგიზ კიტოვანი, ჯაბა იოსელიანი და თენგიზ სიგუა, ედუარდ შევარდნაძე საქართველოში მოიწვია და სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელობა შესთავაზა. ამ პროცესებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა „მხედრიონის" ლიდერმა ჯაბა იოსელიანმა.

თენგიზ სიგუა: „1992 წლის 27 თებერვლამდე შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების წინააღმდეგი ვიყავი, რადგან საზოგადოებრივი აზრი არ იყო მზად საამისოდ. გახსოვთ, როგორი პროპაგანდა მიდიოდა პრესასა და ტელევიზიაში მის წინააღმდეგ. ფაქტობრივად, მისი რეიტინგი ნულის ტოლი იყო. გამსახურდიას წასვლის შემდეგ კი დაიწყო საშინელი შინააშ-

1992 წელი. ედუარდ შევარდნაძე საქართველოში ჩამოიყვანეს. მარცხნივ გენერალ-მაიორი თენგიზ ეპიტაშვილი

ლილობა თბილისსა და დასავლეთ საქართველოში და ამ დროს შევარდნაძის ჩამოსვლა ცეცხლზე ნავთის დასხმა იქნებოდა. არადა, ძალიან სერიოზულ ძალებს უნდოდათ მისი ჩამოყვანა და დღე არ გავიდოდა, დელეგაცია არ მოსულიყო ჩემთან თხოვნა-მოთხოვნით: „ჩამოიყვანეთ შევარდნაძე!" მოკლედ, გაუთავებელი ზეწოლა იყო ჩემზე და, ამის გარდა, შევარდნაძის ჩამოყვანაზე ერთმა მნიშვნელოვანმა ფაქტორმა მიმაღებინა გადაწყვეტილება. თვეში ორჯერ, ჩემი განკარგულებით, მეცნიერები აწყობდნენ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას და უკვე ამ პერიოდში იკვეთება იმის ნიშნები, რომ ხალხი რწმუნდებოდა: თუ დიდი საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე ქართველი პოლიტიკოსი დაბრუნდებოდა საქართველოში, ის აუცილებლად მიხედავდა ქვეყანას. ახლა გაჩვენებთ მაშინდელი სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგებს: 1992 წლის იანვარი. პირველ ადგილზეა აკაკი ბაქრაძე. რეიტინგის კოეფიციენტი – 67%... მე-14 ადგილზე – შევარდნაძე 37%-ით. მე-15-ზე გამსახურდია – 31%-ით. თებერვალში შევარდნაძის რეიტინგი ხდება 59%, ბაქრაძის – 69%. შევარდნაძე 1992 წლის 7 მარტს ჩამოვიდა და მისმა რეიტინგმა აპრილში 72%-ს მიაღწია. მოსახლეობას მისი სჯეროდა და ვინ ვიყავი მე, რომ უარი მეთქვა მის ჩამოსვლაზე"

„კვირის პალიტრა" №29, 1997 წ.

„მე სამშობლოში დავბრუნდი მთელი ჩემი განვლილი გზით, დამსახურებითა და ძეცდომებით, მთელი ჩემი ტვირთითა და პოლიტიკური კაპიტალით. ყველაფერი, რაც გამაჩნია, რასაც შევქმნი და რასაც დავწერ, საქართველოს ეკუთვნის! დავბრუნდი იმისათვის, რომ აღარასოდეს დავტოვო ჩემი ქვეყანა!"

ედუარდ შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი"



მომიტინგეებმა რუსთაველის პროსპექტზე ბარიკადები აღმართეს

მსხვერპლი სჭირდება...

1993 წლის 14 სექტემბერს შევარდნაძემ პოსტიდან გადადგომა გადაწყვიტა. საქმე ის იყო, რომ შოთა კვირაიას უწყებაში (უშიშროების სამინისტრო) დაგეგმილი გასაიდუმლოებული სპეცოპერაცია, რომელიც ითვალისწინებდა რუსთავში მხედრიონელთა 120-კაციანი ჯგუფის განადგურებას, ვიღაცამ გაყიდა. ამას მოჰყვა განრისხებული ჯაბა იოსელიანის გამოსვლა პარლამენტის სხდომაზე და სახელმწიფოს მეთაურის, ედუარდ შევარდნაძის გადადგომა-გადმოდგომა. ხალხმრავალ მიტინგზე მოქალაქეებმა შევარდნაძეს დაუჩოქეს და დარჩენა სთხოვეს. პრეზიდენტს არ გასჭირვებია ამ თხოვნის შესრულება.

1991-92 წლების მოვლენებმა მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მრავალი ქართველი თანამოძმის ხელით გამოესალმა წუთისოფელს. გია აბესაძემ, ნიჭიერმა ექიმმა და პატრიოტმა, უშურველად გაიღო სიცოცხლე, რათა გაემთლიანებინა და გონზე მოეყვანა გათიშული ერი. გიას გულწრფელად სჯეროდა, რომ მისი ქმედება შეაჩერებდა სამოქალაქო ომს, 1991 წლის 21 სექტემბერს გია აბესაძე რუსთაველის პროსპექტზე ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის ჩადგა, პროტესტის ნიშნად ბენზინი გადაისხა და თავი დაიწვა. სიკვდილის წინ წერილი დატოვა: „თუ ქართველთა შერიგებას და საქართველოს აღორძინებას მსხვერპლი სჭირდება, დაე, ეს მსხვერპლი მე ვიყო. ღმერთმა ქნას – ბოლო. შვილო, მაპატიე, ვიცი, რომ გამიგებ"...

„კვირის პალიტრა" №7, 1999 წ.

1991 წლის 21 სექტემბერს გია აბესაძე რუსთაველის პროსპექტზე ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის ჩადგა, პროტესტის ნიშნად ბენზინი გადაისხა და თავი დაიწვა...

აფხაზეთის ომი

...მერე იყო აფხაზეთის ომი

(1992 წლის 14 აგვისტო 1993 წლის 27 სექტემბერი), სოხუმის დაცემა, შედეგი სავსებით ლოგიკური და სავალალო – რბევა, ნგრევა, უამრავი მსხვერპლი, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობა, საკუთარ სამშობლოში დევნილად ქცეული ათასობით ქართველი და... დაკარგული აფხაზეთი.



გასროლა ოხურეისთან... 14 აგვისტოს აფხაზეთში ომი დაიწყო

1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში ომი დაიწყო და 13 თვეს გასტანა. საომარი მოქმედებების დროს დაიღუპა 20 000-30 000 ეთნიკური ქართველი, ხოლო 300 000-მდე დევნილად იქცა.

„საქართველოს რკინიგზაზე, ძირითადად, აფხაზეთის მონაკვეთზე, იყო ტვირთების განუკითხავი ძარცვა. აგვისტოს დასაწყისისთვის დათვლილი იყო 12 მილიარდი მანეთის ზარალი, საიდანაც 4 მილიარდი ღირებულების ტვირთი სომხეთს ეკუთვნოდა“.

თენგიზ სიგუა (სამხედრო საბჭოს წევრი), 1992 წ.

„საქართველოს პოლიცია ყველა ღონეს იხმარს, წელს ზევით გავშიშვლდებით, შიშვლები შევცვივდებით და ამ ბანდფორმირებებს აფხაზეთში შავ დღეს დავაყრით“.

რომან გვენცაძე (შინაგან საქმეთა მინისტრი), 1992 წლის აგვისტო

1989 წლის 17 ივლისს სოხუმში ქართველ მოსახლეობასა და აფხაზ ნაციონალისტებს შორის შეტაკება მოხდა. არეულობის დროს დაიღუპა 16, დაიჭრა 140 კაცი, მათი უმრავლესობა ქართველები იყვნენ. სოხუმში ქართველ მოსახლეობაზე თავდასხმამ სისტემატური ხასიათი მიიღო. 1992 წელს აფხაზეთში სიტუაცია უკვე აფეთქების ზღვარზე იდგა. საქმე იქამდე მივიდა, რომ აფხაზურმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა ივლისში ადმინისტრაციული შენობები დაიკავეს, 1992 წლის 23 ივლისს ვლადისლავ არძინბას ხელისუფლებამ აფხაზეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა და აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს კონსტიტუციის მოქმედება შეაჩერა.

მძიმე სიტუაცია იყო დასავლეთ საქართველოშიც – დამშეული მოსახლეობა პერიოდულად რუსეთიდან მომავალ მატარებლებს აყაჩაღებდა და ტვირთს იტაცებდა. სომხეთისთვის განკუთვნილი ტვირთების დატაცებით ხელს ითბობდნენ შეიარაღებული სამხედრო ფორმირებებიც, რომლებიც დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში მრავლად იყვნენ. სომხეთის მთავრობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა საქართველოს რკინიგზაზე შექმნილი მდგომარეობის გამო. საქართველოს სახელმწიფო საბჭომ მიიღო რკინიგზის დაცვის გადაწყვეტილება. ცენტრალურმა ხელისუფლე-

ბამ მოახერხა, დაერწმუნებინა არძინბა, რომ მას აფხაზეთის ტერიტორიაზე რკინიგზის მონაკვეთის დასაცავად ქართული პოლიციის 300-კაციანი შეიარაღებული ჯგუფი შეეშვა.

1992 წლის 14 აგვისტოს, დილით, ვლადისლავ არძინბამ დაურეკა გალის რაიონის გამგებელს, რუდიკ ცატავას და გააფრთხილა, – დახვედროდა ქართულ შეიარაღებულ შემადგენლობას და ოჩამჩირემდე გაეცილებინა, სადაც კოლონას უკვე ოჩამჩირის გამგებელი დახვდებოდა. მაგრამ მოვლენები სულ სხვანაირად წარიმართა...

რუდიკ ცატავა და შევარდნაძე გალის სამურზაყანოს ბატალიონის ტრაგედიაზე ლაპარაკობენ. წინაღამეს ამ ბატალიონის რამდენიმე მებრძოლი ერთად ამოწყდა

„ჩვენ ვიცოდით, რომ თბილისიდან შეიარაღებული კოლონა მოდიოდა, თუმცა, არც კი გვიფიქრია, რომ ისინი შემოვიდოდნენ (სამურზაყანოში), რადგან, თუ საქართველოს მაშინდელ სიტუაციას გავაანალიზებთ, ხელისუფლება სამეგრელოს რეგიონში სახელმწიფო სტრუქტურების გაძლიერებით უფრო უნდა ყოფილიყო დაინტერესებული, ვინაიდან ამ რეგიონს ცენტრალური ხელისუფლება უკვე ველარ იმორჩილებდა, თანაც სწორედ სამეგრელოში იტაცებდნენ სარკინიგზო ტვირთებს. აფხაზეთში მდგომარეობა ძალიან დაძაბული იყო, თუმცა, კრიზისის დაძლევის შესაძლებლობა ჯერ კიდევ მთლიანად არ იყო ამოწურული. ამიტომ, რას ვიფიქრებდით, თუ პრობლემის მოსაგვარებლად ომი დაიწყებოდა...

ცოტა ხანში სამეგრელოში გაჩნდნენ გამსახურდიას მხარდამჭერთა მთელი საჯარისო ფორმირებები, ზუგდიდში უკვე იყო ლოთი ქობალია, თავისი ე.წ. გვარდიით, გალის რაიონის სოფელ რეჩხში დაბანაკებული იყო ე.წ. გალის ბატალიონი. ვფიქრობდით, რომ თბილისიდან მომავალ კოლონას სამეგრელოში წინააღმდეგობა შეხვდებოდა. როგორც მოგვიანებით გავიგეთ, კოლონა ზუგდიდთან გააჩერეს და მხოლოდ მოლაპარაკების შემდეგ დართეს ქალაქის გავლის ნება. კოლონის მეთაურებმა „ზვიადისტები“ დაარწმუნეს, რომ ისინი მათ „ჭკუის სასწავლებლად“ კი არ მოდიოდნენ, არამედ უფრო დიდი საქმე ჰქონდათ გასაკეთებელი – აფხაზეთი უნდა აეღოთ. შემდეგ ერთი საინტერესო ფაქტი მოხდა: სამხედრო კოლონამ ენგურის ხიდი კი არ გაიარა, სოფელ თაგილონთან ფონით გადმოვიდა გალის რაიონის ტერიტორიაზე. გალში მოსახლეობა ქართველებს ზეიმით ხვდებოდა. მახსოვს, კოლონიდან ხალხს უყვიროდნენ, – სოხუმში მივდივართო. ქართული შეიარაღებული ნაწილები გალში ისე შემოვიდნენ, რომ ენგურზე მდგარმა აფხაზებმა ვერაფერი გაიგეს. კოლონამ ქალაქის ცენტრალური ქუჩა გაიარა და გზა ოჩამჩირისკენ განაგრძო, გამგეობის შენობაში არც შემოსულან. ყველა გაკვირვებული ვიყავით, ორიოდ საათის შემდეგ გავიგეთ, რომ სოფელ ოხურეისთან (ოჩამჩირის რაიონი) ქართულ შეიარაღებულ ნაწილებს აფხაზებმა ცეცხლი გაუხსნეს. დაახლოებით ერთ საათში გალში ქართული კოლონის მეთაურებმა 30 აფხაზი სამხედრო მოიყვანეს და გალის პოლიციის უფროსს ჩააბარეს. ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა (დევი

ქანკოტაძემ) პოლიციის უფროსს უთხრა, – ეს ხალხი სამხედრო ტყვეებია. ღმერთი არ გაგიწყრეთ და არ გაათავისუფლოთ, თორემ მთელ სამსახურს სამხედრო ტრიბუნალი არ აგცდებათო. როდესაც მან სამხედრო ტყვეები ახსენა, ცხადი გახდა, რომ საომარი მოქმედებები იყო დანყებული. წასვლის წინ დევი ქანკოტაძემ წაიტრაბახა, – საღამოს არძინბას ტანკით ავუვარდებით სახლშიო. სიტუაცია ძალიან გაურკვეველი იყო"

გალის რაიონის სამართალდამცავი სამსახურის ყოფილი მოხელე

...და ხვალ იყო ომი

14 აგვისტოს, საღამოს, აფხაზმა სამხედრო ტყვეებმა გალის პოლიციიდან გაქცევა მოახერხეს – ფანჯრიდან გადაძვრნენ. პოლიცია შეშფოთდა. გაქცეულთა ხელახალი დაკავება პოლიციელებმა მხოლოდ მეორე დღეს შეძლეს (ისინი შემდეგ თბილისში ჩამოიყვანეს და მოგვიანებით ქართველ ტყვეებზე გაცვალეს).

ქართული შეიარაღებული ნაწილები სოხუმისკენ დაიძრნენ. გულრიფშის რაიონში მათ კვლავ გაუხსნეს ცეცხლი. დაიღუპა რამდენიმე ქართველი პოლიციელი. ბოლოს, აფხაზებმა ტამიშის ხიდი ააფეთქეს და უკან, სოხუმისკენ დაიხიეს. ქართულმა კოლონამ სოხუმში შესვლა გადაიფიქრა და ე.წ. წითელ ხიდთან გაჩერდა. იმ დროისთვის სოხუმს იცავდა 300-კაციანი აფხა-

ზური შეიარაღებული დაჯგუფება, რომლის ხელმძღვანელი იყო აფხაზეთის სამხედრო კომისარი სერგეი ბარი.

სოხუმში ხელისუფლებამ ტელევიზიით საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა.

„სახელმწიფო საბჭოს შეიარაღებული ძალების აგრესიამ დემოკრატიულობის ნიღაბი ჩამოხსნა საქართველოს დღევანდელ ლიდერებს და გამოააშკარავა მათი დამოკიდებულება აფხაზეთის მიმართ. ჩვენთან მხოლოდ ქვემეხებისა და ავტომატების ენით სურთ ლაპარაკი, ამ ძნელბედობის ჟამს მე მივმართავ ყოველ მოქალაქეს, რა ეროვნებისაც უნდა იყოს იგი, დაიცავით აფხაზეთი“.

ვლადისლავ არძინბა, 14 აგვისტო, 1992 წ.

სოხუმში მოხალისეებისგან ქალაქის დამცველი ბატალიონების შექმნა დაიწყო. ქალაქი პანიკამ მოიცვა, სოხუმს ტურისტები და მოსახლეობა ტოვებდნენ. ქართული მხარე ამაოდ ცდილობდა არძინბასთან მოლაპარაკებას.

14 აგვისტოს, გვიან ღამით, საქართველოს დევნილმა ხელისუფლებამ რუსულ ენაზე გაავრცელა მიმართვა: *„შევარდნაძის კრიმინალურ-ფაშისტური ხუნტა, რომელიც საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ომს ეწევა, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას ახალი გენოციდით ემუქრება. მიზეზი კი ის არის, რომ სამეგრელოს მოსახლეობამ მას სამოქალაქო დაუმორჩილებლობა გამოუცხადა, არ უნდა მონაწილეობა ძმათა მკვლელ ომში აფხაზეთში. მოვუწოდებ მსოფლიო თანამეგობრობას, ხმა აიმაღლოს სამეგრელოს დასაცავად და ხელი შეუშალოს ახალი ტრაგედიის დატრიალებას, რომელიც შეიძლება სამოქალაქო ომში გადაიზარდოს, აგრეთვე, გააძლიეროს ძალისხმევა სამშვიდობო გადაწყვეტილების მისაღებად აფხაზეთის კრიზისთან დაკავშირებით“.*

ზვიად გამსახურდია

(საქართველოს პრეზიდენტი დევნილობაში)



სანაპირო ზოლი დაბომბვის შემდეგ

სოხუმის



15 აგვისტოს განთიადში ჩვენებმა მცირერიცხოვანი საზღვაო დესანტი გადასხეს. რამდენიმე ხანში ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა ლესელიძე იერიშით აიღეს და რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ქართული დროშა აფრიალდა.

„წითელ ხიდთან დაბანაკებულ ჩვენს შეიარაღებულ ძალებს მოსახლეობა კარგად შეხვდა – უმასპინძლდებოდნენ, შინაც იწვევდნენ... 15 აგვისტოს, საღამოს, ქალაქში შეიარაღებულებიც გამოჩნდნენ. ჩუმად დადიოდნენ. აფხაზებსა და სომხებს ქალაქიდან ოჯახების გაყვანაში ეხმარებოდნენ, ძირითადად, სოჭისკენ. ქალაქი ნელ-ნელა, მაგრამ მაინც იცლებოდა. სოხუმის ქართველმა მოსახლეობამ ქუჩებში შეკრება დაიწყო. აფხაზები კი ავტორიტეტიან ქართულ ოჯახებში ხალხს გზავნიდნენ, ჩვენთანაც მოვიდნენ და მამას უთხრეს, – ომი რომ დაიწყება, აფხაზები და ქართველები გვერდით დავუდგეთ ერთმანეთს და ეს ფაშისტები ქალაქში არ შემოვუშვათო... მახსოვს, როგორ ყვიროდა გაბრაზებული მამა, – რას მთხოვთ, თუ იცითო... მაღაზიები ცარიელდებოდა – პროდუქტი გაჰქონდათ. ყველას ეშინოდა, რომ მალე შიმში-

„ბიჭები – ვინ სად შეხვდა ომს... ახლა რაღაც ცხოველური ინსტინქტით, თავგანწირვით იხოცებოდნენ საქართველოს მიწისთვის...“

ლობა დაიწყებოდა. აფხაზები ყველგან გაიძახოდნენ, – ომი დაიწყოო... რუსები ამ დროს განზე იდგნენ, არაფერში ერეოდნენ, მხოლოდ სამხედრო სანატორიუმების დაცვა გააძლიერეს და შიგ არავის უშვებდნენ. პორტში შემოვიდა რამდენიმე რუსული გემი, რომლებსაც მოსახლეობა და დამსვენებლები გადაჰყავდა სოჭში.

18 აგვისტოს, როდესაც ქართული ჯარები სოხუმში შემოვიდნენ, ყველა სახელმწიფო ორგანიზაციის შენობა ცარიელი იყო. აღარც მილიცია ჩანდა და აღარც სამხედროფორმიანები. მალე ქალაქში ხმა დაირხა, – არძინბა გუდაუთაშია და მას რუსები იცავენო. 12 საათი იქნებოდა. აივანზე ვიდექი, რომ უეცრად მინისტრთა საბჭოს შენობის თავზე თვალი მოვკარი, როგორ დაეშვა აფხაზური დროშა... მოლოდინში თითქოს ადგილზე გავიყინე... მერე, როდესაც დავინახე, როგორ მიცურავდა ზემოთ საქართველოს დროშა, სხეულში საოცარი სითბო ჩამეღვარა. ერთი სული მქონდა, დროშა აფრიალებულიყო და მეყვირა... ის წამები ჩემთვის საუკუნედ იქცა... როგორც კი დროშა აფრიალდა, სიამაყით აღვსილმა მეზობლებს დავუძახე, ისინი სხვებს ეძახდნენ... ყველანი დროშას შევყურებდით და გვჯეროდა, რომ უკვე ყველაფერი კარგად იქნებოდა. სოხუმში, ძირითადად, ქართველი მოსახლეობა დარჩენილიყო, ამიტომ ქალაქი ერთ მუშტად შეკრული იდგა, აფხაზთა სახლებსაც ვპატრონობდით, რადგან გვეგონა, რომ ეს დროებითი იყო და ცოტა ხანში ისინიც შინ აუცილებლად დაბრუნდებოდნენ".

ალეკო აბულაძე, სოხუმის მკვიდრი

18 აგვისტოს გროზნოში, კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის პარლამენტის საგანგებო სხდომაზე, მიიღეს გადაწყვეტილება – აფხაზეთისთვის სამხედრო დახმარება გაეწიათ. 21 აგვისტოს კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციამ ომი გამოუცხადა საქარ-

საბჭოეთის „უთავო ბელადს“ ქუდი ხელში შერჩა...

თველოს და თავისი შეიარაღებული ძალები აფხაზეთის ტერიტორიაზე გადმოისროლა.

კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის არქივიდან

19 აგვისტოს აფხაზებმა ქალაქი გაგრა დატოვეს. გაგრის კომენდანტად ქალაქის „მხედრიონის“ უფროსი ბადრი ფირცხელანი დაინიშნა. 21 აგვისტოდან აფხაზეთში შემოსვლა დაიწყეს კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის შეიარაღებულმა ძალებმა და მოხალისეებმა. სოხუმში კი, გამწვავებული კრიმინოგენული ვითარების გამო, თავდაცვის სამინისტრომ ერთთვიანი კომენდანტის საათი შემოიღო. სოხუმის კომენდანტად გენერალ-მაიორი გია გულუა დაინიშნა. ქართული შეიარაღებული ნაწილები ისევ ქალაქში რჩებოდნენ.

„სოხუმში ჩამოსვლის დღესვე წითელ ხიდთან აფხაზებმა ნამდვილი ომი გაგვიმართეს. მერე წავედით და საპატიო წრე დაგვარტყმევინეს მინისტრთა საბჭოს მოედანზე. ბიჭებმა, არ ვიცი, თავისი ინიციატივით, არ ვიცი, ვინმეს ბრძანებით, ლენინის ძეგლი ჩამოაგდეს. ერთი-ორი ავტომატის ჯერიც მივაყოლეთ მინისტრების შენობას და მაგათი დედაც... რამდენიმე დღეა, კომპოზიტორების ცნობილ სანატორიუმში ვართ. ძირითადად, მთელი დღე ქალაქში ვსეირნობთ, ღამღამობით კი საგუშაგოებზე გვიწევს მორიგეობა. ქალაქი თითქმის ჩვენია, მაგრამ აფხაზთა ჯგუფები ხან საიდან გამოჩნდებიან, ხან – საიდან. „ბატიას“ (თენგიზ კიტოვანი) ხალხი სოხუმში გრიმიტობს. ამბობენ, სოხუმელები ბატალიონს ქმნიანო და ლამის ხელჩართული ბრძოლა იწყება თბილისურ „სასტავებსა“ და აქაურებს შორის. მოკლედ, ერთმანეთს უკვე კბილების ღრჭენით მივჩერებივართ. სასმელ-საჭმელი ჯერჯერობით არის, თუმცა, ბიჭებს ხანდახან ხელი მაინც წაგვიცდება... იმ დღეს „ვამპირამ“ სანაპიროზე ვიღაცის ღორი მოკლა ავტომატით. შუაღამისას ღორის პატრონები მოცვივდნენ. ასეთი წყევლა აქამდე არც გამიგონია – თქვენ არ ჩადით დედათქვენთან ცოცხლები. პური და ღორი კი არა, სოხუმის მიწა გაჭამოთ ღმერთმაო... მთელი ღამე ტანში მბურძგლავდა. ვინ იცის, სად წამოგვეწევა იმ შავკაბიანი მეგრელი დედაკაცის წყევლა...“

კახა დვალიშვილის („ნიუტონას“) დღიურებიდან, 20-25 აგვისტო, 1992 წ.

2 ოქტომბერი...

„მე ბიჭებთან ერთად მოვედი, რათა ჩვენს ძმებს, აფხაზ ხალხს დავეხმაროთ. შევაჩეროთ ეს გენოციდი, ქართველი ფაშისტების შემოსევა, რომელიც ბინძურმა პოლიტიკოსებმა, ახალგაზრდა ფაშისტებმა და ნარკომანებმა გააჩაღეს... კავკასიური ომი ჯერ არ დანყებულა, ეს მხოლოდ მოთელვაა. ჩემი ბიჭები მზად არიან, თავი გაწირონ თავისუფალი აფხაზეთისთვის, ჩემს რაზმში არიან მოხალისეები, ჩეჩნები, ინგუშები, აფხაზები, ადიღელები – ინტერნაციონალური ჯგუფია. ჩვენ აქამდე უღელტეხილები ფეხით გადმოვიარეთ, ორი დღე მშიერ-მწყურვალნი მოვდიოდით. ძნელი იყო, მაგრამ მიზანი ყველაფერს გიიოლებს. დიახ, გაგრა მე, შამილ ბასაევმა ავიღე!"

შამილ ბასაევი (ჩეჩენი ბოევიკი), 5 ნოემბერი, 1992 წ.

1992 წლის 14 აგვისტოს გაგრაში 350-კაციანი აფხაზური სამხედრო დაჯგუფება შემოვიდა და განთიადის გზის მონაკვეთი გადაკეტა. სავარაუდოდ, გაგებული ჰქონდათ, რომ იგეგმებოდა ქართული სამხედრო დესანტის გადმოსხმა ზღვიდან ლესელიძის მიმართულებით. გაგრაში იმ დროისთვის მხოლოდ ადგილობრივი მილიცია იდგა (გაგრის „მხედრიონი", რომელიც მანამდე სანატორიუმ „თბილისში" შეიკრიბა, ერთი კვირით ადრე შინ გაუშვეს), „მხედრიონმა" მობილიზაცია ორიოდე საათში მოასწრო და კოლხიდის სკოლის შენობაში ქალაქის დასაცავად მილიციის სამსახურებთან ერთად სამხედრო შტაბი შეიქმნა.

პირველი შეტაკება აფხაზ ბოევიკებთან გაგრა-განთიადის გზაზე მოხდა – „მხედრიონის" 40-მდე მებრძოლმა და გაგრელმა მილიციელებმა „წითელ ჯვართან" აფხაზების შეჩერება შეძლეს, თუმცა, მოგვიანებით თბილისიდან მიიღეს ბრძანება, აფხაზური დაჯგუფება უვნებლად გაეტარებინათ გუდაუთისკენ(?!). მომდევნო დღეებში ქალაქში ქართული სამხედრო ნაწილები შევიდნენ. აქ, აგვისტოს ბოლოს, „მხედრიონის" გარდა, იმყოფებოდნენ 101-ე, 102-ე და103-ე ბატალიონები, აგრეთვე შენაერთები: „ავაზა", „შევარდენი", „თეთრი არწივი". 25 აგვისტოს სოხუმში მიღწეულ იქნა შეთანხმება – ქართული მხარე სამხედრო შენაერთებს სოხუმიდან სოფელ ბაღმარანში გაიყვანდა, ხოლო აფხაზები – შეიარაღებულ დაჯგუფებებს ეშერაში; თუმცა, რამდენიმე დღეში ხელშეკრულება დაირღვა. კიტოვანის ბრძანებით, ქართული ჯარები ისევ სოხუმში შევიდნენ და გზა ეშერისკენ გააგრძელეს. ეშერის მიდამოებში ბრძოლები გაჩაღდა. აფხაზები სერიოზულ წინააღმდეგობებს სოფელ გუმისთასა და აჭანდარის ხიდთან უწევდნენ ქართულ სამხედრო შენაერთებს, რომელთაც დიდი მსხვერპლის ფასად (დაიღუპა 40, დაიჭრა 150 მეომარი, განადგურდა სამხედრო ტექნიკა) უწევდათ წინ წაწევა. ახალ ათონს ათიოდე კილომეტრიღა აშორებდათ.

სიკვდილი ყველგან იყო ჩასაფრებული...

1992 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში ხელი მოეწერა სამმხრივ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით ქართული და აფხაზური მხარეები ცეცხლის შეწყვეტის ვალდებულებას იღებდნენ, ხოლო რუსეთი – მშვიდობის შენარჩუნებაზე იქნებოდა პასუხისმგებელი. 3 სექტემბრის ხელშეკრულების თანახმად, ეშერიდან ჩვენმა სამხედრო შენაერთებმა რამდენიმე კილომეტრით დაიხიეს უკან, თუმცა, აფხაზები ვალდებულებების შესრულებას არ ჩქარობდნენ.

„აგვისტოს ბოლოს გაგრის რწმუნებულად დავინიშე (ქალაქის კომენდანტი ბადრი ფირცხელანი იყო). იმ დღეებში ერთ-ერთი პოსტიდან შეგვატყობინეს, რომ გაჩერებული ჰყავდათ ბზიფში (იქ აფხაზი ბოევიკების მთავარი შტაბი იყო) მიმავალი ავტობუსი, რომელშიც ქალაქის ძველი ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა – გაგრის მერი, მისი მოადგილე და რამდენიმე სკოლის დირექტორი იჯდა. ისინი ქალაქის დატოვებას აპირებდნენ. ჩვენ ვცდილობდით, აფხაზები ქალაქიდან არ წასულიყვნენ, ავტობუსის გაშვებაზე უარი ვთქვით,

მაგრამ მოვიდა ბრძანება, გაატარეთო. რადგან აფხაზებთან ვმეგობრობდით, ბევრთან ნათელმირონობაც გვქონდა, ავტობუსის გაჩხრეკა არ ვიკადრეთ. როგორც მოგვიანებით გავიგეთ, მათ ავტობუსით იმდენი იარაღი გაიტანეს, რამდენის მოძიებაც შეეძლოთ იმ დროისთვის ქალაქში. თავდაცვის სამინისტროს შენაერთების შტაბის უფროსად მიხეილ მარინაშვილი დაინიშნა. ერთ-ერთი სკოლის შენობა დავცალეთ ყაზარმების მოსაწყობად, თუმცა, ჯარისკაცებს ქალაქის სანატორიუმებში ერჩივნათ ცხოვრება. ყოველდღიურად 1 500 მეომრისთვის საკვებს ვამზადებდით მაშინ, როდესაც მარინაშვილი 40 კაცს ვერ პოულობდა საგუშაგოებზე დასაყენებლად. ყოველ სამხედრო თათბირზე ვამბობდი, აუცილებელია, აიბგას მთის გაკონტროლება-მეთქი – სწორედ იქიდან გადმოდიოდნენ ჩრდილოკავკასიელი ბოევიკები, მაგრამ ამაოდ. სექტემბრის შუა რიცხვებში ბიჭვინთიდან შემატყობინეს, რომ ჩრდილო კავკასიიდან 3 000 ბოევიკი გადმოდიოდა. ამის შესახებ ტელევიზიით განვაცხადე კიდეც, თუმცა, მაშინ ედუარდ შევარდნაძემ „სენსაციების მოყვარული" მიწოდა (1997 წელს პრეზიდენტმა ბოევიკების გადმოსვლა დაადასტურა).

19 სექტემბერს ჩემმა მეგობარმა დემურ არჯევანიძემ მითხრა, – ერთი ნაცნობი კაზაკი ბზიფი-ბიჭვინთის აღებაში დახმარებას გვპირდება და შეხვედრა უნდა, მაგრამ მხოლოდ ერთ კაცს შეხვდებაო. რა თქმა უნდა, დავთანხმდი, მაგრამ, რადგან ასეთ სერიოზულ საქმეს ჩემს თავზე ვერ ავიღებდი, ამის შესახებ ქალაქში მყოფ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, გივი კვანტალიანს შევატყობინე. შეხვედრა შედგა ლესელიძეში, რუსეთის საზღვართან. კაზაკს თავიდან არ მოეწონა, ორნი რომ ვიყავით, თუმცა, თავისი პირობები მაინც შემოგვთავაზა, – ორ კვირაში ჩემი 1 000-კაციანი დაჯგუფებით მზად ვარ, ბზიფი და ბიჭვინთა ჩაგაბაროთ. თუ ამას ორ კვირაში ვერ გავაკეთებ, ფულს არ ავიღებო. თითოეული თავისი ჯარისკაცის დღიურ გასამრჯელოდ 500 რუბლს ითხოვდა. პასუხი ერთ კვირაში უნდა გაგვეცა, გაგრაში გახარებული ვბრუნდებოდი, რადგან ჩვენი ბიჭების სისხლის გარეშე გავტეხდით

თითოეული შენობისთვის თავგანწირული ბრძოლები მიმდინარეობდა

აფხაზთა წინააღმდეგობას. მოულოდნელად კვანტალიანმა მითხრა, – მოლაპარაკებაზე იმიტომ წამოვედი, რომ შენ გინდოდა, თორემ ჩვენ უკვე სხვასთან ვართ მოლაპარაკებულები და ერთ კვირაში გუდაუთაც ჩვენი იქნებაო"

ჯონი ლატარია (გაგრის რწმუნებული)

მიუხედავად ეპიზოდური სროლებისა, ქალაქი ნელ-ნელა ცხოვრების ძველ წესს დაუბრუნდა, მხოლოდ აფხაზები ტოვებდნენ გაგრას და სახლებს ქართველ მეზობლებს უტოვებდნენ მისახედად.

„გაგრაში სრული სიმშვიდეა. ლამაზია გაგრა, მეფეების პატარა ქალაქს ჰგავს. 3 სექტემბრის შემდეგ სროლები ისე აღარ არის. ამბობენ, აფხაზებმა აიკრეს გუდა-ნაბადი და სამუდამოდ გაკმინდეს ხმაო. „ბაბუს" (ე. შევარდნაძე) მაგარი კავშირები აქვს მოსკოვთან. მგონი, გადარჩა აფხაზეთი. აქ მაგარი „გულიანკაა", რუსი ნაშოჩკები მოწყენას არ გვაცლიან. ბიჭები თბილისშიც ხშირად მიდიან, ბარჟით – ფოთამდე, ფოთიდან კი აქედან წაყვანილი მანქანებით – თბილისამდე... რამერუმეებსაც წაიყოლებენ ხოლმე. ხანდახან „კაი ბიჭებს" მიაქვთ ტელევიზორები, მანქანები, მაცივრები, „შმოტკები", საცვლებიც კი. კაი ბიჭები არიან... ახლა ვახო და გოჩა დაბრუნდნენ ქალაქიდან და ჰყვებოდნენ, როგორ დამარხეს მხედრიონელებმა კოლხიდაში ცოცხლად აფხაზი (თუმცა, მანამდე აფხაზებმა ბზიფში სვანი ბიჭები შეყარეს და ცოცხლად დამარხეს. ამბობდნენ, დამარხვიდან ნახევარი საათის განმავლობაში იმ ადგილას მიწა იძვროდაო). არადა, კოლხიდაში დარჩენილა – სიძე ქართველი მყავს, ხელს ვერ მახლებენო. ცოცხალი დაუმარხავთ, ფეხზე მდგარი, მიწიდან ამოშვერილი ხელი დაუტოვეს თურმე, როგორც აფხაზურ დროშაზეა გამოსახული".

კახა დვალიშვილის დღიურებიდან, 22 სექტემბერი, 1992 წ.

1992 წლის სექტემბრის მეორე ნახევარში გაგრაში სიტუაცია თანდათან დაიძაბა. 19 სექტემბერს ცნობილი გახდა, რომ ბზიფიდან მამზიშხის მთის ტერიტორიაზე აფხაზი ბოევიკები აპირებდნენ პოზიციების გამაგრებას. ქართულმა მხარემ გადაწყვიტა, იქ 32-კაციანი ჯგუფი

გაეშვა დასაზვერად და გზის ჩასაკეტად. გზაში მათ თავს დაესხნენ აფხაზები და ავტობუსი ჩაცხრილეს. დაიღუპა 8 და დაიჭრა 14 მეომარი. ამ ფაქტმა გაგრაში დიდი აურზაური გამოიწვია.

3 სექტემბრის ხელშეკრულების შესაბამისად, ქალაქიდან ქართული საბრძოლო ტექნიკა გაიყვანეს. 1-ელ ოქტომბერს გაგრაში სწავლა დაიწყო.

შუაღამისას ქალაქში სროლები თითქოს მინელდა და მოსახლეობა სახლებში დაბრუნდა.

„2 ოქტომბერს, გამთენიისას, ჯოჯოხეთურმა ზრიალმა წამოგვყარა ფეხზე. თავზარდამცემი გუგუნი ბოლომდე გამყვება და ამ ხმით ვიცნობ მეორედ ნამდვილი სიკვდილის მოსვლასაც.

ქართული საზენიტო „შილკა"

ბავშვების წივილსაც ჰგავდა, ქალების კივილსა და კაცების ხრიალს, ნელ-ნელა რომ სჭრიან ყელს. ჩვენი ბიჭების ღრიანცელმა მომიყვანა გონს. განგაშია. ვერ გავიაზრეთ, რა ხდებოდა. ქუჩები სავსე იყო დამფრთხალი ხალხით. ქალები, ბავშვები პერანგებით დარბოდნენ. „აფხაზები უკვე ქალაქში არიან", – ტანში დენივით მივლის. გაგრა სამი მხრიდან ალყაშია მოქცეული. ბრძოლები უკვე ორი ფეხის ნაბიჯზე – ცენტრში, სტადიონსა და პოლიციის შენობასთან მიდის, „წითელ ჯვართან" ბიჭები დაღუპულან, ავტომატებით ტანკებს რა უნდა უყო, რა წინააღმდეგობა უნდა გაუწიო... არეულები, უკანდახეულები დგანან და ბრძანებას ელიან. ბრძანების გამცემი არავინ არის. ბიჭებმა ფეხდაფეხ დადევნებული ბეტეერებიდან სიკვდილი ნახეს. დაგლეჯილ-დაფლეთილები ძლივს მიათრევენ ერთმანეთს. „კრუპო" ვნახე, ცალი ფეხი წაგლეჯილი ჰქონდა, სისხლისგან იცლებოდა და სანამ გონს დაკარგავდა, ღრიალებდა, – ბიჭებო, არ მომკლათ, გადამარჩინეთო. ექიმი რაღაცებს ჩალიჩობს, მაგრამ რა უნდა უყო ნახევრად მკვდარ კაცს ასეთ აურზაურში? გია ვაშაკიძე კაცია. თავის ბიჭებთან ერთად ვეფხვივით იბრძვის – ვისაც გული ერჩის, ფეხი არ მოიცვალოთო და პოზიციების გამაგრებას პირველი თვითონ შეუდგა. არავინ არკვევს, „მხედრიონელი" ხარ, პოლიციელი, „ავაზელი" თუ ვიღაც ოხერი. ბიჭები ერთმანეთს ვაგულიანებთ, ვიღაცა გახუმრებასაც ცდილობს, წუთიც და აფხაზთა ტანკები პირდაპირ ჩვენ გვირტყამენ. შენ ძაღლები უძახე და რა იომეს გაგრელმა პოლიციელებმა!.. ისინი პოლიციის შენობაში გამაგრდნენ, ჩვენ ქუჩაზე დავიკავეთ პოზიციები... რა გინდა ქნა, მიზანში აქვთ ამოღებული ყველა წერტილი ამ შობელძაღლებს. ნახევარი დღე შევაკავეთ მარტო პოლიციის შენობასთან. პოლიციელები შენობაში ჩაიხოცნენ. მე მაგათ სულებს ვენაცვალე. რა სული გქონიათ, ბიჭებო... სად არიან ახვარი გენერლები, მეფეე-



„ერთი კაცის სიკვდილი ტრაგედიაა, მრავალის – სტატისტიკა“(!)

„დიმილის ბიჭები“

ბივით რომ ისხდნენ ცარიელ გაგრაში. ერთი ჩინიანისთვისაც არ მომიკრავს თვალი. ბიჭები – ვინ სად შეხვდა ომს. უბრალო ბიჭები, ადრე პოზიციებზე ძალითაც რომ ვერ გაჰყავდათ, ზოგს ერთი სიტყვაც არ ჰქონდა სამშობლოზე წაკითხული, ახლა რაღაც ცხოველური ინსტინქტით, თავგანწირვით იხოცებოდნენ გაგრის ერთი ქუჩისა და ერთი სახლისთვის.

ვიღაც „ავაზელმა“ „გაგრიფშის“ გასასვლელთან, მარტომ, ტყვიამფრქვევით 45 წუთი გააჩერა აფხაზები – ხომ აზრზე ხარ, უკანდასახევი გზა რომ მიეცა ბიჭებისთვის. გვარიც ვერავინ გვითხრა, სახეზეც ვერ გამახსენეს, უნდა გავიგო და მისი კაცობის ამბავი თბილისში ჩავიტანო... ვოვა სელეპანოვი, საბურთალოელი სომეხი ბიჭი, გაგრის გასასვლელთან ტანკს შეუვარდა ხელყუმბარით ხელში – ქართველს ტყვედ ჩავარდნას სიკვდილი ურჩევნიაო. ეს არის სომეხი და სანდრო კავსაძე – ქართველი? განთიადში ქალები გვიყვებოდნენ გაგრიდან გამოტანილ ამბავს, – ქუჩებში ქართველების გვამები ძაღლების ლეშებივით ყრიაო. არძინბას დაურეკავს „ვეჩეთი“ კავსაძისთვის, თქვენი ცხედრები გაიტანეთო. მერე, რომ არავინ შე-

ეხმიანა, „წითელ ჯვართან“ გათხრილ ორმოში ტრაქტორებით ჩაყარეს ერთმანეთში აზელილები...

3 დღის წინ ეგ და ედიკა გაგრაში არ იყვნენ? მაგათი ბრძანებით არ გაიყვანეს ტექნიკა? ისიც რა ტექნიკა იყო – დაფხაჭებული ტანკები. მაგრამ ტანკი რომ იქნებოდა, გული მაინც მოგეცემოდა კაცს“

კახა დვალიშვილის დღიურებიდან

2 ოქტომბერს გაგრა დაეცა...

3 ოქტომბერს განთიადში სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე ჩავიდა. მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა, – გაგრის დაკარგვა დროებითია, გუდაუთაში მიმდინარეობს მოლაპარაკება და ქალაქს აფხაზები, ალბათ, მალე დატოვებენო.

აფხაზეთში დისლოცირებული ქართული ჯარების სარდალმა გია ყარყარაშვილმა დამატებითი ცოცხალი ძალა, სამხედრო ტექნიკა და ტყვია-წამლის მარაგი მოითხოვა. შევარდნაძისგან თანხმობა მიიღო. მეორე დღეს განთიადში მართლაც შევიდა 4 გემი. ოთხივე ცარიელი აღმოჩნდა(!)... როგორც მოგვიანებით გაირკვა, მათ განთიადში თავმოყრილი მოსახლეობა უნდა გაეყვანა. ქართულ საბრძოლო პოზიციებს 4 ბე-ემ-პე მიაშველეს, მაგრამ ტყვიამფრქვევის ლენტები არ ჰქონდათ... სოხუმიდან გამოგზავნილ ტყვია-წამლის ყუთებში კი კონსერვის ქილები ეწყო. აშკარა იყო, რომ ქართული ჯარები განთიადი-გაგრის მონაკვეთის შენარჩუნებას ვერ შეძლებდნენ. 3 ოქტომბრის საღამოს კაზაკთა რაზმები საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაერთვნენ, ამასობაში, გაგრაში შემოსული შამილ ბასაევის ჯგუფები ქართველების ჟლეტით ერთობოდნენ...

ომი შვეულმფრენის ილუმინატორიდან...

1993 წლის 22 სექტემბერს „ტრანსაირ ჯორჯიას“ კუთვნილ Ту-154Б ტიპის სამგზავრო თვითმფრინავს, რომელსაც თბილისიდან სოხუმში დასახმარებლად 120 მგზავრი (მათ შორის მაშინდელი საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის მებრძოლები) მოჰყავდა, ბაბუშერის აეროპორტში დაჯდომის წინ ზღვაში მოდრეიფე კატარღიდან საზენიტო რაკეტა ესროლეს და ძრავაში მოარტყეს. პილოტებმა შეძლეს თვითმფრინავის დასაფრენ ზოლამდე მიყვანა, მაგრამ უხეში დაჯდომის შედეგად თვითმფრინავმა დაშლა დაიწყო და ხანძარი გაუჩნდა (ლაინერის ავზები სააავიაციო ნავთით თბილისში ბოლომდე აავსეს, რომ სოხუმიდან უკან გამოსაფრენადაც საკმარისი ყოფილიყო. ხანძრის მძლავრი კერების გაჩენას საწვავის დიდმა მარაგმაც შეუწყო ხელი). ტრაგედიის შედეგად ლაინერის ეკიპაჟის 8 წევრი და 100 მგზავრი დაიღუპა.

სოხუმის აეროპორტში აფხაზებმა სამგზავრო თვითმფრინავი ჩამოაგდეს

„ორი დღე ქართველები აფხაზი მეზობლის სარდაფს ვაფარებდით თავს და გარეთ რა ხდებოდა, არ ვიცოდით. სროლები რომ შეწყდა, სახლებში დავბრუნდით. 3 ოქტომბრის დილას, 10 საათი იქნებოდა, აფხაზი მეზობელი მოვიდა და გვითხრა, – კოლხიდის ახალი სკოლის სტადიონზე ქართველი ბიჭების თავები ყრიაო. მეზობლებმა მაშინვე იქ წასვლა დავაპირეთ. მეზობელმა არ გამიშვა, – ელიკო, შენ ქართველი ხარ და წასვლას არ გირჩევო. ცოტა ხნის შემდეგ ერთი სომეხი შემხვდა და მომახალა, – უნივერსამის ტერიტორია ქართველი ბიჭების ცხედრებითაა სავსეო. აღარ ვიცოდი, რა მექნა, სამსახურში წავედი (გაგრის ცენტრალურ სტადიონთან ემუშაობდი), იქ დამწვარი ქართული ტანკი იდგა – ბიჭები ცოცხლად ჩამწვარან შიგ. მეზობლად მდებარე კაფეში აფხაზი თანამშრომელი ტირილით უყვებოდა ხალხს, – გუშინ გაგრის სტადიონზე ჩეჩნები მოჭრილი თავებით ფეხბურთს თამაშობდნენო. თავ ზარდაცემული შინ როგორ მივედი, არ მახსოვს. ჩემმა აფხაზმა მეზობელმა – ჯობია ქალაქი დატოვოთ, თორემ შეიძლება აფხაზები ისეთ დროს მოგადგნენ, შინ არ ვიყოთ და ვერავინ დაგიცავთო“.

ელიკო, გაგრის მკვიდრი

„სოხუმში ჩამოვედით, სრული ერთი კვირა დავწანწალებდით და ვიმალებოდით გაგრის ტყეებში, ფოთლებს ვღეჭავდით შიმშილის მოსაკლავად. ჯიმი მაისურაძის შვეულმფრენმა სულზე მოგვისწრო. ტყე-ტყე ეძებდა და აგროვებდა ჯარისკაცებს, რამდენი ბიჭი გადაარჩინა სიკვდილს... სოხუმში ჩვენი ბიჭების ამბავი დამახვედრეს. თავიდან ტყეში ერთად ვიყავით, მერე ჯგუფებად დავიყავით. ბიჭების ის ჯგუფი სოფელ ფსხუმამდე ჩასულა, გაგრელებისგან ვიცი ეგ სოფელი. იქ ისეთი კამკამა წყალია, კალმახებს დაითვლიო, ამბობდნენ. რუსი სტაროვერები ცხოვრობენ, როდესაც კომუნისტებმა ახალი ათონის მონასტერი დაანგრიეს, ბერები იქ დაუსახლებიათ. გზაც არ მიდის

„თქვენ ბიჭებო!“

კახი კავსაძე: „კარგად მახსოვს ის დღე... თეატრის, კინოსა და ესტრადის მსახიობები სოხუმში ჩავფრინდით, დაახლოებით 20 კაცი ვიყავით და კონცერტი გავმართეთ. გაქანებული ომი იყო... ჩვენი ჩასვლით გვინდოდა ჯარისკაცები გაგვემხნევებინა – ის ბიჭები, რომლებიც თავგანწირვით იბრძოდნენ. „თქვენ მარტო არ ხართ, ბიჭებო!“, – ეს იყო ჩასვლის მიზანი.

კონცერტის შემდეგ ბიჭებმა სუფრა გაგვიშალეს. ვეუბნებოდით, რა დროს პურ-მარილიაო მაგრამ მაინც მოახერხეს და იმ დაძაბულ და უმძიმეს სიტუაციაში სუფრა გაგვიშალეს. მთელი ღამე ერთად ვიყავით...

უკან რომ მოვფრინავდით, ჩვენმა ბიჭებმა გვითხრეს, დროზე წადით აქედანო...

– უკან შუქებჩამქრალი შვეულმფრენით გამოვფრინდით და მთელი გზა ჩუმად ვისხედით, არც ის ვიცოდით, საერთოდ თუ ჩავაღწევდით თბილისამდე. მთელი გზა გული ცუდს გვიგრძნობდა... მერე გავიგეთ, ის ადგილი, სადაც ერთად ვიყავით, დაუბომბავთ და ჩვენი ბიჭები დაღუპულან...“



მსახიობები შვეულმფრენ Ми-8-ს სალონში...



აფხაზეთში დისლოცირებული ქართული ჯარების სარდალი გია ყარყარაშვილი

იქამდე, მხოლოდ ბილიკით შეიძლება სოფლამდე მისვლა. ამ სოფელში ჩაუღწევიათ ჩვენს ბიჭებს. ერთი კვირის ნაშიმშილებს პირველსავე კარზე დაუკაკუნებიათ და წყალი, პური და თავშესაფარი უთხოვიათ. რუსს – ოჯახის პატრონს, სუფრა გაუშლია, დამშეული ბიჭები საჭმელს დასტაკებიან, თვითონ კი წასულა, იმისი ბოზი დედა ვატირე და აფხაზები მოუყვანია. კარგი ბიჭები იყვნენ ჩვენები. ერთი მესხი იყო, სამი თბილისელი და ერთი კახელი, წესიერი ბიჭები. ალყაში მოქცეულები სახლიდან ისროდნენ, სანამ ტყვიები გაუთავდებოდათ. მართლა რა უნდა ქნა? დაიტოვე ერთი ტყვია და იხალე შუბლში, შეიძლება ვერც იხალო. იცი, რა ტკბილია სული?.. აფხაზები სიცოცხლის შენარჩუნებას დაჰპირებიან და ბიჭებიც გარეთ გამოსულან. ხელებშეკრულები და მიწაზე პირქვედამხობილები ავტომატის ერთი ჯერით დაუხოცავთ“.

კახა დვალიშვილის დღიურებიდან,
9 ოქტომბერი, 1992 წ.

აფხაზეთის პარალელურად ვითარება მკვეთრად დაიძაბა სამეგრელოს რეგიონში. 1-ელ ოქტომბერს ზვიად გამსახურდიას შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა ქალაქი ხობი აიღეს. საქართველოს ხელისუფლება სამეგრელოს რეგიონს თითქმის ვეღარ აკონტროლებდა. იმის შიშით, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ გამსახურდიას მხარდამჭერებს იარაღი არ ჩაეგდოთ ხელში, შევარდნაძის ხელისუფლება გაგრის დაცემამდე სოხუმსა და ოჩამჩირეში ადგილობრივ მოსახლეობას იარაღს არ ურიგებდა, თუმცა, 2 ოქტომბერს იძულებული გახდა, აფხაზეთში მოხალისეთა რაზმები შეექმნა. ასე გაჩნდა სოხუმის, ოჩამჩირის, გალის ბატალიონები.

„გაგრის დაცემის შემდეგ სოხუმი პანიკამ მოიცვა. როდესაც ცნობილი გახდა გაგრაში აფხაზების მიერ ქართველი მოსახლეობის ჟლეტის შესახებ, სოხუმში დარჩენილ აფხაზებს შურისძიებისა შეეშინდათ და ქალაქს სწრაფად ტოვებდნენ. ვიღაცამ ვიდეოკასეტა



ამ ომში განსაკუთრებული სისასტიკით ბაგრამიანის ბატალიონი გამოირჩეოდა

ჩამოიტანა, რომელშიც გაგრის აღებისა და ქართველების დახოცვის კადრები იყო – ის თავად აფხაზებს და რუსებს გადაუღიათ. მახსოვს, ამ კადრების ყურებისას ხალხს გული მისდიოდა... აფხაზებთან მოლაპარაკებები დაიწყო გაგრაში გარდაცვლილების ჩამოსვენების თაობაზე; თუმცა, არავინ იცოდა, რამდენი გარდაცვლილი იყო, ან რამდენი – ჯერ კიდევ ცოცხალი.

აფხაზებმა უარი თქვეს. საამისო მიზეზიც ჰქონდათ. ქართველთა ნაწამები და დასახიჩრებული ცხედრები გაგრაში ქართველთა გენოციდის უტყუარი მტკიცებულება იქნებოდა. სოხუმელები, რომლებიც ნაკლებად აქტიურობდნენ, ახლა იძულებული გახდნენ, მოხალისეებად ჩაწერილიყვნენ და ხელში იარაღი აეღოთ. გაგრის მაგალითზე ქალაქი მიხვდა, რომ საჭიროების შემთხვევაში მხოლოდ საკუ-

ჩვენ ბიჭები ტერიტორიას ... ტექნიკის გარეშე.
უინკოლნ ავტომატებ...

თარი თავის იმედად უნდა ყოფილიყო. დაიწყო ქუჩების მიხედვით მოსახლეობის აღწერა. ის ქართველები, რომლებიც უკვე სოჭში იყვნენ, იარაღს და თბილ ტანსაცმელს გზავნიდნენ ქალაქისთვის. სოხუმის მაღლობებს იცავდნენ მათემატიკოსები, რომლებიც იმ დღეებში თვითნასწავლი არტილერისტები გახდნენ. სოხუმში ჯარი მშიერი და ჩაუცმელი იყო. როდესაც პორტში გემით ამერიკული სამხედრო ფორმები შემოიტანეს, ერთი ამბავი ატყდა, ვის შეხვდებოდა. საქმე სროლებამდეც კი მივიდა. საეჭვო სიმშვიდე მხოლოდ სამხედრო სანატორიუმებში იყო. მხოლოდ დაცვა იდგა, შიგნით არავის უშვებდნენ. ჩვენ რუსულ სამხედრო კატარღასღა ვხედავდით, რომელიც სანატორიუმებთან პატრულირებდა“.

ალეკო აბულაძე

(სოხუმის კომენდატურის თანამშრომელი)

მსახიობი და ჟურნალისტი საშკა იოსელიანი
აფხაზეთის ომში დაიღუპა

1992 წლის შუა ოქტომბრიდან საბრძოლო მოქმედებები ოჩამჩირის რაიონშიც გაჩაღდა. 23 ოქტომბერს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ბრძანებით, აფხაზეთში დისლოცირებულ ჯარებს ოფიციალურად მიეცათ ქართული სამხედრო შენაერთების პოზიციებისთვის ცეცხლის გახსნის უფლება.

26 ოქტომბერს, დილით, აფხაზებმა ოჩამჩირეს შეუტიეს. გაგრის დაცემის შემდეგ ქალაქი ყოველ წუთს ელოდა იერიშს ტყვარჩელის მხრიდან. იმ დროისთვის აქ ადგილობრივი „მხედრიონი", სამხედრო პოლიცია და ეროვნული გვარდიის მცირე ნაწილი იყო თავმოყრილი. როდესაც აფხაზები ოჩამჩირეში შევიდნენ, მათ ე.წ. მშვიდობიანი მოსახლეობა – კბილებამდე შეიარაღებული ადგილობრივი აფხაზები და სომხე-

ბი შეუერთდნენ. ამის შემდეგ მტერს, ფაქტობრივად, ქალაქის ნახევარი უკვე დაკავებული ჰქონდა. ხელჩართული ბრძოლები პირდაპირ ქუჩებში მიდიოდა. აფხაზებს ერთ-ერთ ქუჩაზე კიკვაძეების ოჯახმა ისეთი წინააღმდეგობა გაუწია, რომ მტერმა რამდენიმე საათის განმავლობაში წინ ვერ წაიწია. სანაპიროზე, 16-სართულიანი სასტუმროს შენობაში განლაგებული „ქართველ შევარდენთა ლეგიონის" მეომრები კონფედერატების ალყაში იყვნენ მოქცეულნი და ამაოდ ცდილობდნენ თავის დაღწევას.

2 ნოემბერს აფხაზებმა სოხუმის ჰესი ააფეთქეს და ქალაქი სრულიად ჩაბნელდა. შუაღამისას მონინააღმდეგემ „გრადებით" ქალაქს ცეცხლი გაუხსნა. სოხუმზე იერიში დაიწყო, აფხაზებმა სოფელ შრომასთან მდინარე გუმისთის გადმოლახვა მოახერხეს. ბრძოლები მთელი ღამე მიმდინარეობდა. გამთენიისას ავიაციის დახმარებით ქართულმა მხარემ შეტევის შეჩერება შეძლო. ჩვენი შეიარაღებული დაჯგუფებების ცალკეული ნაწილები გუმისთის გაღმა გავიდნენ. სამწუხაროდ, ქართველი მეომრების სიხარული სანმოკლე გამოდგა. გუმისთაზე გადასულთ წინ შემზარავი სურათი დახვდათ: აფხაზების პოზიციებზე 30-მდე ქართველი ბიჭი იყო მკვდარი. როგორც გაირკვა, ქართულმა ავიაციამ აფხაზური პოზიციები მაშინ დაბომბა, როდესაც იქ უკვე ქართველი მებრძოლები იყვნენ.

„ყურებში ახლაც მიწივის მეგრელი ქალების ზარი. შრომაში რომ იყვნენ ამოვარდნილები და მიცვალებულთა გროვაში საკუთარი შვილების ცხედრებზე რომ მოთქვამდნენ მეგრულად: „ჩემი სიკვდილი, შვილო, ისევ შენიანებმა მოგკლეს. მოგიკვდეს დედა, შენ გენაცვალე"

შტაბში ხმაგაკმენდილები სხედან და ვერ პასუხობენ კითხვას, – ვინ არ მიაწოდა სასწრაფო ინფორმაცია უკვე ჰაერში მყოფ ჯიმი მაისურაძეს, რომ ბრძანება უკვე შეცვლილი იყო და

გუმისთის მეორე მხარეს უკვე ჩვენი ბიჭები იყვნენ. ჯიმიც გაწირეს. მითხრეს, ბავშვივით ტიროდა სოხუმის აეროპორტშიო. იტირებდა, აბა, რას იზამდა! თავისი გადარჩენილი ბიჭები დაახოცვინეს, სათითაოდ რომ აგროვებდა გაგრის ტყეებში სამშვიდობოს გამოსაყვანად".

კახა დვალიშვილის დღიურებიდან,
1992 წლის 5 ნოემბერი



სოხუმის დამწვარი თეატრი

1992 წლის დეკემბერში ქართულმა სამხედრო შენაერთებმა ოჩამჩირეში წინ წაწევა შეძლეს და მსხვერპლის ფასად რამდენიმე სოფელი აიღეს კიდეც. თუმცა, შემდეგ მათი დატოვება მოუხდათ ქართული შეიარაღებული ნაწილების მცირე წარმატებების კვალად ჯარის ხელმძღვანელობაში უთანხმოება ჩამოვარდა. აფხაზეთში დისლოცირებული ქართული ჯარების სარდალი ხან გია ყარყარაშვილი იყო, ხან გენერალი ანატოლი კამკამიძე. მათი პოზიციების არაერთგვაროვნების გამო სარდლები ერთმანეთს აშკარად დაუპირისპირდნენ.

1993 წლის იანვრის დასაწყისში სოხუმის დამცველებმა ქალაქზე აფხაზების კიდევ ორი შეტევა მოიგერიეს. განსაკუთრებით გაჭირდა გუმისთაზე ქართული პოზიციების შენარჩუნება. გია ყარყარაშვილი, რომლის სამხედრო განათლება და გამოცდილება მუდმივად ქილიკის საგანი იყო, ხელისუფლებას გულგრილობაში ადანაშაულებდა: „ომი შეგნებულად არის გაჭიანურებული. არ გინდათ და არ ამთავრებთ. დღეს საქართველოში 25 000 ავტომატია გაცემული. რატომ არ მიდის ეს იარაღი ბრძოლის ველზე, რატომ არ იგეგმება კონტრშეტევა? ყველა მარცხს თავისი მიზეზი აქვს. ომი ჯერ კიდევ არ არის წაგებული. გუშინ კიდევ შეიძლებოდა რაიმეს შეცვლა, დღეს უკვე ძნელია, ხვალ, ალბათ, შეუძლებელი იქნება. ომის მასშტაბები დღითი დღე იზრდება. ადრე თუ 1 000 კაცი საკმარისი იყო, ახლა 8 000 არ კმარა“

ეროვნული გვარდიის მეომრები ჩრდილოკავკასიელი ბანდფორმირებების შეტევას იგერიებენ

საქმე იქამდე მივიდა, რომ ყარყარაშვილის შენაერთის, „თეთრი არწივის“ ბიჭებს სოხუმის სამხედრო პოლიცია პირდაპირ ქუჩებში აპატიმრებდა. ბოლოს, ყარყარაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, – სოხუმი დაეტოვებინა. უთანხმოება იყო თენგიზ კიტოვანსა და ჯაბა იოსელიანს შორისაც...

ფრონტის ხაზზე კი ქართული შეიარაღებული ნაწილები შობის ღამეს უხალისოდ, მაგრამ მაინც იმედიანად ხვდებოდნენ.

1993 წლის 16 მარტს, ღამის 3 საათზე, რუსულმა ავიაციამ გუმისთაზე ქართული პოზიციები დაბომბა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ აფხაზები სოხუმზე მორიგ იერიშს აპირებდნენ. დილის 5 საათზე გუმისთის 8-კილომეტრიან ფრონტის ხაზზე მოწინააღმდეგემ ერთდროულად დაიწყო შეტევა.

ქართული ბატალიონები ორი საათის განმავლობაში აკავებდნენ მტერს.

ზოგ ადგილებში უკვე ხელჩართული ბრძოლები მიდიოდა, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა აჭანდარის რკინიგზის სადგურზე. თუ აფხაზები იქ ხიდების აღებას შეძლებდნენ, მაშინ ჯავშანტექნიკასაც გამოიყენებდნენ.

მოწინააღმდეგემ მაინც მოახერხა ფრონტის გარღვევა და სოხუმის გარეუბანში შევიდა. გუმისთაზე დარჩენილ ქართულ ბატალიონებს ალყაში მოქცევა დაემუქრათ...

1993 წლის 16 მარტს შამილ ბასაევმა მდინარე გუმისთაზე ქართული პოზიციების გასარღვევად გაგზავნა აფხაზური არმიის რჩეული ნაწილები – ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონი, აფხაზური და ბერძნული შენაერთები. ორი დღის შემდეგ აფხაზებმა 300 კაცი დაკარგეს, რაც მძიმე დარტყმა იყო ისედაც მცირერიცხოვანი ხალხისთვის. ქართველებს 70 მებრძოლი დაეღუპათ. 16 მარტს არასოდეს იხსენებენ აფხაზები. ასეთ დანაკარგს არ ელოდნენ – მთელი ომის განმავლობაში 16 მარტის იერიში იყო ყველაზე მასშტაბური შეტევა გუმისთაზე, აჭანდარაში ქართველმა მებრძოლებმა ტყვედ ბაგრამიანის ბატალიონის, გალუსტ ტრაპიზონიანის ჯგუფის მეომრები აიყვანეს. გუმისთის წარმატებით და აფხაზთა პანიკით შეგულიანებული ქართული შეიარაღებული ნაწილები კიდევ რამდენიმე დღე ამაოდ ელოდნენ კონტრშეტევის ბრძანებას, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა დაპირისპირება სამხედრო ხელმძღ-

ვანელობაში. 1993 წლის 22 მარტს სახელმწიფო მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ბრძანებით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ თამაზ ნადარეიშვილი დაინიშნა. გუდაუთაში შექმნილი ვითარების გამო ვლადისლავ არძინბა იძულებული გახდა, დასახმარებლად რუსეთისთვის მიემართა. აფხაზები ბორის ელცინს რუსეთის შემადგენლობაში შესვლას სთხოვდნენ.

1993 წლის აპრილში ფრონტებზე აფხაზები აღარ აქტიურობდნენ, ამიტომ მოვლენების ეპიცენტრმა ისევ თბილისში გადმოინაცვლა. სულ მალე დედაქალაქი სამხედრო საბჭოში მიმდინარე დაპირისპირებების ცენტრად იქცა. თენგიზ კიტოვანი შევარდნაძეს უკვე თვალში აღარ მოსდიოდა, ამიტომ 1993 წლის 6 მაისს საქართველოს თავდაცვის მინისტრად გია ყარყარაშვილი დაინიშნა; რამდენიმე დღით შინ დაბრუნებული ქართველი მეომრებისთვის კი ნათელი იყო, რომ ხელისუფლებასთან ერთად ომისადმი ახლა უკვე საზოგადოებაც გულგრილი გახდა, თუმცა, ყარყარაშვილის გამინისტრებამ ჯარს დიდი იმედი გაუჩინა.

1993 წლის 14 მაისს ედუარდ შევარდნაძემ და ბორის ელცინმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას 20 მაისიდან აფხაზეთში ორმხრივი ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. ორი თვის განმავლობაში ფრონტებზე ე.წ. სიმშვიდემ დაისადგურა. მოსახლეობამ სოხუმში დაბრუნება დაიწყო. ამის კვალად, აფხაზები გამალებით იარაღდებოდნენ. მათ მთავარ პლაცდარმად ტყვარჩელი იქცა, ცხადი იყო, რომ მოწინააღმდეგე ძალების მოკრების შემთხვევაში გამანადგურებელ იერიშს ქართულ პოზიციებზე ორი მიმართულებით – ოჩამჩირის და სოხუმისკენ – მიიტანდა. სოხუმის აღების ახალი ოპერაციის დაგეგმვა-მომზადებაში რუსეთის გენერალური შტაბის სპეციალისტები უკვე ოფიციალურად მონაწილეობდნენ.

აფხაზეთის ომში დაჭრილებს და დაღუპულებს სოხუმიდან თბილისში სამგზავრო თვითმფრინავით გზავნიდნენ

„სკოლა 1993 წლის მაისში დავამთავრეთ. მაშინ ოჩამჩირეში სიმშვიდე იყო, ამიტომ გადავწყვიტეთ, გამოსაშვები საღამო 2 ივლისს, ოჩამჩირის ცენტრში, გადაგვეხადა. წინაღამეს მღელვარებისგან ვერ დავიძინე, დროდადრო თვალს შევავლებდი საწოლთან დაკიდებულ კოსტიუმს და კლასელებსა და სკოლაზე ვფიქრობდი. გამთენიისას ჩამეძინა. დილით გამაყრუებელმა ხმამ გამაღვიძა, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა. შუადღისას დედამ მითხრა, – აფხაზებს ტამიშთან დესანტი გადმოუსხამთო. იმ ღამეს კლასელები მაინც შევიკრიბეთ სოფელ ილორში. დათრგუნვილნი შევყურებდით, როგორ კიდებდნენ რუსული თვითმფრინავები ე.წ. ლამპრებს არემარის გასანათებლად და როგორ ცდილობდა ქართული არტილერია მათ ჩამოყრას. ვიდექით და მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობდით, – ვნახავდით კი ისევ ერთმანეთს? რატომღაც „ღიმილის ბიჭები“ გამახსენდა“

ირაკლი კემულარია, ოჩამჩირის მკვიდრი

ქართველი ჯარისკაცები ბლოკ-პოსტზე

სიმაღლეს შავნაბადას ბატალიონის მეომრები იცავდნენ. 3 ივლისს დესანტის რამდენიმე ჯგუფმა ანუარხუს შეუტია. ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა, ანუარხუ კვლავ ქართველების ხელში იყო. სამხედრო ხელმძღვანელობამ, რომელიც ტამიშთან განვითარებული მოვლენების გამო გვარიანად დაბნეული იყო, გუმისთაზე აფხაზების გააქტიურება მნიშვნელოვან საფრთხედ არ მიიჩნია და დესანტის ლიკვიდაციის გეგმაზე დაიწყო ფიქრი. ამასობაში, მძიმე ბრძოლებით და დანაკარგებით აფხაზებმა შეძლეს სოხუმჰესის, სოფელ გუმის და ახალშენის დაკავება და მიადგნენ სტრატეგიული დანიშნულების სოფელ კამანს. 5 ივლისს აფხაზებმა შრომა-კამანისკენ იერიში წამოიწყეს. საღამოს უკვე კამანში იყვნენ. სოფელში ქვა ქვაზე არ დატოვეს, მოსახლეობა უმოწყალოდ გაჟლიტეს. ბოევიკებს სოხუმამდე 12 კმ-ღა რჩებოდათ. თბილისიდან მეომრები სასწრაფოდ ბრუნდებოდნენ აფხაზეთში.

ბრძოლები მიმდინარეობდა ოჩამჩირეშიც. სოფელ ცაგერასთან „მხედრიონის“ და ლოთი ქობალიას რაზმებმა საბოლოოდ გაანადგურეს დესანტის ნაწილები და გადარჩენილებს სოფელ ლაბრამდე სდიეს. ტამიშში დაბრუნებისას ოჩამჩირე-სოხუმის მაგისტრალი სრულიად გაწმენდილი იყო, თუმცა აფხაზები აკონტროლებდნენ კამანს, შრომას, ახბიუქისა და აპიანჩის მაღლობებს, რომლის დაბრუნება ქართულმა შენაერთებმა დიდი თავგანწირვის ფასადაც ვეღარ შეძლეს. ამრიგად, სოხუმი ჩრდილოეთიდან ბლოკირებული იყო, აფხაზებმა გუმისთას მოუარეს და ქართული პოზიციების ზურგში გამაგრდნენ.

მამაკაცებმა აფხაზეთიდან ქალები და ბავშვები გაიყვანეს, თავად კი მშობლიურ კერას ვერ ტოვებენ...

1993 წელი. ქართული ჯავშანტექნიკა რუსული სადესანტო გემით სოხუმიდან გააქვთ

27 ივლისს სოჭში ხელი მოეწერა სამმხრივ ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც აფხაზეთი უნდა დაეტოვებინა ყველა დაქირავებულ მებრძოლს და ქართული სამხედრო ფორმირებების დიდ ნაწილს, აგრეთვე ქართულ სამხედრო ტექნიკას, ხოლო აფხაზურ ტექნიკას რუსები გააკონტროლებდნენ. სოხუმში ისევ სიმშვიდემ დაისადგურა, გახიზნული მოსახლეობა ქალაქში დაბრუნდა, ქართული ჯარები და ტექნიკა გაყვანილი იყო. 1-ელ სექტემბერს სოხუმიდან ის უკანასკნელი ტანკიც გაიყვანეს, რომელიც მეომრებს გადამალული ჰყავდათ. რუსეთმა კიდევ ერთხელ მოგვატყუა...

„ძვირფასო ბორის ნიკოლოზის ძევ, მოგმართავთ ჩემი სამშობლოსთვის უმძიმეს წუთებში. უძლური ვარ, რამე გთხოვოთ; უბრალოდ, გაცნობებთ: სოხუმთან თავმოყრილია გუდაუთის დაჯგუფების ტანკები და მძიმე ტექნიკა, წამმზომი ჩართულია, მათი ძალები სადაცაა, შეიჭრებიან ქალაქში, რომელსაც დაცვის მინიმალური საშუალებაც არ გააჩნია. ასეთივე მდგომარეობაა ოჩამჩირის რაიონში, საიდანაც, პატივს ვცემდით რა სოჭის ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებს, ტექნიკა და ცოცხალი ძალა გამოვიყვანეთ. უკვე მესამედ ჩემი ხალხი მოატყუა მან, ვინც ხელის მოწერით დაადასტურა ხელშეკრულებები და არაფერი გაუკეთებია მათ შესასრულებლად. რა დავუშავეთ რუსეთს და მსოფლიოს – ის ხომ არა, რომ უკვე მერამდენედ საქართველოს ისტორიაში, მოვინდომეთ თავისუფლება და და-

სოხუმის



მოუკიდებლობა. ის, რაც მინდოდა თქვენთვის მეთქვა, თქვენს წარმომადგენელს ვუთხარი სატელეფონო საუბრისას. ჩვენ განგვაიარაღეს და მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ დაგიჯერეთ. ახლა ვერაფრით დავიცავთ თავს. მე ერთი რამ დამრჩენია: ჩავიდე სოხუმში და მის მოსახლეობასთან ერთად შიშველი ხელებით დავიცვა ქალაქი".

ედუარდ შევარდნაძე, 1993 წლის 16 სექტემბერი

სოხუმის აღება მხოლოდ დროის საკითხი იყო...

1993 წლის 16 სექტემბერს, საღამოს, სოხუმზე აფხაზური მარყუჟი ნელ-ნელა იკვრებოდა, უიარაღოდ დარჩენილ ქართველ მეომართა მცირე ჯგუფები დამხმარე ძალების მოლოდინში ამაოდ ცდილობდნენ ქალაქის მისადგომებთან პოზიციების შენარჩუნებას.

„ვიცი, სოხუმი მომზადებულია დასაცემად. ივლისის სამშვიდობო ხელშეკრულებას ისევ თავზე დაახევენ ამ ჩვენს სახელმწიფო მეთაურს და ქალაქი ერთ გაფაფხურებასაც ვერ მოასწრებს, ისე აღმოჩნდება რუსებისა და აფხაზების ხელში. ამას რომ ვამბობ, ათასი კაცი მაინც მეცემა პირში. „ომის სინდრომით დაავადებულს", „ფსიქიკაშერყეულს" და რა ვიცი, რას აღარ მეძახიან ჩემი ოჯახის წევრები. სიმწრით მეცინება. ეტყობა, მართლა შერყეული უნდა გქონდეს ფსიქიკა, მოვლენები სწორად რომ გათვალო, თორემ ამდენ ჭკუადამჯდარ კაცს როგორ არ ზარავს იმის წარმოდგენა, რა შეიძლება დაატყდეს თავს განიარაღებულ სოხუმს.

„ალიონის" წამყვანის ხმა თავზარდაცემულს მაგდებს ლოგინიდან. დედიშობილა გავრბივარ ლოჯიაში, სადაც უკვე ნირწამხდრები სხედან ქეთი და დედაჩემი. დღეს, 16 სექტემბერს, სოხუმს ბომბავენ. ქალაქს, რომელიც სავსეა

ქართველი არტილერისტები თავგანწირვით იბრძოდნენ

„ჯარისკაცის მამა"

მხოლოდ მშვიდობიანი მოსახლეობით, ბავშვებით – ისინი საპირველსექტემბროდ დააბრუნეს ქალაქში. ბომბავენ საცხოვრებელ კორპუსებს, აეროპორტს, სადაც უკვე მერამდენედ აწიოკებული სოხუმელები დგანან თვითმფრინავში შესაღწევად. ჩემი, ზურას და ვაჩეს სისხლით დაცული საზღვარია (გუმისთა) გადმოლახული, ჩვენი ბიჭები არტილერიის, მძიმე ტექნიკის გარეშე კინკილა ავტომატებით იბრძვიან სოხუმისთვის, გარეუბანში შემოღწეულმა სადამსჯელო რაზმებმა, ე.წ. სანიტრებმა, უკვე დაიწყეს მშვიდობიანი მოსახლეობის დასჯა. სიტყვის უთქმელად გავდივარ შინიდან. დაჭრილი მკლავი თითქმის მოშუშებული მაქვს, დედაჩემი ხმას არ იღებს, ქეთი აპირებს რაღაცის თქმას, ეტყობა, ისეთი სახით ვუყურებ, რომ ჩუმდება. კომისარიატში ავდივარ, ბიჭებს ვნახულობ. ვხვდები, რომ აქ სიების წერას და ლოდინს აზრი არ აქვს. ვსხდებით მანქანებში და პირდაპირ აეროპორტში მივდივართ"

კახა დვალიშვილის დღიურებიდან, 16 სექტემბერი, 1993 წ.

ფუძემოშლილი ქართველები სატვირთო მატარებლით აფხაზეთს ტოვებენ...

16 სექტემბერს სოხუმში ედუარდ შევარდნაძე ჩაფრინდა. ქალაქში იყო ჯაბა იოსელიანიც. „მხედრიონი“ სახელდახელოდ შეკონწიებული ჯგუფებით ცდილობდა სოხუმში სტრატეგიული ადგილების – ფუნიკულიორის, „მაიაკის“ რაიონისა და რკინიგზის სადგურის დაცვას. 17 სექტემბერს მოწინააღმდეგემ სოხუმის დაბომბვა ზღვიდანაც დაიწყო. ქალაქში რუსული კბილებამდე შეიარაღებული სპეცდანიშნულების რაზმები გამოჩნდნენ, მათი მოქმედების გეგმა აფხაზური სამხედრო შენაერთებისთვის ქალაქში „გზის გაწმენდა“ გახლდათ. იმავე დღეს სოხუმში ჩაფრინდნენ პოლიციის 120-კაციანი კარგად შეიარაღებული ჯგუფი და თბილისის პოლიციის უფროსი დავით ზეიკიძე. აფხაზეთის შს მინისტრმა დავით გულუამ პირადი კონტროლი დაუწესა და იძულების წესით გაიყვანა პოზიციებზე ინფექციურ საავადმყოფოსთან. მათ დავალებული

ჰქონდათ მიმდებარე ტერიტორიის დანაღმვა, თუმცა, ბრძანება არ შეასრულეს – შეეშინდათ, ნაღმებზე თავად არ აფეთქებულიყვნენ. ცხადი იყო, რომ სოხუმში სამხედრო ხელმძღვანელობას სიტუაციის მართვა უჭირდა. 18 სექტემბერს 23-ე ბრიგადის ბატალიონებმა მოულოდნელად შტაბიდან უკან დახევის ბრძანება მიიღეს. ბრძანება რადიოკავშირით პირადად ბრიგადის მეთაურმა გენო ადამიამ გასცა. იმ დროისთვის 23-ე ბრიგადას გუმისთაზე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ხელსაყრელი პოზიცია ეკავა, ამიტომ უკან დახევა ღალატის ტოლფასი იყო. მიუხედავად უკმაყოფილებისა, ბატალიონების მეთაურებმა ბრძანება შეასრულეს. მეორე ბატალიონის მეთაურმა ვახტანგ მუკბანიანმა ბრძანების შესრულებაზე უარი თქვა, – ასეთი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მოღალატეს შეუძლიაო. ინფორმაცია შტაბში გადაამოწმეს. აღმოჩნდა, გენო ადამიას არავითარი ბრძანება არ გაუცია, ეს განკარგულება არც კომუტატორთან იყო დაფიქსირებული. ძიებას აზრი აღარ ჰქონდა. გუმისთაზე პოზიციები უკვე დაკარგული იყო.

ქვეითთა საბრძოლო მანქანები სარკინიგზო ემელონნზე ოჩამჩირესთან



მარცხნიდან: გენერალი გია გულუა, გენერალი გელა ლანჩავა, კაპიტანი ვახტანგ შანავა (დაიღუპა სოფ. ტამიშთან)

„უკვე რამდენიმე დღეა, აეროპორტში ვსხედვართ. აქაურობა სავსეა მოხალისეებით, უკვე ნაიმარი ჯარისკაცებით, ფორმიანებით და უფორმოებით, ხნიერი მამაკაცებით, რომელთაგან ზოგი დაღუპული შვილის ადგილის დასაკავებლად მიდის მის საბრძოლო შენაერთში, ზოგი სოხუმში მებრძოლი შვილის ამბის გასაგებად. აეროპორტში ირევიან პოლიტიკოსები. ზოგი სოხუმში მიფრინავს, ზოგი უკან ბრუნდება. ვსხედვართ და ჩვენს რიგს ველოდებით. ფრონტზე წასვლის მსურველებს არ ჰყოფნით აეროპორტის კუთვნილი თვითმფრინავები, რომლებიც დღეში რამდენიმე რეისს ასრულებენ სოხუმისკენ. შევარდნაძე სოხუმშია, ბიჭებთან ერთად ვუსმენ მის რადიომიმართვას და ცხოვრებაში პირველად, ლამის „ჩესტზე" წამოვუდგე ჩემი მთავარსარდლის განწირულ ხმას: „ჯარისკაცებო, მოხალისეებო, ექიმებო, ჟურნალისტებო, მთელი საქართველოს მოსახლეობავ, ქართველებო და არაქართველებო, ვისაც გული გერჩით, მოგმართავთ საქართველოსთვის უმძიმეს წუთებში. სოხუმი საფრთხეშია, სოხუმს თქვენი დახმარება სჭირდება"

ბიჭების ერთ ნაწილს გული ვერ უთმენს, აეროპორტიდან ბრუნდება და მანქანებით მიდის ოჩამჩირეში. ჩვენ, როგორც იქნა, ავედით თვითმფრინავში. სალონში ჯარისკაცები ფეხზეც კი დგანან. უკვე მივფრინავთ სოხუმისკენ, მათარებით წამოღებული არყით თბილისიდან აფრენისას ტრადიციულად ვსვამთ ჩვენი გამარჯვების სადღეგრძელოს.

მთავარია, ჩავუსწროთ სოხუმს, საფრენი ამინდია... რამდენიმე წუთში უკვე ბაბუშერაში დავფრინდებით. ვგრძნობ, ძარღვებში სისხლი მემატება, ზურას და ვაჩეს მაგივრად მივფრი-

ნავ სოხუმის დასაცავად. აი, ბიჭების შემცბარ სახეებს ვამჩნევ, ბაბუშერიდან შემაშფოთებელი ამბები გადმოუციათ. აეროპორტი იბომბება. პილოტები გვიხსნიან რისკის რეალობას. წამს სალონში სიჩუმე ისადგურებს, შემდეგ კი ყველა ერთად ყვირის: „სო-ხუ-მის-კენ, სო-ხუ-მის-კენ!" მათ მეც ვუერთდები. სულ ცოტა დაგვრჩა, ხუთიოდე წუთი. საათზე ვიყურები და ათვლას ვიწყებ. აი, თვითმფრინავი გაშლის ბორბლებს აფხაზეთის მიწაზე, რუსული СУ-ები თავს დაგვტრიალებენ, გამაყრუებელი ხმები სადღაც ზღვიდან აღწევს სალონში, მაგრამ მთავარია, რომ ახლა არ ვფიქრობ საფრთხეზე, არც სიკვდილზე, მხოლოდ იმ წუთზე ვფიქრობ, ჩემს ბიჭებს, სოხუმის დამცველებს რომ შევუერთდები"

კახა დვალიშვილის დღიურებიდან, 23 სექტემბერი, 1993 წ.

კახა დვალიშვილის დღიურები აქ წყდება. თვითმფრინავ ТУ-154-ს, რომლითაც „ნიუტონა" და სხვა მეომრები თბილისიდან მიფრინავდნენ, აფხაზებმა ბაბუშერის აეროპორტის თავზე ცეცხლი გაუხსნეს, პილოტებმა თვითმფრინავის დასმა მოახერხეს, მაგრამ მოულოდნელად თვითმფრინავი შუაზე გაიხლიჩა და საწვავის ავზს ალი მოედო. 104 ქართველი მეომარი, მათ შორის „ნიუტონაც", დაიღუპა, მხოლოდ რამდენიმე კაცი გადარჩა. ეს იყო ბოლო თვითმფრინავი, რომელიც თბილისიდან ბაბუშერაში დაეშვა.

1993 წლის 24 სექტემბერს აფხაზურმა ფორმირებებმა ბირეხის მთაზე შემოვლითი გზით შეაღწიეს ქართული შენაერთების ზურგში. შრომიდან დაიძრა მძიმე სამხედრო ტექნიკა, მთიდან ჩელუსკინელების სახელობის ტურბაზისკენ დაეშვა ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონი – ყველაზე სისხლიანი და სასტიკი...

შინაგანი ჯარების მებრძოლი პოზიციაზე

93 იერიში

„– როგორ არის, ბატონო ჟიული, საქმეები? – ჰკითხა ჟიული შარტავას ჯაბა იოსელიანმა ტელეფონით.

– ისვრიან, – წყნარად უპასუხა ჟიული შარტავამ.

– ახლა ყველგან ისვრიან, – მიუგო ჯაბამ გასამხნევებლად.

– არა, პირველ სართულზე არიან უკვე შემოჭრილები, – ჟიულის ტელეფონში მშვიდი ხმა ჰქონდა"

1993 წლის 24 სექტემბერს ჯოჰარ დუდაევის კუთვნილი თვითმფრინავი გროზნოდან სენაკში დაეშვა. ზვიად გამსახურდია ჩამოვიდაო, – ზუგდიდშიც გავრცელდა ხმა. ხალხმა თვალის დახამხამებაში მოიყარა თავი. ყოფილ პრეზიდენტს ქალაქის ცენტრალურ მოედანზე საზეიმო შეხვედრა გაუმართეს. ზვიად გამსახურდიამ ათასობით მხარდამჭერს კანონიერი ხელისუფლების აღდგენისკენ მოუწოდა, შემდეგ კი გამგეობის შენობაში, სადაც სახელდახელოდ რეზიდენცია მოუწყვეს, მუშაობას შეუდგა. შევარდნაძის წაგებულ ომში სოხუმის დამცველების დახმარებაზე „კანონიერ ხელისუფლებაში" არავინ ფიქრობდა, თუმცა, ლოთი ქობალია და აკაკი ელიავა, თავიანთი რაზმებით, ოჩამჩირეში იმყოფებოდნენ, სადაც ქართული ჯარების დიდი ნაწილი იყო თავმოყრილი. საბრძოლო შენაერთები კოდორის ხიდზე გადმოსვლას რატომღაც ვერ ახერხებდნენ. ზოგიერთი მონაცემით, ქობალიას რაზმებს შევარდნაძის ხელისუფლების მხარდამხარ ბრძოლა კი არა, სულ სხვა მიზანი ჰქონდათ (თუმცა, მათ შორის სამშობლოს დასაცავად მზადმყოფნიც იყვნენ) – მათ ადგილობრივ მოსახლეობასა და მეომრებში უნდა გაეღვივებინათ ზვიადისტური მუხტი და ისინი ყოფილი პრეზიდენტის მხარდასაჭერად გადმოებირებინათ. აქცენტი კეთდებოდა შეიარაღებაზე, კერძოდ, სამხედრო ტექნიკაზე. ნაალაფარი თუ სხვა ხერხით ხელში ჩაგდებული იარაღით და ტექნიკით უკან უნდა გამობრუნებულიყვნენ და ხუნტისთვის ბრძოლა გაემართათ.

25 სექტემბერს სოხუმის ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ ფიქრობდა, რომ კოდორთან ქართული ჯარები იდგნენ და სოხუმის დასაცავად მზად იყვნენ. გარდა ამისა, ეგონათ, სადაცაა, ქალაქში რუსი სამშვიდობოები შემოვლენ და ყველაფერი დამთავრდებაო.

„ჩვენ მინისტრთა საბჭოს წინ ვიდექით და აგუძერაში წასასვლელ ავტობუსს ველოდით. თაღში მოულოდნელად „გაზ-66" შემოვარდა. იქიდან სპორტული აღნაგობის ნიღბიანი ბიჭები გადმოხტნენ, რუსული კამუფლირებული ფორმები ეცვათ. ისინი სწრაფად განლაგდნენ შენობის სახურავზე და ფანჯრებთან. ვიღაცამ თქვა, შევარდნაძის მცველები არიანო. შევარდნაძე სათათბიროდ მოდიოდა. ნიღბიანების აღჭურვილობამ გამაკვირვა, – ყველას ტყვიამფრქვევი და სნაიპერის შაშხანა ჰქონდა. ბიჭების ერთი ასეთი ბატალიონი და მარტო სოხუმს კი არ დავიცავდით, აფხაზეთსაც დავიბრუნებდით-მეთქი, გავიფიქრე. წლების შემდეგ სადღაც წავიკითხე, რომ ის ჯგუფი რუსული სპეცდანიშნულების რაზმი „ალფა" ყოფილა. მისი მიზანი

შევარდნაძის დაცვა და მისი სოხუმიდან უსაფრთხოდ გამოყვანა გახლდათ (სავარაუდოდ, ლაპარაკია ქართულ სპეცდანიშნულების რაზმ „ომეგაზე", რომელიც ამერიკაში მოამზადეს და ახალი დაბრუნებული იყო საქართველოში. სწორედ ეს რაზმი იცავდა ბოლომდე შევარდნაძეს სოხუმში).

ქალაქი იცლებოდა. მეომრებს ტყვია-წამალი შემოელიათ, მხოლოდ იმის იმედზე იყვნენ, რაც თავად ჰქონდათ, რამდენიმე მჭიდი და საუკეთესო შემთხვევაში – ერთი ხელყუმბარა, თუმცა, ქალაქის ჩაბარებაზე მაინც არავინ ფიქრობდა...

ნაშუადღევს ქალაქში დარჩენილი ქართული პოზიციები საარტილერიო ცეცხლში მოექცა. სიტუაცია დამძიმდა. აფხაზები მთავრობის სახლში შეჭრას ცდილობდნენ.

სოხუმის

„ჩვენ დავბრუნდებით", – წარწერა მეომრის საფლავზე.

„ბოლომდე ვიბრძოლებთ, ვიდრე შეგვიძლია და თუ სიკვდილი გვიწერია, არც ეს უნდა იყოს დიდი ტრაგედია, ისეთი ბიჭები იხოცებიან, რომ ძნელია, ამის შემყურემ სიცოცხლეზე იფიქრო. რას იზამ, ბედისწერას ვერ გაექცევი".

ჟიული შარტავა, 26 სექტემბერი, 1993 წ.

ბრძოლა სოხუმის ქუჩებში

„მე ვარ...“

ჟიული შარტავა

„1993 წლის 27 სექტემბერს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟიული შარტავა სოხუმში იყო, 11 სთ-ზე მას ტელეფონით ვესაუბრე. ზემო ლინდადან ჩანდა, როგორ იწვოდა სოხუმი და მტერი ახლოს იყო მისული მინისტრთა საბჭოს შენობასთან. ეს ვაუწყე ბატონ ჟიულის, მაგრამ მან მიპასუხა: „მე ჟიული შარტავა ვარ და არსად წამსვლელი არ ვარ“. 12 საათზე აქტივის კრება ჰქონდა დანიშნული, ჩემი აზრით, ჟიული შარტავა გუდაუთამდე არ მიუყვანიათ, ის სოხუმშივე დახვრიტეს“.

ჯემალ საჯაია (პარლამენტარი)

27 სექტემბერს, დილით, სოხუმში დარჩენილმა მოსახლეობამ სანატორიუმში დატრიალებული სისხლიანი ბაკქანალიის ამბავი შეიტყო. როდესაც ბაგრამიანის სომხურმა ბატალიონმა სანატორიუმი და ახლომახლო ტერიტორია დაი-

კავა, ქართველი მოსახლეობის ჟლეტა დაიწყო. მათ ფანჯრებიდან ყრიდნენ, დაჭრილებს პირში მიწას ტენიდნენ – ხომ გინდოდათ აფხაზეთის მიწა, ჰოდა, ჭამეთო... მერე ჭებში უძახებდნენ. ერთი მხცოვანი მასწავლებელი მხოლოდ იმიტომ მოკლეს, რომ სკოლაში თავის დროზე მათ ქართულს ასწავლიდა...

12 საათზე მოწინააღმდეგემ მთავრობის სახლის იერიში დაიწყო.

„6 სართული ერთბაშად აალდა. ვიღაცა ყვიროდა, – ახლა ნახეთ, როგორ ვირთხებივით გამოძვრებიან ქართველებიო, მაგრამ არავინ ჩანდა, ეტყობა, უკანასკნელ ტყვიასაც დახარჯავდნენ შენობის დასაცავად. ბოლოს, როგორც იქნა, გამოვიდნენ, 13-14 კაცი იქნებოდა, ყველას სამხედრო ფორმა ეცვა, მხოლოდ ერთს ეცვა რაღაც ნაცრისფერი ქურთუკი (ჟიული შარტავა). მუსამ დაიძახა, – ნახე, როგორ დგანან. თითქოს ომი მათ კი არა, ჩვენ წაგვეგოსო და მისცვივდნენ საცემრად. შენობის მარჯვენა ფლიგელზე გამარჯვების დროშა სოხუმის ბატალიონის მეომრებმა ააფრიალეს. მინისტრთა საბჭოს შენობის წინ კიდევ რამდენიმე საათი ვიყავით. ცეცხლი რომ მინელდა, ორი მოხალისე – ერთი ჩემი თანამემამულე იყო, არსენ აფენდიევი, მეტსახელად „მონლოლი“, და პოლონელი იანოშ გაიდვა სახურავზე აძვრნენ, ქართული

ომში ყველაზე მეტად მშვიდობიანი მოსახლეობა ზარალდება...

დროშა ჩამოხსნეს და აფხაზური აღმართეს. შენობიდან რომ გამოდიოდნენ, მოულოდნელად მესამე სართულიდან ვიღაცამ ესროლა და ორივე ჩვენ თვალწინ მოკლა. ამას ნამდვილად არ ველოდით. ჩეჩნები შეცვივდნენ შენობაში და გამოათრიეს მკვლელი. ქართველი იყო. ფეხები დამწვარი ჰქონდა. ჯერ მაგრად სცემეს, მერე მუსამ ხეს მიაყუდა და „მუხა“ ესროლა. ჩაგვიმწარდა იმ დღეს გამარჯვების აღნიშვნა“

ყაბარდოელი დაქირავებული
მეტყვიამფრქვევე მაშკას (ყაბარდოულად – ბიჭი)
მოგონებიდან

მინისტრთა საბჭოს აღების შემდეგ სოხუმი დაეცა. ათასი ჯურის დაქირავებულ ბოევიკთა რაზმებმა ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა დაიწყეს...

ასე დამთავრდა ომი. რომელიც 13 თვე და 13 დღე გრძელდებოდა...

„სოხუმიდან დევნილი მოსახლეობა სვანეთის გზას დაადგა ჭუბერის უღელტეხილისკენ. გაუბედურებულ და გამწარებულ ხალხს აქ არანაკლები განსაცდელი ელოდა. გზაზე დაიწყო ძარცვა, იყო გაუპატიურების ფაქტებიც...

15 დღე მივდიოდით სვანეთის გზაზე. თოვლმა მოგვისწრო, ხალხი სიცივისაგან ითოშებოდა. უღელტეხილზე ვნახე ჩემი მეზობლები, რომელთაგან ხუთი სიცივისაგან გაყინულიყო. აქვე ვნახე გაყინული დედა თავისი ორი შვილით. მწვერვალზე დაიღუპა დეპუტატ ჯიქიას ქალიშვილი. ისეთი ყინვა იყო, მიწა ვერ ამოვთხარეთ. მის გვამს მხოლოდ ქვები შემოვუწყვეთ გარშემო. ამაზრზენი იყო ის, რომ მეომრები ქალებსა და ბავშვებს ასწრებდნენ გაქცევას. შვეულმფრენებთან ზედახორა იდგა. ჩემი ძმის მანქანაში ქალმა იმშობიარა. მას რძე არ ჰქონდა. თხის რძეს სვანებში ვშოულობდით, რომ ბავშვი არ მოგვკვდომოდა. სამჯერ ვითხოვე, რომ დედა-შვილი შვეულმფრენში ჩაესვათ. ღვთის წყალობით, ისინი გადარჩნენ. ასეთი წვალებით გამოვაღწიეთ სამშვიდობოს. ჩვენ დევნილები ვართ. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ იქ დავბრუნდეთ, ჩვენს სახლში"

ჯემალ საჯაია (პარლამენტარი)

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ დრო ვერაფერი მკურნალი გამოდგა, პირიქით, ტკივილი უფრო ახლდება... ბევრი რამ, უწინ ბუნდოვანი, დღეს სიცხადეს იძენს და უკეთ ვხედავთ აფხაზეთის დაკარგვის მიზეზებს.

ჭუბერის უღელტეხილი. „ჩვენ დევნილები ვართ..."

ამბიონიდან მიმართა მრევლს, –

სოხუმის მახლობლად, სოფელი კამანი ღვთის მადლით არის აღსავსე. აქ აღავლინა უკანასკნელი ლოცვა მსოფლიოს დიდმა ქადაგმა იოანე ოქროპირმა, აქ იპოვეს იოანე ნათლისმცემლის მოკვეთილი თავი, აქ 308 წელს ქრისტიანობისთვის აწამეს წმინდა თეოდორე ტირონელის ძმისწული წმინდა ვასილისკო... 1993 წლის 5 ივლისს ახალაღდგენილ წმინდა იოანე ოქროპირის სახელობის ტაძარში ურწმუნოთა ჯგუფმა ტაძრის წინამძღვარი, ბერი ანდრია ყურაშვილი იმისთვის მოკლა, რომ აფხაზეთის მიწა საქართველოდ და საქართველო – უფლის მიწად მოიხსენია.

როცა აფხაზებმა სოფელი ალყაში მოაქციეს, მამა ანდრიამ ყველას მოუწოდა, ღირსებითა და მორჩილებით მიეღოთ ღვთის მიერ მოვლენილი მძიმე განსაცდელი. ბრძოლის ხმა უკვე ეკლესიის ახლოს ისმოდა. კამანის ინვალიდთა სახლის მოხუცები დახმარებას ითხოვდნენ. მამა ანდრია არ შეშინდა და ტყვიების წვიმაში მოხუცებისაკენ გაეშურა. სულ მალე ბრძოლა ეკლესიის ეზოში გაჩაღდა.

ღამის 3 საათზე მოძღვარმა ამბიონიდან მიმართა მრევლს, – სიკვდილთან შესახვედრად მოემზადეთო და მერე ეკლესიაში მყოფნი აზია-

რა, მამა ანდრიას კურთხევით, ეკლესიის აღმდგენმა იური (გიორგი) ანუამ მტერს კარი გაუღო.

განთიადისას მამა ანდრია ეკლესიიდან გაიყვანეს. თავს დაჰყვიროდნენ, – გვითხარი, ვისი მიწაა აფხაზეთიო. მამა ანდრიას მშვიდად უპასუხია, — ღვთის მიწააო. რომ ვერ მოდრიკეს, მუხლებზე დაცემულ და გულმხურვალედ მლოცველს კისერში ესროლეს. იმის ნაცვლად, წინ დაცემულიყო, როგორც ჩვეულებრივ ხდება, მამა ანდრია ზურგით დაეცა. ეკლესიაში გამოკეტილებმა მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ გაიგეს, რომ მათი მოძღვარი მოკლეს. მამა ანდრიას სხეული მიწაზე ესვენა, სახეზე ოდნავ შესამჩნევი ღიმილი დასთამაშებდა.

კამანის ეკლესიის მრევლმა თვალნათლივ იხილა სასწაული. ივლისის ცხელ დღეებში მამა ანდრიას სხეული უხრწნელი დარჩა. გვამს ჭრილობიდან სისხლი ისევ სდიოდა და მკვლელობის ადგილას დაღვრილიც არ დედდებოდა. ამ სასწაულს აფხაზებიც შეესწრნენ. ბევრი მათგანი შენდობას ითხოვდა, წუხდა და თვალზე მომდგარ ცრემლს ვერ მალავდა. მათგან ზოგმა მამა ანდრიას მკვლელზე შურისძიებაც მოინდომა, მაგრამ სხვებმა ამის უფლება არ მისცეს. მკვლელობიდან რამდენიმე დღის შემდეგ თავად აფხაზებმა აცნობეს მრევლს, რომ მამა ანდრიას მკვლელი ნაღმს აეფეთქებინა... მამა ანდრია კამანში, ეკლესიასთან ახლოს დაკრძალეს.

განთიადისას მამა ანდრია ეკლესიიდან გაიყვანეს. თავს დაჰყვიროდნენ, – მითხარი, ვისი მიწაა აფხაზეთი? მამა ანდრიას მშვიდად უპასუხია, – ღვთის მიწაო.

„თუ ძალიან უნდათ, მოსკოვის ოლქში ჩაასახლონ ჩეჩნები, რატომ მაინცდამაინც აფხაზეთში?!“

ედუარდ შევარდნაძე: – ომის დასაწყისში აფხაზეთს ჯარიც კი არ ჰყავდა, როგორც ამბობდნენ, მძიმე ტექნიკით რეაქციული ძალები ამარაგებდნენ. ნახევარმილიონიანი მოსახლეობიდან აფხაზები 17%-ს შეადგენენ. როგორ მოახერხებდა 17% დანარჩენი 80%-ის გენოციდს? იქ, ფაქტობრივად, ეთნიკური წმენდა მოხდა, 300 000 კაცი დევნილი გახდა, არა მარტო ქართველები, სომხებიც და ბერძნებიც. ათასობით ადამიანი დახვრიტეს. ეს ადამიანის უფლებათა დარღვევის ყველაზე საშინელი, აღმაშფოთებელი ფაქტია, რომელიც ამ საუკუნეს მოხდა, რომელიც ევროკავშირის სახელმწიფოთა მეთაურებმაც აღიარეს.

აფხაზებს ეხმარებოდნენ ფინანსებითა და თანამედროვე სამხედრო ტექნიკით. მე სოხუმში ვიყავი კრიტიკულ მომენტში. ვიცი, რას ნიშნავს „გრადი“ და ავიაბომბარდირება. საიდან ჰქონდათ ეს ტექნიკა აფხაზებს?! აფხაზეთი ომისთვის ემზადებოდა, დაიქირავეს საუკეთესო სამხედრო სპეციალისტები, მოსახლეობას იდეოლოგიურად წვრთნიდნენ.

რადაც უნდა დაგვიჯდეს, საქართველოსა და აფხაზეთს შორის დევნილების დაბრუნების თაობაზე მოლაპარაკება უნდა შედგეს! წინა წლებშიც რამდენიმე ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი, მაგრამ დევნილები ვერ ბრუნდებიან.

რლდპ-ის (რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია) წარმომადგენლები ჩეჩნეთის კონფლიქტის გადაწყვეტის ორიგინალურ აზრს გვთავაზობენ – ჩაასახლონ ჩეჩნები აფხაზეთში. ასეთი გადაწყვეტილება ჩვენთვის მიუღებელია. თუ ძალიან უნდათ, მოსკოვის ოლქში გადაასახლონ, რატომ მაინცდამაინც აფხაზეთში?..

„მოსკოვსკი კომსომოლეცი“

სოხუმი დაბომბვის შემდეგ

„გამარჯვებულები ჩვენ ვართ!“

ლ. ლაკერბაია, *აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი*: – ჩვენ არ ვეთანხმებით ქართული მხარის წინადადებას, ვიყოთ საქართველოს ერთიან ფედერაციულ სახელმწიფოში. იმ ომის შემდეგ არ არის არავითარი გარანტია, რომ საერთოდ ვიარსებებთ საქართველოს ფედერაციის ჩარჩოებში. ამ ომში გამარჯვებულები ჩვენ ვართ! ჩვენი ორი მეზობელი სახელმწიფო ერთმანეთს რომ შევადაროთ, რუსეთი უფრო საინტერესოდ, დინამიკურად, უფრო პერსპექტიულად გამოი-

1992 წელი. ბათუმიდან სოხუმში გემმა 200 ტონა პურის ფქვილი ჩაიტანა

ყურება, ვიდრე საქართველო. ეს ეხება დემოკრატიულ საფუძვლებსაც...

სამშვიდობო ძალები აფხაზეთში თავიანთ მისიას ასრულებენ, იცავენ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმს. ის, რომ გალის რაიონში 59 ათასი დევნილი სპონტანურად დაბრუნდა, სამშვიდობო ძალების დამსახურებაა: ქართულმა მხარემ უნდა შეიგნოს, რომ სამშვიდობო ძალების წასვლისთანავე ეს 59 ათასი ადამიანი აუცილებლად აღმოჩნდება ენგურს გაღმა! დღეს ისეთ დღეში არ ვართ, როგორშიც 1992 წლის 14 აგვისტოს ვიყავით. ჩვენ უფრო ძლიერები ვართ!

გაზეთი „რესპუბლიკა აბხაზია“

„აქ იყო ყველაფერი – უუნარობაც და ღალატიც“

ირაკლი ქადაგიშვილი, *საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე (1992-1993):* – საჭირო სანვავი, ტყვია-წამალი და ტექნიკა ძალიან ცოტა მიდიოდა ფრონტზე იმიტომ, რომ სამეგრელოზე ტვირთის უსაფრთხო გატარება შეუძლებელი იყო. ამ პერიოდში ბევრი ტვირთი შემოჰქონდათ საქართველოში ჰუმანიტარული დახმარების სახით. ასეთ ვითარებაში მყოფი დეზორგანიზებული და დეგრადირებული ქვეყანა საომარ მოქმედებებში არ უნდა ჩართულიყო. ჩვენ ვერ გავითვალისწინეთ, რომ აფხაზეთი რუსეთის ბრმა იარაღი იყო და ომი სეპარატისტებთან კი არა, რუსეთთან გვექნებოდა. ამ ვითარებაში მყოფი ქვეყანა, ბუნებრივია, ომიდან გამარჯვებული ვერ გამოვიდოდა, თუმცა, შეიძლებოდა გარკვეული ძალისხმევის გატარება, რომ სიტუაცია ასეთი დამღუპველი არ ყოფილიყო. მაგრამ აქ იყო ყველაფერი – უუნარობაც და ღალატიც.

„ჩვენ ვერ გავითვალისწინეთ, რომ აფხაზეთი რუსეთის ბრმა იარაღი იყო და ომი სეპარატისტებთან კი არა, რუსეთთან გვექნებოდა. ამ ვითარებაში მყოფი ქვეყანა ომიდან გამარჯვებული ვერ გამოვიდოდა...“

როცა მიწა შენთვის მშობლიურია

ა. სარეციანი, *აფხაზეთის სომხური კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოების გაზეთ „კრუნკის" მთავარი რედაქტორი:* – აფხაზეთის ტელევიზია სამ საღამოს უჩვენებდა დოკუმენტურ ფილმს – „ამშენელი სომხები აფხაზეთში" ეს ფილმი თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ როგორი გმირობით, მამაცობითა და თავგანწირვით აღუდგნენ წინ ქართველი ნაციონალისტების მიერ აფხაზეთის დამონების მცდელობას ის კეთილშობილი სომხები, რომლებმაც ძნელებედობის ჟამს გულთბილი თავშესაფარი აფსნიში პოვეს. ამ ომში არნახული დიდებით შეიმოსა მარშალ ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონი.

გაზეთი „კრუნკი"

„რა ჩემი ბრალია, თუ თქვენი ჯარი პირველსავე გასროლაზე გაიქცა?"

1993 წლის 18 სექტემბერს, ადლერში შეხვედრისას გენერალმა გრაჩოვმა ედუარდ შევარდნაძეს დსთ-ში შესვლის სანაცვლოდ შესთავაზა, რომ აფხაზეთში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ფოთში ფსკოვისა და ტულის საჰაერო-სადესანტო დივიზიებს შემოიყვანდა, რათა სისხლის ღვრა შეჩერებულიყო (ეს ის გრაჩოვი გახლდათ, რომელმაც აფხაზეთში რუსეთის სამხედრო თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ განაცხადა: ქართველებმა თავისი Cy-ები „რუსულ ფერებში" გადაღებეს და თვითონ ბომბავდნენ სოხუმსო).

შევარდნაძემ ჯერ უარი უთხრა, რადგან თავდაცვის მინისტრი გია ყარყარაშვილი და უშიშროების მინისტრი ირაკლი ბათიაშვილი წავიდნენ წინააღმდეგ. რამდენიმე დღის შემდეგ, 24 სექტემბერს, როცა ვითარება ძალიან დაიძაბა, შევარდნაძემ გრაჩოვთან დაკავშირება სცადა, რათა შეეტყობინებინა, თანახმა ვარო. თუმცა, გრაჩოვმა მოუჭრა: „მატარებელმა ჩაიარა უკვე გვიან არის!"

პაველ გრაჩოვი, *რუსეთის ყოფილი თავდაცვის მინისტრი:* – რამ გამოიწვია თქვენი დამარცხება? იმან, რომ არმია არ გყავდათ! რას ეძახით თქვენ არმიას – ბანდას? ბრძოლისუნარიანობით აფხაზური ფორმირებები ასჯერ მაღლა იდგნენ თქვენზე. კიტოვანს ასჯერ უნდა ეფიქრა, სანამ აფხაზეთში ჯარს შეიყვანდა. სოჭში რომ შევხვდი, ვუთხარი, – წააგებ-მეთქი. არ დამიჯერა. ჩემზე მას გენიალური მთავარსარდლის შთაბეჭდილება არ მოუხდენია... რა ჩემი ბრალია, თუ თქვენი ჯარი პირველსავე გასროლაზე გაიქცა?

„აფხაზებსა და ქართველებს საერთო სამშობლო აქვთ“

ლორიკ მარშანია, *აკადემიკოსი, აფხაზეთის ლეგიტიმური უმაღლესი საბჭოს მრჩეველი:*

– არ არსებობს სხვა უფრო ერთმანეთთან ახლო მდგომი ხალხი, ვიდრე აფხაზები და ქართველებია.

სწორედ საქართველოსთან კავშირით შეინარჩუნა აფხაზეთმა ეთნოისტორიული სივრცე, საკუთარი სახე.

არც ერთ ყოფილ საბჭოთა ავტონომიას არ მიუღწევია ეროვნული ეკონომიკის, სოციალური სფეროს, ენის, ლიტერატურის, მეცნიერების, კულტურის, კადრების მომზადების ისეთი მაღალი დონისთვის, როგორიც აფხაზეთს.

ბრძოლები სოფელ კოლხიდასთან

დღეს ყველამ იცის, რომ სოხუმი და მთლიანად აფხაზეთი რუსული იარაღით კბილებამდე შეიარაღებულმა დაქირავებულმა ბანდებმა აიღეს და არა მითურმა „აფხაზურმა არმიამ“.

შედეგი კატასტროფული აღმოჩნდა. დანგრეულია ათეულობით სოფელ-ქალაქი, გაძარცულია და გადამწვარი სახლები, ნაწამები, დახვრეტილი ან გაძევებულია აფხაზეთიდან, პრაქტიკულად, მთელი ქართველი მოსახლეობა.

მასობრივ მკვლელობებს თან განსაკუთრებული სისასტიკე ახლდა – გვამების დაწვა-დაჩეხა, წამება, გაუპატიურება.

ყველაზე დიდი დაუნდობლობით გამოირჩეოდნენ ე.წ. მეორე და მესამე სომხური ბატალიონების დამსჯელები, რომელთაც მარშალ ბაგრამიანის სახელიც მიისაკუთრეს...

ადამიანებს, რომლებიც მხეცურად გაუსწორდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ჟიული შარტავას, მე-20 საუკუნის ბარბაროსების მეტს ვერაფერს უწოდებ. შარტავას სახით მათ მოკლეს არა მარტო ნათელი პიროვნება, გამოჩენილი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, არამედ ზნემაღალი ადამიანი, აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი.

სეპარატიზმმა საჭოჭმანო გახადა აფხაზი ერის თვით არსებობაც, მისი გენოფონდი განადგურების პირას მიიყვანა.

აფხაზეთის ტრაგედია შედეგია არა მარტო სეპარატისტული განწყობილებების რეალიზაციისა და რუსეთის რეაქციული ძალების ყბადაღებული პრინციპისა – „გათიშე და იბატონე“, არამედ ქართველი ცრუპატრიოტების უპასუხისმგებლო ნაბიჯებისა და „მხედრიონისა“, რომელთაც „სამშობლოს მხსნელების“ პრეტენზია ჰქონდათ.

300 000-მდე კაცი აფხაზეთიდან დევნილად იქცა...

სოხუმი. მარცხნივ: თენგიზ კიტოვანი,
მარჯვნივ – გია გულუა

„დღეს ეს სასჯელს გაგრის გაწირვისათვის“

მიხო მორჩილაძე, ბატალიონ „მიხოს“ და დივიზია „თბილისელის“ მეთაური: – გაგრაში აღებული გვქონდა მიუსერის მაღლობი, რომელიც აკონტროლებდა გუდაუთას, ბიჭვინთას და თავად გაგრას. 3 სექტემბრის ცნობილი შეთანხმების შემდეგ, პოლკოვნიკ მიხეილ მარინაშვილის (გაგრის კომენდანტი) ბრძანებით, დავტოვეთ ეს მაღლობი და, როგორც იტყვიან, „ფრონტის ხაზი გავასწორეთ“ ეს იყო საბედისწერო შეცდომა და როცა მარინაშვილს პასუხი მოვთხოვე, მან მითხრა: „პრიკაზი ნე ობსუჟდაიუტსა, ვიპალნიაიუტსაო“! დღეს კიტოვანი სასჯელს უნდა იხდიდეს ამ უსუსური ბრძანებისთვის, იმისათვის, რომ ერთხელ არ ჩამოსულა გაგრაში, გაგრის გაწირვისთვის...

და კიდევ: გაგრის დაცემის წინა დღეებში, როდესაც ქალაქს ალყა ემუქრებოდა, დაღუპული თანამებრძოლი ჩამოვასვენე თბილისში და პირდაპირ თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის განყოფილებაში მივედი. დაზვერვის უფროსის მოადგილეს, კა-გე-ბეს ყოფილ პოლკოვნიკ სერგეი ასლანიდს ვაჩვენე რუკა, სადაც აღნიშნული იყო, თუ საიდან ემუქრებოდა გაგრას საფრთხე და რა უნდა გაგვეკეთებინა. გადაწყვეტილება, თუ ბრძანება სასწრაფოდ იყო გასაცემი... ასლანიდმა კარგად გამომკითხა ყველაფერი, გამიმასპინძლდა კიდევაც და მერე მეუბნება: დღეს პარასკევია, „მოკლე“ დღე. მბეჭდავ-მემანქანე წასულია. ხვალ შაბათ-კვირაა, არ ვმუშაობთ(!). ორშაბათს მე თვითონ გადავწერ ამ ინფორმაციას და სამშაბათს ხელმძღვანელობას წარვუდგენო! დიდი ხნის შემდეგ გავიგე, ასლანიდი სუკ-ის სკოლაში პედაგოგობდა...

თენგიზ კიტოვანთან მისვლამდე გაგრის მოახლოებულ ტრაგედიაზე ვესაუბრე ჭაბუა ამირეჯიბსა და ჯანსუღ ჩარკვიანს. ორივენი სახელმწიფო სათათბიროს წევრები იყვნენ და შეიძლება სახელმწიფოს მეთაურამდე მიეტანათ ჩვენი გასაჭირი. ორივემ ცალ-ცალკე მაშინვე დარეკა თავდაცვის მინისტრთან – რამე ხომ არ გეშლებაო, – მკითხა ბატონმა ჭაბუამ, – მინისტრი იფიცება, – ეს ყველაფერი პანიკააო... მესამე დღეს გაგრა დაეცა.

...ეს იყო საბედისწერო შეცდომა

„იქ, სადაც საქართველოს ბედი წყდებოდა, ტყვია-წამალი ვერ მიდიოდა“

გიორგი ხაინდრავა, *სახელმწიფო მინისტრი აფხაზეთის საკითხებში (1991-1992)*: – ფრონტის მომარაგება ორგანიზებულად და კეთილსინდისიერად რომ მომხდარიყო, აფხაზეთს არ დავკარგავდით. ომის დროს ჭირდა საწვავი, იმიტომ, რომ აქაური სამხედრო მესვეურები მაშინ სომხეთში უფრო სარფიან გზებს პოულობდნენ, აფხაზეთამდე ტვირთის მიტანა ჭირდა, იმიტომ, რომ ქობალიების კლანი და ელიავები დროებით განაგებდნენ სამეგრელოს რეგიონს და გზებს კეტავდნენ. მაგათ მარტო ის არ უნდა მოჰკითხოდათ, რაც მოჰკითხეს, ელიავას ჩათვლით, ბრალი მიუძღვით ჩვენი დაჭრილების ძარცვასა და დახვრეტაში. მათ პასუხი უნდა ეგოთ იმის გამოც, რომ ტყვია-წამალი ვერ მიდიოდა იქ, სადაც საქართველოს ბედი წყდებოდა.

რატომ არ ჩაებნენ ბრძოლაში ჩვენი მეომრები?!

ანზორ ნონონავა, *ფრაქცია „აფხაზეთი“*: – 15 სექტემბერს რუსეთის ჯარების სარდალმა, გენერალმა კოლესნიკოვმა განაცხადა, რომ 16-ში სოხუმი დაეცემოდა. საფრთხე მართლაც რეალური იყო. ამ დროს შეიარაღებული და საბრძოლო ტექნიკით აღჭურვილი ჩვენი ჯარი ოჩამჩირეში იდგა. საინტერესოა, რატომ არ ჩაებნენ ბრძოლაში ეს მეომრები? რატომ არ გასცეს შესაბამისი განკარგულება იმ გენერლებმა, რომლებიც დღესაც იღვწიან თავდაცვის სამინისტროში? მხოლოდ გია ყარყარაშვილმა შეძლო კოდორის რკალის გარღვევა. იგი ბიჭებს ეხვეწებოდა, წამომყევითო, მაგრამ მხოლოდ 200 კაცი და 5-6 ტანკი გაჰყვა, დანარჩენებმა ადგილიდან ფეხი არ მოიცვალეს. იმ დროს კოდორის მარცხენა მხარეს გასვლა ცენტრალური გზითაც შეიძლებოდა, სადაც მხოლოდ 200 აფხაზი ბოევიკი იდგა, მაგრამ ეს არ გაკეთდა. ჟიული შარტავას დავალებით ვაკონტროლებდი, რამდენი კაცი ჩამოდიოდა აფხაზეთში და რამდენი გადიოდა იქიდან. დავაზუსტე, რომ თბილისიდან 10 დღის განმავლობაში 2 300 მოხალისე ჩამოვიდა, მათგან მხოლოდ 120 კაცი მივიდა საბრძოლო ბრიგადაში გენო ადამიასთან. დანარჩენების ასავალ-დასავალი ვერ გავიგე. ე.ი. ამ 2 300 კაციდან 2 180 საყაჩაღოდ იყო ჩამოსული. აფხაზეთში მეომრების დიდი ნაწილი ხელცარიელი ჩამოდიოდა, ხოლო იქიდან დაშლილი ავტომატები ტომრებით მიჰქონდათ. ჩვენი 87 მებრძოლი კეფაში ნასროლი ტყვეიით იყო მოკლული, რაც ადასტურებდა, რომ ამის ჩამდენნი ჩვენი თანამემამულენი იყვნენ.

სანაპირო დაცვის კატარღით მებრძოლები სანაპირო ზოლს აკონტროლებენ

სოხუმისკენ მიმავალი გზა მკაცრად კონტროლდება

გალის დათმობა ომის მეორედ წაგებას ნიშნავს

ენგურსგაღმა ბიჭები მოწინააღმდეგის სანგრებიდან ყოველ წამს თავდასხმას ელიან. გალის დათმობა ომის მეორედ წაგებასა და ეროვნული უსუსურობის დასტური იქნება. აფხაზეთის ომის ბოლო დღეებში, მიუხედავად იმისა, რომ გალში არ მიმდინარეობდა საომარი მოქმედებები, აფხაზური გვარდია გალის რაიონის სოფლებს შეესია...

ზაირა გვაგვალია, *განახლების სკოლის დირექტორი:* „სანამ სულიერი ჭაჭანებს, აქედან გასვლას არ ვაპირებ. ქალებიც კაცების გვერდით დავდგებით. უკან დასახევი არაფერი გვაქვს. ვიდრე ჩვენი ბიჭები მაგრად არიან, ჩვენც კარგად ვართ. სოფლიდან ცოცხალი არ გავალთ. პურს მაინც გამოვაცხობთ და მივაწვდით მებრძოლებს. ღმერთმა ქნას, მოვრიგდეთ, მაგრამ თუ ეს არ მოხდა, ერთი ბიჭი მყავს და იმასაც შევწირავ...“

ზემობარღელები იარაღს ითხოვენ. არაერთხელ წამოყენებულ ბრალდებას – გალელებს თავის დროზე არ უბრძოლიათო, ასე უპასუხებს: „იარაღი გვინდა... დაგვირიგონ და მერე გამოჩნდება, ვინ არის ლაჩარი და ვინ – გმირი!..

როცა აფხაზურმა მხარემ გალში შეიყვანა მძიმე ტექნიკა, ნაღმსატყორცნები და საზენიტო დანადგარები, ქალებმა და ბავშვებმა დატოვეს ახლომდებარე სოფლები და ზუგდიდს შეაფარეს თავი.

2:0 – საქართველო მეორედ დამარცხდა

...შემდეგ იყო 1998 წლის მაისის გალის სამხედრო ოპერაცია, რომლის შედეგადაც მივიღეთ ქართველების სრული და საბოლოო განდევნა ამ მინა-წყლიდან. გალის სოფლებს რუსული სამხედრო ტექნიკა იმ დროს შეესია, როცა მოსახლეობის უმეტესობას ეძინა. ვინც გაქცევა ვერ მოასწრო, იქვე დახვრიტეს.

„უნდა ვეცადოთ 26 მაისისთვის, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, გალის თავზე ქართული სახელმწიფო დროშა ფრიალებდეს და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიაც გალში ჩავატაროთ".

ზურაბ ერქვანია

(აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე), 1998 წ.

„უნდა გადავწვათ ყველაფერი: ხეები, პირუტყვი, სახლებში გამოვწვათ მათი ბებრები. ქართველები 27 სექტემბრამდე აზრზე ვერ უნდა მოვიდნენ, შემდეგ კი ფეხი ველარ უნდა მოიკიდონ ამ მინაზე. აფხაზეთში დაბრუნების სურვილი ხომ წელიწადში ორჯერ უჩნდებათ – 26 მაისს, დამოუკიდებლობისა, და 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს. ეს სურვილი უნდა ჩავუკლათ".

ეკა ახალაია

(აფხაზ ქალთა ბატალიონის მეთაური), 1998 წ.

1998 წლის გაზაფხულისთვის გალის რაიონში ქართველი მოსახლეობის რაოდენობა 60 000 კაცს შეადგენდა, 32 ქართულ სკოლაში 4 500 ბავშვი სწავლობდა. გააქტიურებული პარტიზანული მოძრაობის გამო, გალის ე.წ. ქვედა ზონას აფხაზები, ფაქტობრივად, ველარ აკონტროლებდნენ... დროდადრო საქართველოს დროშების გალის ქართული სოფლების თავზე აფრიალება აღარც აფხაზებს უკვირდათ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ქართულმა მხარემ 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების ღონისძიების გამართვა სოფელ ფიჩორში გადაწყვიტა. სპეციალურად მომზადდა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილის მიმართვა გალის ქართველი მოსახლეობისადმი, სადაც არძინბას რეჟიმი ფაშიზმთან იყო შედარებული და ერთგვარი მოწოდებაც იყო ბრძოლისკენ.

1998 წლის 9 მაისს ფიჩორში გამართულ მარულას აფხაზეთის მთავრობის წევრები და დეპუტატებიც ესწრებოდნენ, საღამოს კი მთელი საქართველო, ერი თუ ბერი, სიხარულს ვერ მალავდა, მალე გალი ისევ ჩვენი იქნებაო და აზრადაც არავის მოსდიოდა, რომ ფიჩორში აღმართული ქართული დროშა საქართველოს უახლოეს ისტორიაში ყველაზე სისხლიანი პროვოკაციის დასაწყისი გახდებოდა...

1998 წლის 18 მაისისთვის გალის რაიონში იყო ყველა პარტიზანული დაჯგუფება: „ტყის ძმები", „თეთრი ლეგიონი", „სამურაი"... ქართული მხარე გალში შესასვლელად საბაბს ელოდა, ასეთი კი სოფელი სიდა აღმოჩნდა: 19 მაისს, შუადღისას, ცნობილი გახდა, რომ სიდაში პარტიზანებსა და აფხაზებს შორის შეიარაღებული დაპირისპირება მოხდა, მიზეზი ორი ქართველი პარტიზანის მკვლელობა იყო. აფხაზებმა თავი სკოლას შეაფარეს, პარტიზანებს ისინი ალყაში ჰყავდათ...

1998 წლის 20 მაისს სოფელ ზემო ბარლებთან გამაგრებული მცირერიცხოვანი პარტიზანული დაჯგუფება კბილებამდე შეიარაღებული 400-კაციანი აფხაზური დაჯგუფების (ყაბარდოელები, რუსები და ბაგრამიანის ბატალიონი) პირისპირ აღმოჩნდა. როცა პარტიზანებმა მოსახლეობას სოფლის დატოვება შესთავაზეს, მამაკაცებმა უარი თქვეს, შედეგად, სოფელ ზემო ბარლებთან აფხაზებმა დიდი მსხვერპლის ფასად პირველი დამარცხება იწვნიეს. იმავე საღამოს სოფელ თაგილონში ქართულმა მხარემ თათბირი ჩაატარა, სადაც გენერალმა ყურაშვილმა პრეზიდენტ შევარდნაძეს ტელეფონით ცნობილი სიტყვები უთხრა: „გაეცით ბრძანება და ორ საათში გალს ავიღებ". იქმნებოდა განცდა, რომ გალი უკვე ჩვენი იყო, თუმცა, ზეიმი ნაადრევი გამოდგა – ორი საათის შემდეგ ზუგდიდს დევნილების პირველი ნაკადი მიაწყდა...

24 მაისს, შუადღისას, პარტიზანები ნაბაკევის, თაგილონისა და ოტობაიის ტერიტორიაზე

განლაგდნენ. აფხაზების ცეცხლს გამოქცეულ მოსახლეობას წინ ახალი განსაცდელი ელოდა – ხურჩის ხიდი ხის იყო და შესაძლოა, ამხელა დატვირთვისთვის ვერ გაეძლო, ჩანგრეულიყო. მოსახლეობა ენგურზე გადმოსვლას ვერ მოახერხებდა. საღამოს აფხაზებმა პრიმორსკში, ზღვიდან, „გრადებით" ცეცხლი გახსნეს, პარალელურად დაიწყო ენგურზე გადმოსასვლელი ყველა ხიდის დაბომბვა. ხურჩის ხიდზე უკვე მსხვერპლი იყო...

25 მაისს დევნილთა რაოდენობამ 40 000 კაცი შეადგინა. იმავე დღეს გადაწყდა, რომ 26 მაისს, 06 საათზე, ორივე მხარე დატოვებდა პოზიციებს და შუაში რუსი სამშვიდობოები ჩადგებოდნენ. ამასობაში, გამთენიისას, დიხაზურგა-საბერიოს ე.წ. გადასასვლელზე ტყიბულის ბატალიონი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ცდილობდა პოზიციის შენარჩუნებას... ექიმები დაღუპულებისა და დაჭრილების გამოყვანას ვერ აუდიოდნენ. 26 მაისს, დღისით, ომი შეწყდა, თუმცა, აფხაზები გაჩერებას არ აპირებდნენ. დილის 10 საათიდან აფხაზურმა მილიციამ და ქალთა ბატალიონმა ქვედა ზონის სოფლების გადაწვა დაიწყეს, პირუტყვს, რომლის ნაყვანასაც ვერ ახერხებდნენ, ცოცხლად წვავდნენ...

დამთავრდა ომობანა! – 1998 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, საღამოს, აფხაზებმა გალის შესასვლელთან ტრაფარეტს მიაწერეს: „2:0, საქართველო მეორედ დამარცხდა"

P.S. 1998 წლის მაისის მოვლენების დროს 50 000-ზე მეტი ქართველი დევნილად იქცა. აფხაზებმა გადაწვეს 6 000 სახლი, დაიღუპა 18 პარტიზანი, 17 შინაგანი ჯარის ჯარისკაცი, აფხაზებმა კი 60 მეომარი დაკარგეს.

კოდორის ხეობას მიხედვა უნდა

გალის მოვლენებთან დაკავშირებით თითქმის ჩრდილში მოექცა საქართველოს კიდევ ერთი ტკივილი, რასაც აფხაზეთის სვანეთი – კოდორის ხეობა ჰქვია... კოდორის ხეობას არანაკლები პრობლემა ჰქონდა, როდესაც აფხაზი სეპარატისტების სადამსჯელო რაზმები გალის რაიონის სოფლებს წვავდნენ, იმგვარივე შემოტევა კოდორის ხეობაშიც იყო მოსალოდნელი. ამიტომაც ადგილობრივმა ქართველებმა ხეობაში გამავალ ერთადერთ გზაზე ხიდიც კი ააფეთქეს, რათა შემოტევის შემთხვევაში აფხაზების მძიმე საბრძოლო ტექნიკას ვერ გაევლო(!).

120-მეტრიანი აფეთქებული ხიდი კოდორზე



1. ქართული სამხედრო ფორმირებების შესვლა აფხაზეთში (1992 წლის 14 აგვისტო)
2. ქართული საზღვაო დესანტი გაგრასა და კოლხიდაში (1992 წლის 15 აგვისტო)
3. გაგრის დაცემა (1992 წლის 1-2 ოქტომბერი)
4. აფხაზების უშედეგო შეტევა სოხუმზე (1993 წლის 16 მარტი)
5. აფხაზურ-რუსული საზღვაო დესანტი ტამიშთან (1993 წლის 2 ივლისი)
6. აფხაზურ-რუსული სამხედრო ფორმირებების შეტევა სოხუმზე, სოხუმის დაცემა და აფხაზეთიდან ქართული არმიის გამოსვლა (გარდა კოდორის ხეობისა) (1993 წლის 16-30 სექტემბერი)
7. გუდაუთის ერთადერთი საჰაერო დაბომბვა ქართული Cy-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავით (1993 წლის 26 აპრილი)
8. ჩრდილოკავკასიელი დაქირავებული მებრძოლების გადმოსვლა რუსეთიდან აფხაზეთში
9. გუდაუთის აეროდრომიდან აფრენილი რუსული საბრძოლო ავიაციის თავდასხმები სოხუმზე

აფხაზეთის ომი

(1992 წლის 14 აგვისტო – 1993 წლის 30 სექტემბერი)

კრიმინალური ქრონიკა



ედუარდ შევარდნაძეს სამჯერ მოუწყვეს ტერაქტი

1998 წლის 9 თებერვალს პრეზიდენტ შევარდნაძეზე თავდასხმა იმით გამოირჩეოდა სხვა ანალოგიური დივერსიული აქტებისაგან, რომ ტერორისტებმა გამოიყენეს ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნები. ტერორისტები პრეზიდენტის საავტომობილო კორტეჟს შუა თბილისში ჩაუსაფრდნენ, მაგრამ ხელი მოეცარათ. თუმცა, პრეზიდენტზე თავდასხმას მისი დაცვის ორი თანამშრომელი შეეწირა, რამდენიმე კი დაიჭრა...

ეს საქმეები დღემდე გამოუძიებელია...

1994 წლის 3 დეკემბერს საკუთარ სახლთან მოკლეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი **გია ჭანტურია,** რომელსაც მეუღლე ირინა სარიშვილიც ახლდა. ქალბატონ ირინას სამი ტყვია მოხვდა და სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა. გია ჭანტურიას მკვლელობისთვის მხედრიონელები გასამართლდნენ, თუმცა, სარიშვილი პროტესტის ნიშნად არც ერთ პროცესს არ დასწრებია – ქალბატონი ირინა მკვლელობის დამკვეთად უშიშროების იმჟამინდელ მინისტრ იგორ გიორგაძეს ასახელებდა და ამ ვანდალურ მკვლელობაში ბრალს სწორედ მას სდებდა... შემდგომში სარიშვილმა პოზიცია შეიცვალა და იგორ გიორგაძის პოლიტპარტნიორი გახდა. დღეს სარიშვილი მეუღლის მკვლელობაში დამნაშავედ მი-

1994 წლის 3 დეკემბერს გია ჭანტურია მოკლეს

იჩნევს შოთა კვირაიას, რომელიც ედუარდ შევარდნაძის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი შს მინისტრი იყო... გია ჭანტურიას მკვლელობის საქმე დღემდე გამოუძიებელია...

1994 წლის 20 აპრილს ნუცუბიძის პლატოზე, მეექვსე სკოლისა და ბაგა-ბაღის სიახლოვეს, უცნობმა პირებმა მხეცურად მოკლეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე **გია გულუა** და მისი ორი თანამშრომელი. ამაზრზენ სანახაობას პირდაღებული შესცქეროდა ათეულობით ბავშვი... მკვლელები კი ასევე აუღელვებლად ჩასხდნენ უნომრო ავტომანქანაში და მიიმალნენ.

ამ მკვლელობისთვის მხედრიონელები გასამართლდნენ, თუმცა, დღემდე უცნობია, ვინ იყო მკვლელობის დამკვეთი. როგორც ამბობენ, პრეზიდენტმა შევარდნაძემ თავის დროზე ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაცია სწორედ გია გულუას დაავალა... მოარული ხმებით, გულუა-

1995 წლის 29 აგვისტოს, კონსტიტუციის მიღებიდან ოთხი დღის შემდეგ, პოლიტიკური ბომონდი „მოსწავლეთა **სასახლეში**" შეიკრიბა, სადაც კონსტიტუციის ხელმოწერის საზეიმო ცერემონიალი უნდა გამართულიყო. ელოდნენ მხოლოდ სახელმ**წიფოს** მეთაურს... მოულოდნელად მძლავრი აფეთქების ხმა გაისმა და ცაში შავი კვამლის სვეტი ავარდა... აფეთქდა თეთრი **ფერის** „ნივა", რომელიც პარლამენტის ეზოში, ავტოსადგომზე იდგა. ცეცხლი წაეკიდა მის გვერდით მდგარ შევარდნაძის **მანქანასაც**. პირადი დაცვის წევრებმა ალმოდებული მანქანიდან სახელმწიფოს მეთაურის გამოყვანა მოასწრეს...

ზე თითქოს ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა იძიეს შური... ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, გულუას დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ჯაბა იოსელიანთან და გენერალი ახლობლებს გაუფრთხილებიათ კიდეც, რომ მხედრიონელები მის ლიკვიდაციას გეგმავდნენ... გულუას საქმე დღემდე გამოუძიებელია...

1995 წლის 20 ივნისს საკუთარი სახლის სადარბაზოსთან დაცხრილეს შევარდნაძის ფონდ „დემოკრატია და აღორძინების" თავმჯდომარე



სოლიკო ხაბეიშვილი. მისი მკვლელობის საქმე სასამართლომდეც მივიდა და შემსრულებლების ვინაობაც ცნობილი გახდა. ხაბეიშვილის მკვლელობისთვის მხედრიონელები გასამართლდნენ. მოტივად ფინანსური დავა დასახელდა, რასაც ბატონი სოლიკოს ოჯახის წევრები კატეგორიულად გამორიცხავენ და მკვლელობის პოლიტიკურ სარჩულზე საუბრობენ... ერთ-ერთ ინტერვიუში ხაბეიშვილის მეუღლე აცხადებს: „სოლიკო გვიან მიხვდა, რომ შევარდნაძე უპირისპირდებოდაო" საქმე დღემდე გამოუძიებელია...

ედუარდ შევარდნაძეს სამჯერ მოუწყვეს ტერაქტი

კავკასიის პატარა რესპუბლიკის პრეზიდენტი სასწაულებსაც ჩვეული ყოფილა. 1992 წელს ნასროლი რაკეტები ასცდა, 1995 წლის 29 აგვისტოს საშინელ ხიფათს დააღწია თავი, ბოლოს 1998 წლის 9 თებერვალს ყუმბარსატყორცნების წვიმამაც ვერაფერი დააკლო. ბოლო ტერაქტს ნავთობის სუნი ასდის. როგორც ჩანს, რუსეთი უკან არაფერზე იხევს, ოლონდ კი ხელი შეუშალოს ახალი ნავთობსადენის პროექტს, რომლის თანახმად, ნავთობსადენმა საქართველოს ტერიტორიაზე უნდა გაიაროს და კასპიის 27 მლრდ ტონა ნავთობი გაატაროს.

„პარი მატჩი"

ედუარდ შევარდნაძე: – ჩემი ცხოვრება, როგორც იტყვიან, ალესილი სამართებლის პირზე სიარულს ჰგავს, მაგრამ მაინც ვერ შემაშინებენ.

მხოლოდ ღმერთი მშველოდა აქამდე, მას შემდეგ, რაც ღმერთი ვიწამე, მგონი, მმფარველობს კიდეც. მაგ უბედურებს ტერაქტის ჩატარებაც არ შესძლებიათ.

„კვირის პალიტრა" №1, 1998 წ.

1998 წლის 9 თებერვალს პრეზიდენტ შევარდნაძეზე თავდასხმა იმით გამოირჩეოდა სხვა ანალოგიური დივერსიული აქტებისაგან, რომ ტერორისტებმა გამოიყენეს ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნები. ტერორისტები პრეზიდენტის საავტომობილო კორტეჟს შუა თბილისში ჩაუსაფრდნენ, მაგრამ ხელი მოეცარათ. თუმცა, პრეზიდენტზე თავდასხმას მისი დაცვის ორი თანამშრომელი შეეწირა, რამდენიმე კი დაიჭრა.

ამერიკულმა ჟურნალმა „ესქვაიერმა“ დაასახელა მსოფლიოს 100 გამორჩეული ადამიანი, მათ შორის საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

„ჯაბა პრეზიდენტის წინააღმდეგ განხორციელებულ ტერაქტში არ უნდა იყოს გარეული“

რომან გვენცაძე, შინაგან საქმეთა მინისტრი: „მხედრიონისა“ თავიდანვე არ მწამდა. ვერ ვიტყვი, რომ იქ არ იყვნენ პატიოსანი და ვაჟკაცი ბიჭები. ბევრმა დროზე გაასწრო და გაერიდა „მხედრიონს“ დარწმუნებული ვიყავი, რომ წესრიგს ვერ დაამყარებდნენ. ხშირად ერეოდნენ ჩვენს ფუნქციებში და ვგრძნობდი, საკუთა-

„მხედრიონსა“ და მის თავკაცს ბრალი ედება 1995 წლის 29 აგვისტოს ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმაში

რი თავისა და ქვეყნის დამღუპველები იყვნენ. უბედურება ის იყო, რომ „მხედრიონს“ წინ არ აღუდგნენ არც სიგუა და არც კიტოვანი... ყველანი შეიარაღდნენ და ჯაბა იოსელიანის უბედურებაც ის იყო, რომ მან ერთი გარემოება არ გაითვალისწინა. კერძოდ, ისეთი ძალა შექმნა, რომელსაც თვითონ ველარ მოერია და მეტიც, – პირადად მას დაუპირისპირდა! ამიტომ დღეს, ჩემი პროფესიული ინტუიცია და პოლიციელის ალღო მკარნახობს, რომ ჯაბა პრეზიდენტის წინააღმდეგ განხორციელებულ ტერაქტში არ უნდა იყოს გარეული. მის მიერ ჩადენილ სხვა დანაშაულებზე ვერ დავდებ თავს, მაგრამ ამ საქმეში მის მონაწილეობაზე ეჭვი მეპარება...“

„კვირის პალიტრა“ №22, 1997 წ.

ჯაბა იოსელიანს სამშობლოს ღალატში ადანაშაულებენ

„მხედრიონსა“ და მის თავკაცს ბრალი ედება 1995 წლის 29 აგვისტოს ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმაში. „მხედრიონის“ თავკაცები დაპატიმრებული არიან.

ცნობისთვის: „მხედრიონი“ დაფუძნდა 1989 წელს და იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ მოწყობილი პუტჩის ერთ-ერთი ორგანიზატორი, მონაწილეობდა აფხაზეთის ომშიც...

„მხედრიონის“ ლიდერმა და მისმა მომხრეებმა შექმნეს მობილური შეიარაღებული ჯგუფები,

რომლებიც ზვიად გამსახურდიას მომხრეებთან ბრძოლის საბაბით დასავლეთ საქართველოს შეესივნენ – ხალხს ძარცვავდნენ, წვავდნენ სახლებს, აწყობდნენ დამსჯელ აქციებს. ზუგდიდსა და მის მახლობელ რაიონებში ორი მილიონი დოლარის ღირებულების ქონება გაანადგურეს.

„მხედრიონის“ განიარაღება

1995 წლის 11 იანვარს ზესტაფონში უშიშროების სპეცდანიშნულების რაზმმა „ომეგამ“ უშიშროების მინისტრ იგორ გიორგაძის ბრძანებით, გვარდიის ყოფილი სარდალი თენგიზ კიტოვანი დააკავა... ჯერი „მხედრიონზე“ მიდგა. თუმცა, როგორც შევარდნაძის გარემოცვაში ფიქრობდნენ, სახელმწიფოს მეთაური არ ჩქარობდა, რადგან კარგად იცოდა, თენგიზ კიტოვანს ხალხში მხარდაჭერა უკვე აღარ ჰქონდა, ჯაბა იოსელიანს კი საზოგადოების დიდი ნაწილი ემხრობოდა და მისი დაპატიმრება სულ სხვა პროცესებს გამოიწვევდა. გია ჭანტურიას მკვლელობაში „მხედრიონის“ სავარაუდო მონაწილეობის შესახებ გავრცელებულმა ვერსიამ 1995 წლის დასაწყისში ჯაბა იოსელიანსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის ურთიერთობა გაამწვავა.

1995 წლის გაზაფხულზე მარნეულში სამართალდამცავებმა „მხედრიონის“ ერთი დანაყოფის განიარაღება გადაწყვიტეს. როდესაც ეს ამბავი გაიგეს, რუსთავში „მხედრიონის“ მთელი კოლონა ჩავიდა. პრეზიდენტის რწმუნებულ ლევან მამალაძეს გიგა გელაშვილმა თავისსავე კაბინეტში სცემა და თავში იარაღის კონდახიც ჩაარტყა. მაშინ მხოლოდ ერთეულები ფიქრობდნენ, „მხედრიონის“ დღეები დათვლილიაო.

„საუკუნის პროცესი“ თბილისში ხმაურით მიდიოდა. თემურ ხაჩიშვილი

29 აგვისტოს ტერაქტის შემდეგ ძალოვანებმა ჯერ გიგა გელაშვილი დააკავეს, შემდეგ უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე თემურ ხაჩიშვილი. ორიოდე კვირის შემდეგ ჯაბა იოსელიანს შინ შოთა კვირაია ესტუმრა და სამინისტროში გაყოლა სთხოვა, სადაც ის დააპატიმრეს კიდეც.

დაკავებულ მხედრიონელებს – გიგა გელაშვილს, თემურ ხაჩიშვილს, გოჩა თედიაშვილს (მას ნომერ პირველ კილერადაც მოიხსენიებდნენ ჩადენილი თუ დაბრალებული მკვლელობების გამო), გოჩა გელაშვილს, ჯაბა იოსელიანს, 29 აგვისტოს ტერაქტის ორგანიზების გარდა, გია გულუას, გია ჭანტურიასა და სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობასაც უყენებდნენ ბრალად...

დამთავრდა „მხედრიონისა“ და მისი ლიდერის, ჯაბა იოსელიანის საქმის გამოძიება, მხედრიონელებს ყველაფერი გაუხსენეს... „საუკუნის პროცესი“ თბილისში ხმაურით მიდიოდა...

„მხედრიონის“ ერთ-ერთი ლიდერი გიგა გელაშვილი

თითო საქმე თითო ვრცელი ეპოპეაა, სარკე ეპოქისა, რომელმაც „მხედრიონი“, საძმოები წარმოშვა. დაგვიტოვა მოგონებები აფხაზეთის ომზე, სამეგრელოს ბატალიებზე, თბილისის ცალკეულ ქუჩებსა და უბნებს შორის გაჩაღებულ სისხლისმღვრელ შეტაკებებზე, ქართველი ბოევიკის ტიპზე, რომელიც ნელ-ნელა ისტორიის საკუთრება ხდება. ისინი მართლმსაჯულების წინაშე დგანან, მათ ასამართლებენ იმისათვის, რის გამოც ორდენები დაურიგეს, გუშინდელი გმირები დღევანდელი დამნაშავეები არიან. უკლებლად ყველას ციხეებსა და იზოლატორებში ისტუმრებენ...

განსასჯელები უარყოფდნენ ნაყენებულ ბრალდებებს, სასამართლო პროცესზე, პროტესტის ნიშნად, არც ირინა სარიშვილი დადიოდა, რადგან ფიქრობდა, რომ გია ჭანტურიას მკვლელები სულ სხვა ხალხი იყო...

რამდენიმე თვის შემდეგ „საუკუნის პროცესი“ ჩიხში შევიდა. გენერალურ პროკურატურას უკვე უჭირდა განსასჯელებისთვის ბრალის დამტკიცება, მაგრამ საბოლოოდ, ჭანტურიას მკვლელობისთვის მხედრიონელები მაინც გაასამართლეს, თუმცა, 2002 წელს შეკარდნაძემ ისინი შეიწყალა და გაათავისუფლა.

2007 წელს ირინა სარიშვილმა ედპ-ის ლიდერის მკვლელობაში ბრალი ოფიციალურად შოთა კვირაიას და ძმებ რურუებს დასდო. ყოფილი მხედრიონელები დღესაც აცხადებენ, რომ გია ჭანტურიას მკვლელობასთან მათ კავშირი არ აქვთ...

ფრაგმენტები ჯაბა იოსელიანის ინტერვიუდან

ინტერვიუ №1 იზოლატორიდან

„მხედრიონს“ გადავარქმევ „კომბლიონს“ და დავერევი ამ ჩვენს... პოლიტიკოსებს...

ახლა რომ პარლამენტის ტრიბუნიდან თავი კიტრივით მოაქვთ და სამშობლოს გასაჭირის დროს ჩირგვებში ისხდნენ, ვინ მიიყვანა ისინი სახელმწიფო საბჭოს ტრიბუნაზე?!

შევარდნაძე ვითომ რეფორმატორობს, როგორც ანეკდოტშია – ადგილზე დგას, ფეხებს აბაკუნებს და ორთქლმავალივით გაჰკივის.

„კვირის პალიტრა“ №18, 1999 წ.

ვინ ვისი აგენტია?!

უცხოეთის სპეცსამსახურისათვის იგორ გიორგაძე ცნობილი იყო, როგორც რუსეთის სახელმწიფო სამხედრო ძალების გენშტაბის დაზვერვის სამმართველოს რეზიდენტი ამიერკავკასიაში, ფსევდონიმით – „მეთექვსმეტე“

„კომანდორი“ – ეს ფსევდონიმი კი დასავლეთის სპეცსამსახურების წყაროებიდან მოდის...

გიორგაძემ მართლა კომანდორად წარმოიდგინა თავი – ეს იყო ჟამი, როცა თენგიზ კიტოვანმა და ჯაბა იოსელიანმა რუსეთის მთავარი სამხედრო დაზვერვის შუამდგომლობით მისი

ჯაბა იოსელიანი: „შევარდნაძე... ადგილზე დგას, ფეხებს აბაკუნებს და ორთქლმავალივით გაჰკივის“

კანდიდატურა საქართველოს უშიშროების სამსახურის თავმჯდომარის პოსტზე წამოაყენეს.

1995 წლის 29 აგვისტოს შევარდნაძეზე მომხდარი ტერაქტის შემდეგ, როცა უკვე გამოიკვეთა ორგანიზატორთა და შემსრულებელთა ჯგუფი, გიორგაძემ, უკვე საქართველოს უშიშროების სამსახურის თავმჯდომარემ, რუსეთს შეაფარა თავი. მის ერთ-ერთ სამუშაო კაბინეტში, რომელიც უშიშროების სპეცდანიშნულების ქვედანაყოფის ტერიტორიაზე იყო, მიაგნეს სამალავს. დასავლეთის სპეცსამსახურებთან მისი კავშირის მამხილებელ სხვადასხვა საბუთთან ერთად, იქ აღმოჩნდა კოდური და გასაშიფრი ცხრილები, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს სახელმძღვანელო დოკუმენტები გრიფით „სრულიად საიდუმლოდ“ და სხვ...

ცალკე გვინდა გამოვყოთ თენგიზ კიტოვანი და ლოთი ქობალია...

თენგიზ კიტოვანი თავდაცვის მინისტრია. მას ГРУ-ს დავალებით მიამაგრეს იგორ გიორგაძე. ვინ დაუახლოვა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის მაღალჩინოსან ს. ბეპაევსა და ГРУ-ს თენგიზ კიტოვანი? ს. ბეპაევი თითქმის მთელი დღეები კიტოვანის კაბინეტში იჯდა. გიორგაძეს საქებარი სიტყვების კორიანტელში ჰყავდა გახვეული საქართველოს შეიარაღებული ძალების ახალმოვლენილი სარდალი. სწორედ მან შეარქვა მოსაფერებელი სახელიც – „ბატია“. მოსკოვში ბეპაევისა და გიორგაძის მეშვეობით კიტოვანი დააკავშირეს სპეცსამსახურების თავკაცებს... კიტოვანს სამხრეთ საქართველოში დისლოცირებული რუსეთის ჯარების ნაწილებიდან გადასცეს მძიმე საბრძოლო ტექნიკა – ორმოცდაათი ერთეული. ამით გათამამებული კიტოვანი ამაყად შევიდა აფხაზეთში.

ყველაფერი წინასწარ იყო გათვლილი: აფხაზეთის დაცემა, აფხაზეთის დაცემით სახელმწიფო მეთაურის გადაყენება და მისი ფიზიკური განადგურება.

„კეირის პალიტრა“ №29, 1996 წ.

პრეზიდენტს მოთმინების ფიალა აევსო

1997 წელს გაზეთ BGI-ის კორესპონდენტმა რუსეთში მცხოვრებ საქართველოს სპეცსამსახურების ყოფილ შეფს, იგორ გიორგაძეს, მისი მამის საშუალებით გადასცა კითხვები და მიიღო პასუხები, რომელმაც აღაშფოთა საქართველოს პრეზიდენტი.

იგორ გიორგაძე: – შევარდნაძემ მე დამავალა ზვიადისტთა შეიარაღებული ფორმირების ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ლოთი ქობალიას ლიკვიდაცია. ამას ასე ამართლებდა, – უფრო მალე დამთავრდება სამოქალაქო ომიო.

იგორ გიორგაძე: „შევარდნაძე ქართველი ხალხის გასანადგურებლად უკან არ დაიხევს“

სინამდვილეში კი მაშინ, როცა ჩვენი ბიჭები ფრონტზე სისხლს ღვრიდნენ, შევარდნაძემ ქობალიასთან სეპარატისტული მოლაპარაკება დაიწყო. მოგვიანებით, თენგიზ კიტოვანისა და ჯაბა იოსელიანის მიმართ დამავალა სპეციალური აქციების ჩატარება. შევარდნაძის მიერ გაცემული სხვა დავალებებიც არის ცნობილი საქართველოს გარეთ მყოფ პირთა მიმართაც, და თუ მე მაძლევდა ასეთ დავალებებს, რატომ სხვებსაც ვერ დაავალებდა?

ედუარდ შევარდნაძე: – საქმე იგორ გიორგაძე და მისი ინტერვიუ როდია. ასეთი ინტერვიუები შეიძლება ბევრი გამოქვეყნდეს – წერას ვერავის აუკრძალავ.

მე უფრო მეტად მაწუხებს რუსეთის შესაბამის ხელისუფალთა დამოკიდებულება ცნობილი ტერორისტების მიმართ.

რატომ აყენებენ რუსეთში უფრო მაღლა ტერორისტის ინტერესებს, ვიდრე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას?

ბუნებრივია, ისმის კითხვა, ვისთვის და რისთვის ინახავენ ასე სათუთად ამ პიროვნებას რუსეთში? რატომ არღვევს რუსეთი იმ ხელშეკრულებას, რომლითაც გათვალისწინებულია დამნაშავეთა ერთმანეთისათვის გადაცემა თანამეგობრობის ფარგლებში? ეს ერთ-ერთი ისეთი ხელშეკრულებაა, რომელსაც ჩვენ ყველანი მივესალმეთ.

გამოდის, იგი ფარატინა ქაღალდი ყოფილა. ასე ვაპირებთ თანამეგობრობის განმტკიცებასა და გაძლიერებას?

საჯაროდ ამ თემაზე არაფერი მითქვამს, თავს ვიკავებდი, მაგრამ, ალბათ, დადგა დრო, რომ ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას და სახელმწიფოებმაც ერთმანეთის წინაშე ნაკისრ ვალდებულებაზე იფიქრონ. დიდი სახელმწიფოა თუ პატარა, ეს სხვა საკითხია.

„კვირის პალიტრა“ №12, 1997 წ.

ედუარდ შევარდნაძე, თენგიზ სიგუა

„შევარდნაძის გასამართლება XX საუკუნის ბოლო პროცესი უნდა იყოს საქართველოში“

უშიშროების ყოფილი მინისტრი იგორ გიორგაძე, რომელსაც ბრალი სახელმწიფო მეთაურზე 1995 წლის 25 აგვისტოს განხორციელებულ ტერაქტის ორგანიზებაში ედება, ჯერჯერობით, თავისუფლად მოგზაურობს ქვეყნიდან ქვეყანაში, მისი დაკავება ვერც საქართველოსა და ვერც სხვა ქვეყნების სამართალდამცავებმა ვერ შეძლეს.

რუსეთის მასმედიისთვის ბოლო დროს მიცემულ მის ინტერვიუებში ნათლად ჩანს, რომ იგი სერიოზულ პოლიტიკურ ძალად აპირებს საქართველოში დაბრუნებას. თუ რამდენად განხორციელდება მისი ეს ჩანაფიქრი, მომავალი გვიჩვენებს.

გთავაზობთ ამონარიდებს ქვეყნის „№1 ტერორისტად“ შერაცხილ გიორგაძის ინტერვიუდან.

იგორ გიორგაძე: – შევარდნაძემ და მისმა კრიმინალურმა რეჟიმმა ქართველ ხალხს უბედურება და განადგურება მოუტანა. გამორიცხულია, რომ ჩვენი ხალხი თავის მომავალს დღევანდელ კრიმინალურ ელიტას და შევარდნაძის აგონიურ პოლიტიკას უკავშირებდეს...

საქართველოში უკვე გამოიკვეთა ხალხის არჩევანი, ეს არჩევანი უკავშირდება იმ ძალებს, რომლებსაც რეალურად შეუძლიათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ქვეყანაში კორუფციის ძირფესვიანად აღმოფხვრა და ხალხის ცხოვრების დონის რეალურად და საგრძნობლად ამაღლება. ზუსტად ამ ძალებს წარმოვადგენთ მე და ჩემი თანამოაზრენი. ამიტომაც არის, რომ ჩვენი დევიზი: „მომავალი ჩვენია“, ხალხში დიდი პოპულარობითა და მხარდაჭერით სარგებლობს.

შევარდნაძე თავისი კარიერისა და ბოროტი ზრახვებისთვის არამცთუ ერთი ადამიანის თუ ადამიანთა ჯგუფის სიცოცხლეს განირავს, არამედ ქართველი ხალხის გასანადგურებლადაც კი უკან არ დაიხევს.

ჩვენი შემდგომი ისტორია და დღევანდელი დაქუცმაცებული, შავებში ჩაცმული, გაღატაკებული საქართველოს სინამდვილე ადასტურებს, რომ ჩემი მაშინდელი შეფასება შევარდნაძის, როგორც ბოროტი ძალის წარმომადგენლისა, სამწუხაროდ, სწორი გამოდგა...

საქართველოს ე.წ. სამართალდამცავები არც პროფესიონალიზმით, არც ოპერატიულ-ტექნიკური შესაძლებლობებით ჩემთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ, ჩემთვის უფრო საშიშია უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების შესაძლო დახმარება შევარდნაძისთვის ჩემი ფიზიკური განადგურების მიზნით, ვინაიდან ცოცხალი მე შევარდნაძეს და მათ, ვინც მას ეხმარება ჩემს ძებნაში, არ ვჭირდები.

რაც შეეხება იმას, საერთოდ მეძებენ თუ არა, მერწმუნეთ, შევარდნაძე და მისი დამქაშები მეძებენ ძალიან აქტიურად და მონდომებით და თუ ვერ მპოულობენ, ეს ჩემი მტრების უძლურების ბრალი კი არ არის, ჩემი და ჩემი მეგობრების ძლიერების შედეგია...

არც საქართველოში, არც საერთაშორისო სამართალში არ არის ისეთი კანონი, რომლის მიხედვით მე არა მაქვს უფლება, ვიყარო კენჭი, ვინაიდან საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს აქვს კონსტიტუციური უფლება, აირჩიოს ან არჩეულ იქნეს, თუ მას ამ უფლებას სასამართლოს წესით არ ჩამოართმევენ. ე.წ. „საუკუნის



1993 ნელს თბილისისკენ მომავალ მანქანაში ამერიკის დაზვერვის მაღალი რანგის თანამშრომელი, ფრედ ვუდროფი ჩაცხრილეს

პროცესზე", რომლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, შევარდნაძის სცენარით, ჩემი, როგორც მისი და მის მიერ ჩამოყალიბებული კრიმინალური რეჟიმის პოლიტიკური მოწინააღმდეგის დისკრეტიდაცია და განადგურება იყო, არც ერთი ჩვენება თუ ნივთმტკიცება, რომელიც დაადასტურებდა ჩემს დანაშაულს, არ ყოფილა წარმოდგენილი. ამდენად, სასამართლომ თვალნათლივ დაგვანახა და დაამტკიცა ის უდავო ფაქტი, რომ მთლიანად „საუკუნის პროცესი" სინამდვილეში იყო საუკუნის ფარსი და ფალსიფიკაცია. ამიტომაც არის, რომ მე მაქვს კონსტიტუციური უფლება, ვიყარო კენჭი საპარლამენტო არჩევნებში და ამ უფლებას გამოვიყენებ...

რაც შეეხება შევარდნაძის მომავალს, მას ნებისმიერ შემთხვევაში ხალხის სასამართლო ელის. ის აუცილებლად უნდა გასამართლდეს იმ აურაცხელი დანაშაულისთვის, რომელიც 1972 წლიდან დღემდე ჩაიდინა. ეს ნამდვილად XX საუკუნის ბოლო პროცესი უნდა იყოს საქართველოში.

„კვირის პალიტრა" №11, 1999 წ.

ფრედ ვუდროფს ტყვია თავში ესროლეს...

1993 წლის აგვისტოში სენსაციური ინფორმაცია გავრცელდა – საქართველოში მოკლეს ამერიკის საელჩოს თანამშრომელი ფრედ ვუდროფი, რომელიც ამერიკის დაზვერვის მაღალი რანგის თანამშრომელი გახლდათ... ვუდროფი თბილისში აშშ-ის საელჩოს თანამშრომლის საფარქვეშ ხელმძღვანელობდა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ოპერაციებს. მისი მონიტორინგით იწვრთნებოდა სახელმწიფოს მეთაურის, ედუარდ შევარდნაძის დაცვა და პირველი ქართული განსაკუთრებული დანიშნულების ქვედანაყოფი „OMEGA". 1993 წლის ცხელი აგვისტოს ერთ დღეს შევარდნაძის პირადი დაცვის უფროსთან, ელდარ გოგოლაძესა და ორ მანდილოსანთან ერთად ბატონი ვუდროფი თბილისში ბრუნდებოდა...

გამოძიების ვერსიით, ავტომანქანას გზა სამხედრო ფორმაში ჩაცმულმა რამდენიმე ახალგაზრდამ გადაუღობა და გაჩერება მოსთხოვა. გოგოლაძე არ დაემორჩილა, რის შემდეგაც უცნობმა ერთხელ გაისროლა. ვუდროფს ტყვია თავში მოხვდა...

საქართველოში გამეფებული განუკითხაობის ეს ფაქტი შემთხვევითობად გაასაღეს – ამტკიცებდნენ, რომ ამერიკელი გვარდიელმა მოკლა.

მოგვიანებით გავრცელდა ვერსია, რომ შესაძლოა, ვუდროფი საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებში მიმდინარე ჯაშუშურ ომს შეეწირა და საქმეში რუსეთის უშიშროების სამსახურები იყვნენ ჩარეული. ამ საქმეზე ამერიკულმა მხარემ გამოძიება დამოუკიდებლად ჩაატარა, თუმცა, გამოძიების მასალების დიდი ნაწილი გასაიდუმლოებულია...

„კვირის პალიტრა" №32, 1996 წ.

საქართველოში

გივი ყვარელაშვილი, *სასჯელაღსრულების სამმართველოს უფროსი:* – უკანასკნელად სიკვდილმისჯილნი 1995 წლის თებერვალში დახვრიტეს – 2 ქართველი იყო და 2 სომეხი.

ახლა მორატორიუმია გამოცხადებული. პატიმრები დიდი სიხარულით შეხვდნენ ამ ფაქტს, მაგრამ არის საშიშროება ლინჩის წესით გასამართლებისა. ამიტომ დიდი სიფრთხილე და ყურადღება გვმართებს...

1997 წლის 11 ნოემბერს საქართველოში გაუქმდა სიკვდილით დასჯა.

მინდია უგრეხელიძე, *უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე:* – მსოფლიოში არ მეგულება ჭკუათამყოფელი მოსამართლე, რომელიც მომხრე იყოს სიკვდილით დასჯისა, რადგან არ არსებობს არგუმენტი სიკვდილით დასჯის სასარგებლოდ, რომლის გაბათილება ადვილად არ შეიძლებოდეს.

მძიმე დანაშაულის გამომწვევი მრავალი ფაქტორი არსებობს. უწინარესად, სწორედ ისინი უნდა განეიტრალდეს, თორემ მარტო სიკვდილით დასჯა მას ვერ აღმოფხვრის.

„კვირის პალიტრა" №15, 1997 წ.

მინდია უგრეხელიძე: „მსოფლიოში არ მეგულება ჭკუათამყოფელი მოსამართლე, რომელიც მომხრე იყოს სიკვდილით დასჯისა"

ჯიხაშკარელი მძევლები

ჯერ კიდევ არ იყო ჩამცხრალი პრეზიდენტზე ტერორისტული თავდასხმის გამოძახილი, რომ მოულოდნელად, 1998 წლის 19 თებერვალს,

მარცხნივ: გოჩა ესებუა

ზუგდიდში გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა შტაბზე შეიარაღებული თავდასხმისას გაიტაცეს სხვადასხვა ქვეყნის ოთხი ოფიცერი.

სკანდალმა საერთაშორისო ელფერი მიიღო. საქართველო უკვე არასტაბილური ტერორსაშიში ქვეყნის იმიჯს იძენს, სადაც ორი კვირის განმავლობაში პრეზიდენტზე თავდასხმის შემდეგ უცხოელ დამკვირვებლებსაც იტაცებენ.

თუმცა, ამ ორ ფაქტს მარტო ეს არ აკავშირებს. როგორც შემდგომში გაირკვა, გაეროს დამკვირვებლები ზუგდიდში გაიტაცა იმ ხალხმა, ვინც მანამდე თბილისში პრეზიდენტის ლიმუზინს ტანკსაწინააღმდეგო ჭურვებს ესროდა, მათ იგრძნეს, რომ წრე იკვრებოდა და დღე-დღეზე დაპატიმრება ელოდათ, ამიტომ დაასწრეს მოვლენებს და გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგეს.

მაგრამ ბოლო მომენტში სამშვიდობო მოლაპარაკებებს შედეგი მოაქვს, – ერთგვარი ჯენტლმენური შეთანხმების შედეგად მძევლებს ათავისუფლებენ და თვითონ ნებაყოფლობით ბარდებიან, თუმცა, ამ აქციის რამდენიმე მოთავე თავს გაქცევით შველის (ეტყობა, ჯენტლმენურ მოლაპარაკებაში ესეც შედიოდა).

ასე მთავრდება ეს უცნაური ტერორისტული აქტი, რომლის ანალოგიც, ალბათ, მსოფლიოს ისტორიაში არ ყოფილა (ყველაზე მეტად, „ტერორისტობა" გამტაცებლებმა მძევლების მიმართ მაშინ გამოხატეს, როდესაც მათ ჯიხაშკარელი მასპინძლის ღვინოს აძალებდნენ).

მაგრამ, სამწუხაროდ, ისტორია ამით არ მთავრდება, ცოტა ხანში სპეცდანიშნულების ქვედანაყოფი ალყაში მოაქცევს იმ სახლს, სადაც ორივე ტერორისტული აქტის მონაწილე გოჩა ესებუა იმყოფება. შეტაკებაში ეს უკანასკნელი იღუპება. მის დასაფლავებაზე კი „კინგ-კონგად" წოდებული მეგობარი კლავს ჯიხაშკარის აქციის კიდევ ერთ მონაწილეს – ზურაბ შონიას.

„კვირის პალიტრა" №7, 1998 წ.

ელიავას სამხედრო ამბოხი

1998 წლის 19 ოქტომბერს საქართველო ახალი განსაცდელის წინაშე დადგა. თავდაცვის სამინისტროს სენაკის მე-2 მოტომსროლელი ბრიგადის პირადი შემადგენლობის ერთმა ნაწილმა ქალაქში გამოიყვანა მძიმე საბრძოლო ტექნიკა – ტანკები, ქვეითთა საბრძოლო მანქანები, ჯავშანტრანსპორტიორები და თბილისისკენ დაიძრა. ამ სამხედრო ამბოხებას სათაურის მოადგილედ დანიშნა. ამ უკანასკნელის უშიშროების სამინისტროს სათავეში ჩადგომის შემდეგ აკაკი ელიავა აფხაზეთის უშიშროების სამინისტროს სპეცდანიშნულების ქვედანაყოფ „სატურნის“ შტაბის უფროსი გახდა. კვირაიას მინისტრობიდან წასვლის შემდეგ ელიავას თავზე შავმა ღრუბლებმა იწყო თავმოყრა...

ასე რომ, 19 ოქტომბრის ამბოხი შემთხვევით არ დაწყებულა. სწორედ იმ დღეს სენაკში ჩასვლას აპირებდნენ შს და უშიშროების მინისტრები, აგრეთვე, გენერალური პროკურორი. მანამდე, უშიშროების საბჭოს დახურულ სხდომაზე, ელიავას საკითხიც განიხილეს და მას დაპატიმრება ემუქრებოდა, მაგრამ ვიღაცამ ელიავას შეატყობინა „საიდუმლო სერობის“ წვრილმანები და მანაც დაასწრო მოვლენებს, თანამოაზრეებთან ერთად ქუჩაში ტანკები და ჯარი გამოიყვანა.



მარცხნიდან: აკაკი ელიავა თანამებრძოლებთან ერთად

თავეში ჩაუდგნენ პოლკოვნიკები: აკაკი ელიავა და რევაზ ასმავა. ელიავას ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს გვარდიის სენაკის ბატალიონი ჰყავდა ჩაბარებული და სამოქალაქო ომის დროს საბრძოლო მოქმედებებში აქტიურად მონაწილეობდა. მოგვიანებით, ტყეში გასული ელიავა მაშინდელმა შს მინისტრმა შოთა კვირაიამ შემოირიგა და შინაგანი ჯარების სენაკის ბატალიონის მე-

ამბოხებულებმა გეზი ქუთაისისკენ აიღეს, მაგრამ გზაში ხონისკენ გადაუხვიეს, რათა იქ განთავსებული სენაკის ბრიგადის ორი ბატალიო-

ნიდან დამატებით ხალხი წამოეყვანათ. ხონიდან ქუთაისისკენ დაძრული ამბოხებულები მდინარე გუბისწყალზე, ხიდთან იყვნენ შეჩერებულნი. ელიავასთან მოსალაპარაკებლად მივიდნენ იმერეთის გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი, უშიშროების მინისტრი ჯემალ გახოკიძე და დასავლეთის მიმართულების დაჯგუფების სარდალი ზურა ირემაძე. მოლაპარაკებიდან არაფერი გამოვიდა, სამაგიეროდ, ისინი მძევლებად იქცნენ. ამასობაში თავდაცვის სამინისტრომ ამ ადგილას გადაისროლა ქუთაისის 21-ე ბრიგადის დანაყოფები და არტილერისტები.

და აი, ამ მომენტში გადამწყვეტი როლი შეასრულა თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ. მიუხედავად იმისა, რომ ამბოხებულებთან იმყოფებოდნენ მაღალჩინოსანი მძევლები, მან თვალის დაუხამხამებლად გასცა ბრძანება – ცეცხლი! ასეთ ნაბიჯს არავინ ელოდა, ამიტომაც ამბოხებულთა ხელმძღვანელობა დაიბნა და უკან დაიხია.

„კვირის პალიტრა“ №52, 1998 წ.

აკაკი ელიავა მოკლეს

2000 წლის 9 ივლისს ზესტაფონში საგზაო პოლიციის თანამშრომლებმა საბუთების შემოწმების მიზნით, რეიდის დროს გააჩერეს თეთრი ფერის „ვოლგა“, რომლითაც, როგორც შემდეგ გაირკვა, აკაკი ელიავა და მისი თანამოაზრეები მცხეთიდან ზუგდიდში მიემგზავრებოდნენ. მათ არც უცდიათ დამალვა, რომ შეიარაღებულები იყვნენ. პოლიციელებმა რაიონულ სამმართველოში წაყოლა მოსთხოვეს. პოლიციაში მათთვის იარაღის ჩამორთმევას ცდილობდნენ. თუმცა, ელიავამ, მისმა თანაშემწე ზურაბ გვაზავამ და სამმა თანმხლებმა პირმა იარაღის ჩაბარებაზე უარი განაცხადეს და მხოლოდ ნომრების დაფიქსირებას დათანხმდნენ... ელიავამ იარაღის ჩაბარების მაგივრად, პოლიციის სამმართველოდან მძევლები აიყვანა. ითხოვდა: მიეცათ ზუგდიდში უსაფრთხოდ დაბრუნების საშუალება...

მაღალჩინოსანი სამართალდამცავებისა და ელიავას მოლაპარაკება 5 საათს გაგრძელდა. მოლაპარაკების მიუხედავად, დაახლოებით 23 საათსა და 15 წუთზე ელიავამ სცადა ზესტაფონის პოლიციის შენობის უკანა (სახანძრო) გასასვლელიდან მძევლებთან ერთად გასვლა. ამის შემდეგ საქმეში ჩაერთო უშიშროების სამინისტროს სპეცრაზმი. „დაყარეთ იარაღი!“ – ამ ბრძანებას ელიავა და მისი ჯგუფის წევრები არ დაემორჩილნენ. გაიხსნა ცეცხლი, რის შედეგადაც დაიღუპა აკაკი ელიავა...

„კვირის პალიტრა“ №28, 2000 წ.

„როცა დავლევ, სისხლი მწყურია...“ – „რუსთაველმა მანიაკმა“ თავი მოიკლა...

რუსთავში განხორციელებულ გახმაურებულ მკვლელობებს ადგილობრივი პროკურატურა გახსნილად აცხადებს. „რუსთაველი მანიაკის თარეში დასრულდა“, – ამბობენ გახარებული სამართალდამცველები. თუმცა, ამ სიხარულს მიღმა დარჩა ექვსამდე მოხრჩობილი და გაუპატიურებული მცირეწლოვანი თუ სრულწლოვანი ქალი, და კიდევ, თავის დროზე „რუსთაველ მანიაკად“ შერაცხილი, ციხეში შეურაცხყოფილი და ყურჩამოთლილი პაატა სხირტლაძე, რომელმაც თავის დროზე ასევე აღიარა გოგონების მკვლელობა...

ამჯერად „რუსთაველ მანიაკად“ გამოძიება ასახელებს ფრიდონ პირტახიას, რომელიც მარტვილის რაიონში დააკავეს. მან რუსთავში მომხდარი ექვსივე მკვლელობა აღიარა:

1999 წლის 13 აგვისტოს მოკლა 14 წლის ნანა ბრეგვაძე, რომლის გვამი გადამალა აზოტის ქარხნის საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებარე სახლის სარდაფში.

1999 წლის 18 ოქტომბერს გააუპატიურა და შემდეგ მოკლა პირველი კურსის სტუდენტი, 16 წლის ხათუნა მანაშვილი, რომლის გვამი ჩააგდო რუსთავის რკინიგზის სადგურის საატვირთო-საკონტეინერო ეზოს ტერიტორიაზე მდებარე ლითონის ყუთში. მოკლულს მოხსნა ოქროს სამკაულები, რომელიც მიჰყიდა მეზობელს, რუსუდან ვაჩიბერიძე-კიკალიშვილს.

2000 წლის 2 ივლისს პირტახიამ გარდაბნის რაიონში, ზოოვეტინსტიტუტის ტერიტორიაზე, მიტოვებულ საინკუბატორო საამქროს სპეციალურ საცავში გააუპატიურა და შემდეგ მოკლა 21 წლის სოფო კუბლაშვილი.

2000 წლის 29 მაისს რუსთავში, მე-2 მიკრორაიონში, საავადმყოფოს შენობის მე-2 სართულზე გააუპატიურა და შემდგომ დანით მოკლა 28 წლის მარინა გრიდნევა.

2000 წლის 29 ივლისს რუსთავში, მე-18 მიკრორაიონის ტერიტორიაზე მოკლა 35 წლის მარინა იმერლიშვილი. გვამი დააგდო იქვე, მინდორში, სანაგვესთან.

2000 წლის 15 ივლისს პირტახიამ რუსთავში, თავის ბინაში, დანით მოკლა 43 წლის მზია ხუციშვილი.

პირტახიამ თბილისში, მე-5 საგამოძიებო იზოლატორში გადმოყვანის შემდეგ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე – ვენები გადაიჭრა.

ელგუჯა ჯამბურია *(სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსი, ხელმძღვანელობდა დაკავების ოპერაციას)*: „პირტახიას ყველა დეტალი ახსოვს – რომელი მსხვერპლი საიდან წამოიყვანა, ვის რა ეცვა... ფეხსაცმელიც კი ახსოვს! მან აღიარა 6 მკვლელობა. ექვსივე – ქალია. აქედან 5 – გააუპატიურა...“

„როცა ფხიზელი ვარ, ნორმალურად ვარ, როცა დავლევ, სისხლი მწყურია“, – ამბობდა ციკვისისხლიანი „რუსთაველი მანიაკი“

ფრიდონ პირტახია 1987 წელს გაგრაში ქურდობისთვის დაიჭირეს. სასჯელს იხდიდა ქალაქ ულან-უდეში. გათავისუფლების შემდეგ ფოსტაში კლავს ახალგაზრდა ქალს, რომელმაც ტელეფონზე დასარეკად არ შეუშვა. ამის შემდეგ 1998 წლამდე ციხეშია. 1998 წელს ჩადის რუსთავში, ყიდულობს ბინას და ცხოვრობს მარტო. ბოლო პერიოდში ეწეოდა მოხეტიალე ცხოვრებას. გაყრილია მეუღლესთან და ჰყავს 14 წლის გოგონა...

დღეს ის მკვდარია. ბევრი დეტალი გამოძიებისთვის მაინც გამოუცნობი დარჩა...

„კვირის პალიტრა“ №7, 2001 წ.

„რუსთაველი მანიაკი“ – ფრიდონ პირტახიამ მე-5 საგამოძიებო იზოლატორში ვენები გადაიჭრა....

საქართველო ამიერკავკასიის საჭადრაკო დაფაზე

„ეს უნდა იყოს თამაში, სადაც არ იქნებიან
დამარცხებულები და გამარჯვებულები. ამ
თამაშში უნდა გაიმარჯვოს ყველა მისმა
მონაწილემ. მხოლოდ ასეთი შედეგი იქნება
ხელსაყრელი საერთაშორისო სამყაროსათვის“
ზბიგნევ ბჟეზინსკი

გაზეთი „მონდი“ აღნიშნავდა, რომ „შევარდნაძემ შეუმცდარი ალღოთი გაიანგარიშა, საით უბერავდა ქარი და როგორც მსოფლიო კლასის დიპლომატმა და პოლიტიკოსმა. საქართველოს სასარგებლოდ დააწყო ფიგურები ნავთობის სიმბოლურ საქადრაკო დაფაზე“

[illegible] [illegible]

ფიქრობს, რომ

ანკარის გარეშე არ იქნება

1996 წელს თურქეთი საქართველოს მთავარ პარტნიორად იქცა. საქართველოს პრეზიდენტმა თურქეთის პრეზიდენტს გააცნო თავისი ინიციატივა „მშვიდობიანი კავკასიისათვის", რომელიც ითვალისწინებს, რომ რუსეთის, ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ლიდერების ძალისხმევას მხარი უნდა დაუჭირონ ანკარამ და თეირანმა.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ედუარდ შევარდნაძეს აცნობა, რომ თურქეთის საზღვაო-სანაოსნო დეპარტამენტის მითითებით, სოხუმისაკენ მიმავალი ყველა გემი შემოწმდება ფოთის ნავსადგურში და გაატარებენ მხოლოდ ჰუმანიტარულ ტვირთს. პრემიერ-მინისტრის აზრით, ეს სეპარატიზმის წინააღმდეგ მიღებული პრაქტიკული ზომა იქნება.

თურქეთი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საქართველოს გავლით კასპიის ნავთობის ტრანსპორტირების ინფრასტრუქტურათა ჩამოყალიბებაში.

თურქეთი საქართველოს ელექტროენერგიით დახმარებასაც შეჰპირდა, რითაც, ალბათ, ყველაზე მეტად აჭარა გაიხარებს, რომელსაც ამ მხრივ ძალზე უჭირს.

„კვირის პალიტრა" №15, 1996 წ.

თურქეთის პრეზიდენტის, სულეიმან დემირელის ვიზიტი საქართველოში

აფხაზეთში მოქმედი კავშირგაბმულობის არხები თბილისზე გადაირთვება

1996 წლის მარტში საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტრომ აფხაზთა მხარის წარმომადგენლებსა და კონფლიქტის ზონაში რუსეთის

სამშვიდობო ძალების სარდალს, გენერალ-ლეიტენანტ ვასილ იაკუშევს აცნობა, რომ მზადდება აფხაზეთში მოქმედი საქალაქთაშორისო და საერთაშორისო კავშირგაბმულობის არხების თბილისზე გადართვა. ამიერიდან ყველა სახეობის კავშირი აფხაზეთიდან, ისევე, როგორც საქართველოს სხვა რეგიონიდან რუსეთის ქალაქებთან, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებთან თბილისის ცენტრალური სადგურის მეშვეობით განხორციელდება.

„კვირის პალიტრა“ №15, 1996 წ.

ნატოს პერსპექტივა იზრდება

ზურაბ ჩაფიძე, *საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოს და განიარაღების სამმართველოს უფროსის მოადგილე:* – 1996 წლისთვის საქართველო აქტიურად მონაწილეობს ნატოს პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის“. ჩვენი ქვეყნისათვის ეს არის რეალური შანსი, აამაღლოს შეიარაღებული ძალების პროფესიონალიზმი და განამტკიცოს საერთაშორისო პრესტიჟი მას შემდეგ, რაც საქართველომ 1994 წლის მარტში ნატოსთან ხელი მოაწერა შეთანხმებას, პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ფარგლებში, ხოლო გასულ წელს, 1995 წლის დეკემბერში – „ინდივიდუალური თანამშრომლობის პროგრამის“ შესახებ. დაიწყო აქტიური მონაწილეობა ნატოს აქციებსა და ღონისძიებებში.

ნატო აფინანსებს ხარჯების 80%-ს, ხოლო 20%-ს აშშ ფარავს. ამასთან, ნატომ საქართველოს გამოუყო 300 ათასი დოლარი, რომლის ნაწილი ხმარდება ორმხრივ ღონისძიებებს, ნაწილი კი, ინდივიდუალური თანამშრომლობის ფარგლებში ქართველი ოფიცრების გაგზავნას დასავლეთის სამხედრო სასწავლებლებში, მათ მონაწილეობას ნატოს მანევრებში და ა.შ.

„კვირის პალიტრა“ №20, 1996 წ.

ნატოს წარმომადგენლობა თბილისში

მსოფლიო ბანკმა დაამტკიცა კრედიტი...

მსოფლიო ბანკმა ვაშინგტონში დაამტკიცა მილიონ ოთხასი ათასი დოლარის კრედიტის გამოყოფა საქართველოსთვის ნავთობის საინსტიტუციო მშენებლობის პროექტის დასაფინანსებლად.

მსოფლიო ბანკის აღნიშნული კრედიტი, ძირითადად, გათვალისწინებულია ბაქო-სუფსის მარშრუტზე და გამოყოფილია იმ მიზნით, რომ საქართველოს დაეხმაროს ტრანსპორტის სფეროში მსხვილი კერძო ინვესტიციების მიზიდვაში.

„კვირის პალიტრა“ №21, 1996 წ.

„ახალი არტერია მხოლოდ წარმატებას გვიქადის“

დასავლეთის საინფორმაციო საშუალებების ინტერესი ჩვენი ქვეყნისადმი მას შემდეგ გაიზარდა, რაც რეალური გახდა ევრაზიის დერეფნის ამუშავება და კასპიის ნავთობის ტრანსპორტირება საქართველოს ტერიტორიის გავლით. ყურადღების მიღმა არც საქართველო-რუსეთის ურთიერთობაა. ახლახან ბი-ბი-სიმ კვლავ შეახსენა მსმენელს საქართველოს მოთხოვნა – მიიღოს შავი ზღვის სამხედრო ფლოტის კუთვნილი წილი და აღნიშნა, რომ კავკასიის ეს ზღვისპირა სახელმწიფო უახლოეს მომავალში აუცილებლად საჭიროებს სამხედრო ფლოტს იმის გათვალისწინებით, რომ მის სანაპირო ზოლში ინტენსიური ნაოსნობა დაიწყება.

„კვირის პალიტრა“ №25, 1996 წ.

ტერ-პეტროსიანის ვიზიტი საქართველოში

არჩილ გეგეშიძე, *სახელმწიფო კანცელარიის საგარეო პოლიტიკის განყოფილების მთავარი სახელმწიფო მრჩეველი:* „ლევონ ტერ-პეტროსიანის ვიზიტი, ისევე, როგორც ჰეიდარ ალიევისა, საქართველოში მეზობელ ქვეყნებს შორის კავშირურთიერთობების თვისებრივად ახალ საფეხურზე აყვანას ისახავდა მიზნად.

ვიზიტის დროს სომხეთის პრეზიდენტი ეწვია ახალქალაქსაც, სადაც საქართველოს სომეხი მოსახლეობა კომპაქტურად არის დასახლებული. ამ რაიონს დიდი ეკონომიკური პერსპექტივა აქვს. მომავალში აქ გაზსადენმა უნდა გაიაროს, აშენდება საქართველო-თურქეთის დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალი, რომელიც სტრატეგიულ დანიშნულებას შეიძენს – ევრაზიის დერეფნის სისტემაში ჩაერთვება.

ასე რომ, ის არაჯანსაღი აჟიოტაჟი, თითქოს საქართველოს ამ ძირძველ რაიონში ანტიქართული პროცესები მიმდინარეობს, არ შეესაბამება სინამდვილეს. ის ფაქტი, რომ ახალქალაქის რაიონის მოსახლეობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში, სადაც ცალსახად დაუჭირა მხარი ედუარდ შევარდნაძეს, მრავლისმეტყველია“.

„კვირის პალიტრა“ №23, 1996 წ.

„საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კომპანიის“ პრეზიდენტი გია ჭანტურია. სუფსაში უკვე მუშაობენ ტენდერში გამარჯვებული საერთაშორისო კომპანიები

საქართველოს საკუთარი ნავთობი ექნება

ამერიკული სამშენებლო ფირმის პრეზიდენტი ბილ უაითი „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კომპანიის“ პრეზიდენტ გია ჭანტურიასთან ერთად განიხილავს გაჩიანში ნავთობგადამმუშავებელი მინიქარხნის მშენებლობის პერსპექტივებს.

გურიის რეგიონში, კერძოდ, სუფსაში, უკვე მუშაობენ ტენდერში გამარჯვებული საერთაშორისო კომპანიები, საზღვარგარეთული ფირმები, ეკონომიკური ორგანიზაციები და „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კომპანიის“ წარმომადგენლები. გათვალისწინებულია 8 ტერმინალის დადგმა (თითო 33-ტონიანი), აქედან – 2 ტერმინალი სარეზერვო იქნება. ნავთობის მოპოვებასთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ დასავლეთის მიმართულებით ნავთობის ტრანსპორტირების განხორციელების შემდეგ...

საქართველო იქნება არა მარტო სატრანზიტო, არამედ კავკასიის ინტერესების მაკოორდინირებელი სტრატეგიული მნიშვნელობის ქვეყანა.

„კვირის პალიტრა“ №26, 1996 წ.

ომიდან მშვიდობაზე გადასვლის გეგმა

რუსეთის, საქართველოს, სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის მაღალი თანამდებობის პირთა მიერ ცხინვალში 1996 წელს პარაფირებული მემორანდუმი ლოგიკური გაგრძელებაა იმ დოკუმენტისა, რომელსაც 1992 წლის ივნისში მოეწერა ხელი სოჭში. წინ არის სრულმასშტაბიანი მოლაპარაკებები სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური სტატუსისა და ჩრდილოეთ ოსეთთან მისი განსაკუთრებული ურთიერთობის თაობაზე. რამდენიმე დღის წინ სამხრეთ ოსეთში ჩატარ-

და სოციოლოგიური გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო რესპუბლიკის მოქალაქეთა დამოკიდებულების განსაზღვრა საქართველოს მიმართ. გამოკითხულთა ნახევარმა დღევანდელი ოსურ-ქართული ურთიერთობა დადებითად შეაფასა, თითქმის იმდენივემ მათი გაუმჯობესების იმედი გამოთქვა. გამოკითხულთა მხოლოდ 7% თვლის შესაძლებლად საქართველოს შემადგენლობაში შესვლას...

„კვირის პალიტრა" №20, 1996 წ.

გორი-ცხინვალის ტრასა საქართველოში ნარკოტიკების გავრცელების არხია

რამდენიმე დღის წინ ცხინვალის რეგიონში, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, საინტერესო მოვლენა მოხდა – თამარაშენის, ერგნეთისა და კეხვის საგუშაგოები დატოვეს რუსმა „ცისფერჩაფხუტიანებმა" და მათი ადგილი ქართველმა და ოსმა სამართალდამცავებმა დაიკავეს. ფაქტობრივად, გაგრძელდა პროცესი, რომელსაც ამ კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების შემცირება უნდა მოჰყვეს. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარება გრძელდება.

მაგრამ რუსეთის მხარე და პირადად, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მდგარი გაერთიანებული სამშვიდობო ჯარების სარდალი, გენერალ-მაიორი იური იუროვი შერეული საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებისა მთლად კმაყოფილი არ არის. მისი აზრით, ამ პოსტებზე სამშვიდობო ძალების მოხსნა და მათი ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოებისთვის გადაცემა გააძნელებს კონფლიქტის ზონაში უმთავრესი სატრანსპორტო მაგისტრალის გაკონტროლებას.

ამასობაში კი, ცხინვალის შესასვლელთან, ერგნეთის პოსტზე, ოსეთის მხარემ მიგრაციული სამსახურის პუნქტი გახსნა და ცხინვალის გამვლელ ყველა არამკვიდრს 24. 000 რუსულ რუბლს სთხოვს. ორკვირიანი მუშაობის ანალიზის თანახმად, 5 000-მდე მგზავრიდან ეს თანხა მხოლოდ 545-მა კაცმა გადაიხადა. მათი ნახევარი საქართველოს მოქალაქეა, თუმცა, აქედან 81% აზერბაიჯანელი, სომეხი და რუსი ეროვნებისაა. როგორც სტატიის ავტორს მიგრაციისა და ეროვნებათა საქმეების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ბორის ჩოჩიევმა განუცხადა, ისინი გადასახადს დიდი ლიახვის ხეობისა და გორის რაიონის მცხოვრებლებს არ ახდევინებენ. სხვა მხრივ, ოსური მხარე არ აპირებს დაკარგოს ის შემოსავალი, რაც შეიძლება მათ მოუტანოს ცხინვალისა და როკის გვირაბით გამავალმა ათასობით სომხეთისა და აზერბაიჯანის მოქალაქემ. შემოსავლის 30% მიგრაციის სამსახურს რჩება, 70% კი აუღიარებელი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ბიუჯეტში მიდის.

ამ ფაქტმა, თავის მხრივ, აღაშფოთა ქართული სამშვიდობო ძალების სარდალი კონფლიქტის ზონაში, გენერალ-მაიორი რეზო გურგენიძე: „თუკი ოსური მხარე არ გააუქმებს თავის უკანონო საიმიგრაციო სამსახურს, ქართველი სამხედრო დამკვირვებლები იძულებული გახდებიან, აღადგინონ კონტროლი გორი-ცხინვალის ცენტრალურ ტრასაზე".

ცხინვალი კი უკვე ერთი კვირაა, ელექტროენერგიას ისეთივე შეზღუდული გრაფიკით იღებს, როგორც მთელი საქართველო. ჩრდილო ოსეთიდან მომავალი ელექტროენერგიის ხაზი რუსეთმა გადაკეტა. მანამდე კი აქ 10 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ელექტროენერგია მოიხმარეს, რომელიც ოფიციალურმა თბილისმა უნდა გადაიხადოს, თუ არადა, ეს უკანასკნელი ავტომატურად ცნობს, რომ ცხინვალის რეგიონი მისი ტერიტორია არ არის.

ცხინვალი, ისევე როგორც ახლომდებარე სოფლები, სასმელი წყლის დიდ ნაკლებობას განიცდის. წყლის მილები სასწრაფოდ გამოსაცვლელია, რადგან იქმნება სასმელი წყლის მოწამვლის საშიშროება... ცხინვალში მათხოვარს ვერ ნახავთ, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ აქაურებს არ უჭირთ. მათაც უგვიანებს ადგილობრივი ხელისუფლება ხელფასებსა და პენსიებს, არ მუშაობს უმრავლესი ფაბრიკა და ქარხანა, ხალხის ძირითადი ნაწილი პროდუქტების ყიდვა-გაყიდვას ეწევა, ცხინვალი-თამარაშენის შესაყართან გამართულ ბაზრობაზე ყველა ვაჭრობს ქართველიც და ოსიც და ერთადაც პურმარილობენ. ეკონომიკა და ვაჭრობა საერთო ინტერესს უჩენს რამდენიმე წლის წინ ოპტიკური სამიზნეებით ერთმანეთს ჩასაფრებულ ქართველებსა და ოსებს. მაგრამ ზოგიერთს უფრო დიდი და სახიფათო ბიზნესისთვის მოუკიდია ხელი – „სპირტული ციებ-ცხელება" გორი-ცხინვალი-როკის მაგისტრალსაც შეჰყრია. გადატანილ სპირტზე რუსი მესაზღვრეების მიერ მაზანდის აწევამ ქართველი და ოსი სპირტბიზნესმენები აიძულა, ათასნაირი ხრიკისა და ეშმაკობისთვის მიემართათ. ხშირად თვით სატვირთო მანქანების კონსტრუქციაში წნევით ტუმბავენ სპირტს და ისე გადააქვთ საზღვარზე.

„დასპირტულების" გარდა ცხინვალის რეგიონში კვლავ მოქმედებენ ნარკობოსები. ნარკობიზნესი ამ მხარისთვის უკვე ტრადიციული გახდა.

გორი-ცხინვალის ტრასა საქართველოში ნარკოტიკების გავრცელების ერთ-ერთი ცნობილი არხია, ამიტომაც სამართალდამცავთათვის ფულის შოვნის წყურვილის მოკვლა მაინცდამაინც ადვილი არ არის.

გენერალ გურგენიძის თქმით, „ზურგგაუმაგრებელი" სამოქალაქო პირი ნარკობიზნესს იშვიათად ჰკიდებს ხელს. ნარკობოსები, ძირითადად, სამხედროები ან მილიციელები არიან – რიგითით დაწყებული, უმაღლესი ჩინის ოფიცრით დამთავრებული, რომლებიც ფაქტზე წასწრების შემდეგაც ყოველთვის ახერხებენ მშრალზე გამოსვლას.

„კვირის პალიტრა" №42, 1997 წ.

ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა ალანიის პრეზიდენტი ა. გალაზოვი საქართველოს არაოფიციალური ვიზიტით ესტუმრა

არჩევნები, რომელიც ძირს უთხრის საქართველოს მთლიანობას

ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა ალანიის პრეზიდენტმა ა. გალაზოვმა 1996 წლის 10 ნოემბერს დანიშნულ „სამხრეთ ოსეთის საპარლამენტო არჩევნებთან" დაკავშირებით, ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას მიმართა. მიმართვაში ნათქვამია, რომ მხარს უჭერს ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთს შორის ინტეგრაციულ პროცესებს.

ამასობაში ცხინვალში გამოქვეყნდა პრეზიდენტობის მოსურნე 6 კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამები. ყველა კანდიდატი აუცილებლად მიიჩნევს თბილისთან მოლაპარაკების გაგრძელებას და პარალელურად, მხარს უჭერს ჩრდილოეთ ოსეთთან დაახლოებას...

„კვირის პალიტრა“ №45, 1996 წ.

„სპირტის ომი“

1998 წლის ბოლოს განსაკუთრებით დაიძაბა ურთიერთობა თბილისსა და მოსკოვს შორის, რაც ზემო ლარსის სასაზღვრო პუნქტში შექმნილმა ვითარებამ გამოიწვია...

მანამდე კი, მთელი ზაფხულ-შემოდგომის განმავლობაში, რუსეთ-საქართველოს საზღვარზე მძინვარებდა ე.წ. „სპირტის ომი“. მოსკოვმა ყველაფერი გააკეთა, რათა ლარსს მიმწყდარი ათასობით სპირტით გატენილი ცისტერნა არ შეეშვა რუსეთის ტერიტორიაზე. მიზანი ერთი იყო, საქართველოს, როგორც სატრანზიტო სახელმწიფოს დისკრედიტაცია უცხოელი პარტნიორების თვალში.

ზაფხულში სპირტის გამო დაწყებული მოსკოვი-თბილისის დუელი დააგვირგვინა გენერალმა ნიკოლაევმა, რომელმაც საქართველოს დაბომბვის მუქარით ერთხანს თითქოს ჩააჩუმა ქართული მხარე, მაგრამ რუს მესაზღვრეთა მიერ დარიალის ხეობის 1380 მეტრის მიტაცების შემდეგ, შევარდნაძე და ჟვანია აშკარა ვა-ბანკზე წავიდნენ და მძაფრი განცხადებით გააპროტესტეს ნიკოლაევისა და კრემლის მესვეურთა ანტიქართული ქმედებები. მეტიც, ლარსში მიუშვეს ახალგაზრდა „მოქალაქეთა“ ყველაზე ანტირუსულად განწყობილი ჯგუფი, რომელსაც არც ხმა, არც ენერგია დაუშურებია საქართველოს წმიდათაწმიდა საზღვრის აღდგენისთვის ბრძოლაში, თუმცა, რუსი მესაზღვრეებისგან არცთუ სასიამოვნო ელექტროშოკიც იგემეს.

„კვირის პალიტრა“ №1, 1998 წ.

ვლადისლავ არძინბა თბილისში

სიმბოლურია, რომ არძინბა სწორედ 14 აგვისტოს, აფხაზეთის კონფლიქტის დაწყების 5 წლისთავზე ეწვია თბილისს.

...თბილისში ჩამოსულ ევგენი პრიმაკოვსა (რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრი) და ვლა-

თბილისში ჩამოსულ პრიმაკოვსა და არძინბას მასპინძლებმა უჩვეულო სიურპრიზი მოუმზადეს...

ედუარდ შევარდნაძე

დისლავ არძინბას მასპინძლებმა უჩვეულო სიურპრიზი მოუმზადეს – აეროპორტიდან კრწანისის სამთავრობო რეზიდენციამდე მათმა ესკორტმა გრძელი გზა განვლო. მანქანათა კოლონამ თითქმის მთელი თბილისი მოიარა. მარშრუტი შეგნებულად იყო არჩეული – არძინბას თბილისი დაათვალიერებინეს(!). სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, რა გრძნობები აღუძრა სულში არძინბას იმ ქალაქმა, რომელმაც მას სამეცნიერო დისერტაცია დააცვევინა, ან სასტუმრო „აჭარამ", სადაც დისერტაციის დაცვის დღეებში ცხოვრობდა და დღეს მის მიერ გამოყრილი დევნილები ფენენ სარეცხს, მაგრამ ერთი კი ცხადია: პრეზიდენტის კუთვნილ ჯავშნიან „მერსედესში" მჯდარი არძინბას ტვინი, ალბათ, სულ სხვა აზრებით იყო შეპყრობილი და უწინარესად იმით, რა „დაეცინცლა" შევარდნაძისთვის „დამოუკიდებელი" აფხაზეთის სასარგებლოდ...

ზურაბ ჟვანიამ აღშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ საქართველოს ტელევიზიამ არძინბას 3-საათიანი ინტერვიუ გადასცა, სადაც მან, ფაქტობრივად, უარყო საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ყოფნის შესაძლებლობა.

„კვირის პალიტრა" №33, 1997 წ.

„სტაბილურ არეულობას“ ბოლო მოეღო?!

„მას შემდეგ, რაც პრაქტიკულად გადაწყდა საქართველოს ტერიტორიის გავლით კასპიის ნავთობის დასავლეთში ტრანსპორტირების საკითხი, უფრო მეტად გაიზარდა ინტერესი ამ ქვეყნის მიმართ. მსოფლიოს საინფორმაციო სააგენტოები ხშირად წერენ, რომ საქართველომ, 1991 წელს მოპოვებული დამოუკიდებლობის შემდეგ, სახელი გაითქვა, როგორც საკუთარი თავისთვის ზიანის მიმყენებელმა ქვეყანამ. მაგრამ თითქმის ოთხწლიანი სამოქალაქო ომის, სეპარატისტებთან ბრძოლისა და ეკონომიკური სიდუხჭირის შემდეგ, დღევანდელი საქართველოს ხელისუფლება ფანატიკურად ცდილობს დაანახოს მოსახლეობას, რომ ამ „სტაბილურ არეულობას“ ბოლო მოეღო.

აღმოჩნდა, რომ საქართველოს ტერიტორია მართლაც უაღრესად პერსპექტიულია ნავთობის დასავლეთისკენ ტრანსპორტირებისთვის, რაც ქვეყანას დიდ მოგებას მოუტანს. ამასთან, საქართველომ უნდა აჯობოს რუსეთს, რომელიც ყველაფერს აკეთებს, ჩეჩნეთის ომის ჩათვლით, ძირითადი ნავთობის საკუთარ ტერიტორიაზე გატარებისთვის. სწორედ ამიტომ უნდა დაარწმუნოს საქართველომ მომავალი ინვესტორები, რომ არეულობისა და დაპირისპირების მშფოთვარე დღეები სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს... მაგრამ უბედურება ის არის, რომ საქართველო, როგორც ყოველთვის, საშინლად არაორგანიზებულია – ნავთობის მრეწველობის დასავლელი ოფიციალური პირები კარგა ხანია ჩივიან, რომ საქართველომ დღემდე, 1996-ის გაზაფხულამდე, ვერ წარადგინა სოლიდური კომერციული პროექტი მის ტერიტორიაზე ნავთობის ტრანსპორტირების თაობაზე“, – წერს ბრიტანული გაზეთი „ეკონომისტი“.

„კვირის პალიტრა“ №15, 1997 წ.

იმედისმომცემი ვიზიტი

1999 წელის 9 იანვარს აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი თბილისს ხანმოკლე ვიზიტით ეწვია, რომლის დროსაც დოქტორი კისინჯერი შეხვდა და მოლაპარაკება გამართა ედუარდ შევარდნაძესა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ირაკლი მენაღარიშვილთან.

ექსპერტები ამ ვიზიტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და ვარაუდობენ, რომ იგი საქართველოსა და მთელი რეგიონის უსაფრთხოების საკითხებთან არის დაკავშირებული.

„კვირის პალიტრა“ №2, 1999 წ.

ევროსაბჭო გველოდება

პარლამენტარები – მიხეილ სააკაშვილი და ლანა ღოღობერიძე სტრასბურგში იმყოფებიან, სადაც 1999 წლის 8 იანვარს ევროპის საბჭოს იურიდიულ კომიტეტში დაიწყო ამ ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრების საკითხის განხილვა. მოისმინეს საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმისა და ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ მოხსენებები. მიხეილ სააკაშვილის თქმით, ეს მოხსენება უმთავრესი ეტაპია საქართველოს ევროპის საბჭოში გასაწევრებლად. 27 იანვარს კი ევროპის საბჭოში განიხილავენ ამ ორგანიზაციაში საქართველოს სრულუფლებიან წევრად მიღების საკითხს. ევროპის ქვეყნებიდან მივლინებული პარლამენტარები კენჭს უყრიან საქართველოს გაწევრებას ევროსაბჭოში და, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ჩვენი ქვეყნის შესვლას ამ ორგანიზაციაში წინ არაფერი დაუდგება.

ევროსაბჭოში საქართველოს რესპუბლიკის მიღებით დაიწყება ევროპულ სტრუქტურებში ჩვენი ქვეყნის ინტეგრირების პროცესი, რაც რამდენიმე წლის შემდეგ, ალბათ, ევროკავშირში საქართველოს გაწევრებით დასრულდება.

„კვირის პალიტრა“ №2, 1999 წ.

სასიხარულო ინფორმაციები

სუფსის ტერმინალის ამოქმედებას კიდევ ორი სასიხარულო ინფორმაცია ახლდა თან. მიღებულ იქნა საბოლოო გადაწყვეტილება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელებისა და თურქმენეთის გაზის, ასევე აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის გავლით ტრანსპორტირების შესახებ.

ყოველივე ეს კი, გაზეთ „მორნინგსთარის“ თქმით, ხელს შეუწყობს რეგიონში მშვიდობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას, რაშიც დასავლეთი და, უწინარესად, ამერიკის შეერთებული შტატები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ.

„კვირის პალიტრა“ №16, 1999 წ.

ქოენი მხარს გვიჭერს

1999 წლის 1-ელ აგვისტოს თბილისს ოფიციალური ვიზიტით ეწვია აშშ-ის თავდაცვის მინისტრი უილიამ ქოენი.

იგი პირველი აშშ-ის თავდაცვის მინისტრია, რომელიც საქართველოს ესტუმრა. აშშ-ის თავდაცვის მინისტრი შეჰპირდა ქართველ სამხედროებს, რომ პენტაგონი კვლავ გააგრძელებს სამხედრო-ტექნიკურ დახმარებას საქართველოს სამხედრო ძალებისთვის, ხოლო წლის ბოლოსთვის შვეულმფრენებს გადასცემს.

„კვირის პალიტრა“ №31, 1999 წ.

„იმისთვის არ შევსულვართ ევროსაბჭოში, რომ რუსეთის დიქტატი სხვა ქვეყნის დიქტატით შეიცვალოს“



გურამ შარაძე „იეღოვას მოწმეთა“ სექტის წინააღმდეგ

დეპუტატ გურამ შარაძის მიერ წამოწყებული პროცესის მიმართ უარყოფითი პოზიცია დააფიქსირეს როგორც აშშ-ის საელჩომ საქართველოში, ისე აშშ-ის შესაბამისმა სამსახურებმა. როგორც ცნობილია, 1998 წლის 6 ოქტომბერს აშშ-ის სენატმა მიიღო საერთაშორისო აქტი რელიგიური დისკრიმინაციის შესახებ. კანონი მოითხოვს სხვადასხვა სახის პროტესტის გამოვლინებას იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც რელიგიურ სფეროში დისკრიმინაციულ პოლიტიკას ეწევიან. კანონი ითვალისწინებს არა მარტო დიპლომატიურ პროტესტს, არამედ ინვესტიციებისა და დახმარებების შეწყვეტასაც.

გურამ შარაძე: „ჩემამდე მოაღწია ხმებმა, რომ ამერიკის საელჩო და საერთაშორისო ორგანიზაციები აღშფოთებულნი არიან – თითქოს ჩემი ქმედებით რელიგიათა დისკრიმინაციას ვეწევი. ვფიქრობ, ეს არის საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევა, რისი უფლებაც საქართველოში აკრედიტებულ არც ერთ დიპლომატიურ კორპუსს არა აქვს. ჩვენ იმისთვის არ შევსულვართ ევროსაბჭოში, რომ რუსეთის დიქტატი სხვა ქვეყნის დიქტატით შეიცვალოს. ამასთან, ძალიან მაინტერესებს, რა კომენტარს გაუკეთებენ ჭორის გამავრცელებლები იმ ფაქტს, რომ თავად საღად მოაზროვნე ამერიკელებიც ილაშქრებენ ე.წ. „იეღოვას მოწმეთა“ სექტის წინააღმდეგ“.

„კვირის პალიტრა“ №26, 1999წ.

„ნატოში შესვლის პერსპექტივა ხალხის მოტყუებაა“

თენგიზ ეპიტაშვილი, *საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის გენერალ-მაიორი, სამხედრო მეცნიერი და აკადემიკოსი, 1977-1983 წლებში ავღანეთში იმყოფებოდა და „ინტერნაციონალურ“ ვალს იხდიდა:*

– საქართველოს ნატოში შესვლის პერსპექტივა ხალხის მოტყუებაა. არ მიგვიღებენ! იმას არავინ ჭამს, რომ აქ რუსის ჯარიც გეყენოს და თან ნატოს ეფიცებოდე ძმობას.

მე ბრალს ვდებ პრეზიდენტს და მთავრობას, რომ მათ რუსეთის ბაზების გაყვანა არ უნდათ!

რამდენჯერ უთქვამთ რუსეთის გენერალიტეტში ჩემთვის, – გვითხრას შევარდნაძემ და ხვალვე გამოვიყვანთ ჯარებსო, მაგრამ საქმეც ის არის, რომ არ სურს პრეზიდენტს რუსის წასვლა, რადგან თავისი ხალხისა ეშინია...

გახსოვთ, ახლახან, შევარდნაძის მიერ აფიშირებული ფაქტი: „ჩემს კითხვაზე, ბოლოს და ბოლოს, როდის მიიღებთ საქართველოს ნატოში, ხავიერ სოლანამ პასუხი ყურში ჩამჩურჩულა, საიდუმლოა და ვერ გეტყვითო...“ თუ ბატონი პრეზიდენტი არ ამბობს, მაშინ მე ვიტყვი, რაც ჩასჩურჩულა სოლანამ შევარდნაძეს! – როცა რუსის ჯარს გაიყვანთ საქართველოდან, მაშინ ვილაპარაკოთ ამ საკითხზეო! ამ ამბის მოწმე მხოლოდ ბატონი გელა ჩარკვიანი გახლდათ, რომელიც თარჯიმნობდა... ვიცი, მე ეს ამბავი და დამიჯერეთ!..

ჩვენ რუსების გინება და დამცირება ხელს არ მოგვცემს. რუსეთის სისუსტე დროებითი მოვლენაა. ელცინის ხელისუფლებას მალე მოაშორებენ, მოვლენ სხვა ძალები და რუსეთიც გაცილებით ძლიერი სახელმწიფო გახდება.

ნუ გვავიწყდება ჩინეთი და ინდოეთი, რომლებიც წინააღმდეგი არიან ნატოს გაძლიერებისა. ეს ქვეყნები და სხვებიც გაერთიანდებიან ამერიკისა და ნატოს წინააღმდეგ და დაამხობენ ორივეს!

რუსებმა რომ ერთი-ორჯერ დაარტყან ამერიკას და ორი-სამი ქალაქი დაუნგრიონ, მერე ვნახავთ, რა ჭკუაზე დადგებიან.

მთელი მსოფლიო უნდა აღუდგეს წინ ამერიკას და გაასწოროს მიწასთან, რადგან ის დემოკრატიული კი არა, ბანდიტებისა და ფაშისტების ქვეყანაა. ნურავინ იფიქრებს, რომ მე საბჭოთა კავშირის აღდგენის მომხრე ვარ. არა, მე

თენგიზ ეპიტაშვილი: „...მაშინ მე ვიტყვი, რაც ჩასჩურჩულა ხავიერ სოლანამ ედუარდ შევარდნაძეს“

დამოუკიდებელი საქართველო მინდა, მაგრამ ვართ დღეს დამოუკიდებლები, როცა სავალუტო ფონდი დღედაღამ გვამოწმებს? ვინ არიან, რომ ჩვენს საშინაო საქმეებში ცხვირს ყოფენ? ესეც ხელისუფლების უსუსურობის ბრალია...

„კვირის პალიტრა“ №20, 1999წ.

რა ღირს არჩევნებში გამარჯვება?

საპარლამენტო არჩევნები ახლოვდება (1999 წელს საქართველოში რიგით მეორე საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა), პოლიტიკური პარტიები არ მალავენ, რომ ფულს ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

მიხეილ სააკაშვილი, *საპარლამენტო ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირი“*: „წელს საარჩევნო კამპანია ერთ-ერთი ძვირად ღირებული პროცესი იქნება. ვიცი, ზოგ ჩვენს კონკურენტ პარტიას 15-20 მლნ დოლარი უკვე თავმოყრილი აქვს. უქმად არც ჩვენ ვაპირებთ ჯდომას – ღიად ვეტყვით მეწარმეებს, გვჭირდება ამდენი და მოგვეცითო...“

მამუკა გიორგაძე, *სახალხო პარტია:* „მოქმედ ხელისუფლებას არსებობის ერთი გზა აქვს – საარჩევნო ხმების ყიდვა. სანდო წყაროსგან ვიცი, რამდენიმე მილიონი უკვე ხელთ აქვთ...“

ვახტანგ რჩეულიშვილი, *სოციალისტური პარტია:* „დარწმუნებული ვარ, „მოქალაქეები“ ერთ რაიონში მაჟორიტარისთვის 100 ათას დოლარს მაინც დახარჯავენ. ჩვენ ერთ მაჟორიტარს, ალბათ, 2-3 ათასს დავახარჯავთ. საიდან? – პარტიის წევრები შემოიტანენ, რა... ფულის დარიგებაო? – არა, ამას ჩვენ არ ვაპირებთ,

„მოქალაქეები“ და სხვები აპირებენ...“

შალვა ნათელაშვილი, *ლეიბორისტული პარტია:* „საარჩევნო კამპანიის ღირებულება პარტიის რეიტინგზეა დამოკიდებული – თუ „მოქალაქეთა კავშირს“ 10 მილიონი დასჭირდება, ჩვენ 100 ათასი გვეყოფა... ჩვენს პარტიაში 50 ათასი წევრია და თითოეულმა 10 ლარი რომ დადოს, 100 ათასი დოლარი სავსებით მეყოფა..“

როგორც ჩანს, საარჩევნო მარათონი მილიონებს შეიწირავს და ეს უხელფასო, უპენსიო, უშუქო და უფულო ქვეყანაში ხდება...

„კვირის პალიტრა“ №16, 1999 წ.

„ჟვანიასა და ჩემი გამოსვლისას მთელი მთავრობა ფეხებს აბაკუნებდა და უსტვენდა“

მიხეილ სააკაშვილი, *ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ ლიდერი:* – საქართველოში დანაწილებულია ხელისუფლება და მეც ამ შემთხვევაში წარმოვადგენ საპარლამენტო ხელისუფლებას. მთავრობის წინა სხდომაზე დარბაზის მნიშვნელოვანი ნაწილი ზურაბ ჟვანიასა და ჩემი გამოსვლებისას ფეხებს აბაკუნებდა და უსტვენდა(!) და ეს არ იყო ოპოზიციის მიტინგი, არამედ გახლდათ ჩვენი აღმასრულებელი ხელისუფლების ელიტის შეკრება. აი, ეს ერთი

მიხეილ სააკაშვილი: „...ღიად ვეტყვით მეწარმეებს, გვჭირდება ამდენი და მოგვეცით-თქო“

ზურაბ ჟვანია: „არ არის კარგი, რომ ქვეყნის ბედი ერთ პიროვნებაზეა დამოკიდებული, მაგრამ ეს ჩვენი რეალობაა"

კონკრეტული ფაქტიც გვიჩვენებს, რომ რეფორმებს ყველაზე დიდ წინააღმდეგობას უწევს ის ხალხი, ვის ხელშიცაა ბერკეტები, და არა ოპოზიცია, თუმცა, არც ოპოზიცია ყოფილა გენერატორი რეფორმებისა და გაუთავებლად გვესმოდა მისგან, – „ნუ ჩქარობთ, ნუ აკეთებთ" და ა.შ. ფაქტობრივად, ჩვენ მძიმე ვითარებაში აღმოვჩნდით. ერთი მხრივ, ბრძოლა გვიხდება კორუმპირებული ბიუროკრატიის წინააღმდეგ, რის გამოც ძალიან ბევრი მტერი გავიჩინეთ იმ ხალხის სახით, რომელსაც რეალური გავლენა აქვს ქვეყანაში, მეორე მხრივ კი, ბრძოლა გვიწევს ოპოზიციის ინერტულობასთან...

ჩვენი ურთიერთობა პრეზიდენტთან დამყარებულია, უწინარესად, გულწრფელობაზე. იშვიათია ისეთი გულწრფელობა, როგორითაც ზურაბ ჟვანია ელაპარაკება ყველა საკითხზე პრეზიდენტს და ამიტომაც ზოგჯერ მოგვდის დავა, მაგრამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებში ჩვენ ვიყავით მუდამ ერთნი, ამიტომაც ვუჭერთ მხარს პრეზიდენტს...

მოკლედ, თუ „მოქკავშირი" დამარცხდა არჩევნებში, შევარდნაძის შანსი საპრეზიდენტო არჩევნებში დავა მინიმუმამდე, მით უმეტეს, რომ პრეზიდენტმა დღემდე თავისი რეფორმატორული კურსით მოახდინა საკუთარი თავის გაუცხოება ყველა იმ ძალებისაგან, ვინც მისტირის წარსულს და იმდენად მოახდინა, რომ ამ ძალებს შევარდნაძე სძულთ არა მარტო ტაქტიკური მოსაზრებების გამო, არამედ ეზიზღებათ გულწრფელად და მთელი გულით.

ჩვენ გახლავართ ხელისუფლების ის ჯგუფი, რომელიც იბრძვის უკეთესი მომავლისათვის.

„კვირის პალიტრა" №13, 1999 წ.

ახალი სწრაფი მოქმედების „ნაღმები“?!

„Независимая газета“-ს 1997 წლის 26 მარტის ნომერი თბილისში ხელიდან ხელში გადადიოდა. იგივე ხდებოდა კიევში, ბაქოსა და ტაშკენტში, ყველა იმ სახელმწიფოს დედაქალაქში, რომლებიც „ნეზავისიმაია გაზეტას“ ზემოხსენებული ნომრის მთავარი სტატიის („დსთ – ისტორიის დასაწყისი თუ დასასრული“), ავტორებმა რუსეთის ძირითად პოტენციურ მოწინააღმდეგეებად მოიხსენიეს როგორც დღეისათვის, ისე სამომავლოდ.

ალბათ, სწორედ ამიტომაც, სტატიის ავტორები რუსეთს გადასარჩენად სთავაზობენ ძირითადად ძალისმიერ ხერხებს, – როგორც სამხედრო ძალის, ისე „მეხუთე კოლონის“ – რუსული დიასპორის აქტიურ გამოყენებას დამოუკიდებელ სახელმწიფო თანამეგობრობის წევრ ქვეყნებში: უკრაინაში, აზერბაიჯანში, საქართველოსა და უზბეკეთში მდგომარეობის დესტაბილიზებისათვის.

სტატიის ავტორები ორი ახალი სნრაფი მოქმედების „ნაღმის“ ჩადებასაც აპირებენ საქართველოში – აჭარაში სეპარატისტული მოძრაობის სტიმულირებასა და სომხეთის მიერ ჯავახეთის დაპყრობას. ამ ფანტასტიკური (იმედი ვიქონიოთ) იდეის განხორციელების შემთხვევაში, ავტორების აზრით, სომხეთს გაეხსნება პირდაპირი საკომუნიკაციო კავშირი რუსეთთან, ალბათ, ჯავახეთ-აჭარის გავლით შავ ზღვაზე, ან, რაც ასევე არ არის გამორიცხული, ჯავახეთ-სამხრეთ ოსეთის მიმართულებით, რითაც ერევანი აისრულებს თავის საუკუნოვან ოცნებას, – სომხეთს აღარ ექნება არასახარბიელო სტრატეგიული მდებარეობა ამიერკავკასიაში.

„კვირის პალიტრა“ №13, 1997 წ.

ქართული იარაღის ნიმუშები ბუქარესტში

XXI საუკუნის დადგომამდე სულ ცოტა ხნით ადრე, სუვერენულმა საქართველომ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა იმისთვის, რომ იგი მსოფლიოს სხვა კუთხითაც გაეცნო. 1999 წლის 26-30 ოქტომბერს რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში გაიმართა საერთაშორისო სამხედრო გამოფენა „EXPOMIL-99“, რომელზეც პირველად იყო წარმოდგენილი ქართული იარაღის ნიმუშები.

სამხედრო გამოფენის მთავარმა ორგანიზატორმა, რუმინეთის ეროვნული თავდაცვის სამინისტრომ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საექსპოზიციო დარბაზში უფასოდ გამოუყო 10 კვადრატული მეტრი ფართობი ქართული იარაღის გამოსაფენად. მიუხედავად იმისა, რომ „EXPOMIL-99“-ში 67 რუმინული და მსოფლიოს 13 ქვეყნის 36 ცნობილი ფირმა მონაწილეობდა, პირველი ქართული სამხედრო ექსპოზიცია მათ შორის „დაჩაგრულად“ ნამდვილად არ გამოიყურებოდა.

„კვირის პალიტრა“ №44, 1999 წ.



„კვირის პალიტრის“ სამხედრო მიმომხილველი, ირაკლი ალადაშვილი ბუქარესტში, ქართული იარაღის ნიმუშების გამოფენაზე

სახელმწიფო

ასლან აბაშიძეს რამდენიმე წელია არაფერი გადაურიცხავს ფედერალური ცენტრისთვის

1996 წლის 17 დეკემბერს ბათუმის ცენტრში მოულოდნელად გამოჩნდნენ ტანკები და ჯავშნოსანი ტრანსპორტი, რომელთაც ალყაში მოაქციეს უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის შენობები, ფოსტა, ტელეგრაფი, ტელევიზია და, აგრეთვე, აჭარის პარლამენტის თავმჯდომარის, ასლან აბაშიძის სახლი. სამხედრო ტექნიკის დიდი ნაწილი ადგილობრივი სწრაფი რეაგირების ჯგუფს და „ალფას“ ქვედანაყოფს ეკუთვნის. ავტონომიურ რესპუბლიკაში განლაგებული რუსეთის არმიის სატანკო პოლკში განგაში გამოცხადდა. ბატონი აბაშიძის მრჩეველმა ნიაზ გოგიტიძემ ეს მოვლენა ახსნა, როგორც ერთობლივი სამხედრო სწავლების პროცესი.

ავტონომიის დედაქალაქში მძიმე სამხედრო ტექნიკის გამოჩენამ, რა თქმა უნდა, აღაშფოთა თბილისი. ბოლო დროს ცენტრსა და აჭარას შორის დაძაბული ურთიერთობაა. ქართველი მეთვალყურეების აზრით, რუსეთ-აჭარის სამხედრო მანევრები ბათუმში არის ასლან აბაშიძის ძალებისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირება, ან კიდევ მცდელობა იმისა, რომ ამ სახით შეიძლება დაითანხმოს საქართველოს პარლამენტი ახალი კანონპროექტის მიღებაში.

ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ პირადად მიიღებს მონაწილეობას თავისუფალი ეკონომიკური ზონის პროექტის განხილვაში ბათუმში.

„კვირის პალიტრა“ №51, 1996 წ.

ბათუმი თბილისს დუელში იწვევს

„ჟვანია ჩუმად გვისმენდა, მერე ადგა და წავიდა“, – ასე ამთავრებს ბათუმის ტელევიზიისთვის მიცემულ სკანდალურ ინტერვიუს ბათუმის ექსმერი თამაზ ხარაზი. ექსმერმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ უცნობი ახალგაზრდების მიწვევით ურეკში შეხვდა პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიასა და საპროცედურო საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს, როსტომ დოლიძეს. ხარაზის მტკიცებით, მასპინძლებმა მას დახმარება სთხოვეს ასლან აბაშიძის დიქტატურის დამხობაში, რაზეც ხარაზმა უარი განაცხადა. რაღა თქმა უნდა, როსტომ დოლიძემ ხარაზის ბრალდება უარყო. თუმცა, არ დაუმალავს, რომ ექსმერი მისი მეგობარია და შეკვეთილში ნამდვილად ესტუმრა. ამ შეხვედრას არავინ დასწრებია, მით უფრო – ზურაბ ჟვანია...

თბილისსა და ბათუმს შორის ატეხილ „მუშტი-კრივს“ დაემთხვა დიდი ქართველი მამულიშვილის, მემედ აბაშიძის მემორიალის გახსნა ბათუმში. მმართველი ელიტა, ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით, დაუყოვნებლივ ჩავიდა ბათუმში. ზურაბ ჟვანიამ ღირსეულად ჩააბარა „გამოცდა“ და ძეგლის გახსნის ცერემონიაზე ნარბშეუხრელად დადგა მემედ აბაშიძის შვილიშვილის გვერდით...

„ჩვენი ქვეყნის მტრები აქტიურად ცდილობენ, გაითამაშონ ე.წ. „აჭარის კარტი“ და როგორმე შექმნან სერიოზული დაპირისპირება ცენტრალურსა და ბათუმის ხელისუფლებას შორის. მიუხედავად ყველაფრისა და ჩემს წინააღმდეგ დაწყებული პროვოკაციებისა, არც ერთი ჩვენგანი და უწინარესად, პრეზიდენტი, არ დაუშვებს ამის განხორციელებას, ეს შეუძლებელია“, – განაცხადა **ზურაბ ჟვანიამ.**

„კვირის პალიტრა“ №1, 1998 წ.

ასლანის მუჭარა

...აჭარის თავკაცმა ასლან აბაშიძემ გამწარებული კაცის პოზიცია დაფიქსირა – თუ ხელისუფლება არ შეწყვეტს აჭარის ბლოკადაში მოქცევის მცდელობას, ავამოქმედებ ყარსის ხელშეკრულების პუნქტებსო(!).

ამ განცხადებას მმართველმა ძალამ ეროვნული და სახელმწიფოებრივი ღალატი უწოდა...

„კვირის პალიტრა“ №31, 1999 წ.

აბაშიძეს თავისი სიცოცხლის ხელყოფის პარანოიდული შიში აქვს

ასლან აბაშიძე ზვიად გამსახურდიამ „დასვა ტახტზე“ საბჭოთა ხელისუფლების დროს ასლან აბაშიძე საქართველოს კომუნალური და საყოფაცხოვრებო მეურნეობის მინისტრის მოადგილე იყო. აბაშიძის ბათუმში გაგზავნით ზვიად გამსახურდია აჭარის თავის კონტროლქვეშ მოქცევას ფიქრობდა. სწორედ ამიტომ დანიშნა აბაშიძის მოადგილედ თავისი კაცი – ნოდარ იმნაძე. თავის მხრივ, ასლან იბრაჰიმოვიჩი პირველი დღიდანვე ცდილობდა მისი „მზრუნველობის“ თავიდან აცილებას.

საბაბი ძალიან მალე მიეცა. 1991 წლის 22 აპრილს ბათუმში ჩატარდა მთავრობის საწინააღმდეგო დიდი მიტინგი. მიტინგის შემდეგ იმნაძეს ყველანაირი უფლებამოსილება ჩამოერთვა, საკუთარ კაბინეტშიც კი არ უშვებდნენ. ამან იმნაძე ძალიან გააღიზიანა, აბაშიძე გააკრიტიკა და „სადამ ჰუსეინიც“ უწოდა. რამდენიმე დღის შემდეგ პისტოლეტით შეიარაღებული იმნაძე შევარდა აბაშიძის კაბინეტში და, როგორც ამბობენ, რამდენჯერმე ჰაერში ისროლა – ალბათ, დასაშინებლად. ერთ-ერთმა მცველმა იმნაძე სასიკვდილოდ დაჭრა.

„თავდასხმის მანიით“ შეპყრობილი აჭარის ლიდერის საქციელი კი ყოველგვარ საზღვარს სცილდება. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ დეპუტატი აბაშიძე უკანასკნელი წლების მანძილზე თბილისში ერთხელაც არ ყოფილა, ხოლო ერთი წლის წინ საქართველოს პარლამენტის სპიკერი ზურაბ ჟვანია სახალხოდ გამოაცხადა მასზე თავდასხმის მომზადების მოთავედ.

აბაშიძეს თავისი სიცოცხლის ხელყოფის პარანოიდული შიში აქვს. ბათუმის ცენტრში, მაღალსართულიანი სახლის სახურავზე დამონტაჟებული ძლიერი პროჟექტორი დაბინდებისთანავე ქალაქის სახლების სახურავებს სისტემატურად ამოწმებს. ასე იცავს თავს ასლან აბაშიძე მითური სნაიპერისგან...

როგორც კი იმნაძე მოიცილა, აბაშიძე მაშინვე კადრების „წმენდას“ შეუდგა. ზვიად გამსახურდიას ხალხი თანდათან გაათავისუფლა საპასუხისმგებლო თანამდებობებიდან და ყველგან თავისი ნათესავები და ახლო მეგობრები დანიშნა...

როცა აფხაზეთში საომარი მოქმედებები დაიწყო, აჭარის ლიდერმა სასწრაფოდ მიიღო რამდენიმე აქტი და დადგენილება, რომლებიც აკანონებდა პრიორიტეტს საქართველოს საყოველ-

ასლან აბაშიძე ზვიად გამსახურდიამ „დასვა ტახტზე“...

თაო კანონებთან მიმართებაში. აბაშიძემ შეიარაღება დაიწყო. 1992 წლის ბოლოს ბათუმის პორტს მიადგა რუმინული იარაღით დატვირთული გემი, რომელიც ჯერ კიდევ გამსახურდიამ დაუკვეთა. 4 000 ავტომატი მხოლოდ აბაშიძემ დაისაკუთრა. აჭარის ლიდერმა შექმნა ე.წ. შეიარაღებული სახალხო რაზმები, რომლებიც მხოლოდ მას ემორჩილებოდნენ.

ასე ნაბიჯ-ნაბიჯ, წლიდან წლამდე, აჭარა იქცა სახელმწიფოდ სახელმწიფოში. ასლან აბაშიძე არც იურიდიულად და არც ფაქტობრივად არ იმყოფება ცენტრის კონტროლის ქვეშ. წრე ჩაიკეტა – დამცავი სამხედრო სტრუქტურები, საკუთარი საფინანსო სისტემა... აჭარას რამდენიმე

წელია არაფერი გადაურიცხავს ფედერალური ცენტრისათვის. საქართველოს პროკურატურამ პირდაპირ წაუყენა ბრალდება ასლან აბაშიძეს და დაადანაშაულა სანაოსნოსთან დაკავშირებულ გახმაურებულ საქმეში, რის გამოც საქართველომ ათასობით მილიონი დოლარი დაკარგა. სავარაუდოა, რომ ამ ფულის ნაწილი იხარჯება აბაშიძის წინასაარჩევნო კამპანიისათვის.

აბაშიძეს თავისი პარტია აქვს – „საქართველოს დემოკრატიული აღორძინების" პარტია. თავდაპირველად, ეს მხოლოდ რეგიონული ნომენკლატურის პარტია გახლდათ, ახლა „აღორძინება" გაძლიერდა და თავისი ადგილიც აქვს პარლამენტში. სასაცილოა, მაგრამ ფრაქციის წევრები პარლამენტის სხდომებს არ ესწრებიან, ასლანმა აუკრძალა, რადგან ეშინია, რომ „მოქალაქეთა კავშირი" მათ გადაიბირეს.

არჩევნების წინ „აღორძინებამ" ბლოკი შექმნა, სადაც მეტად ჭრელი საზოგადოება შეიფარა. რად დასჭირდა ეს აბაშიძეს? მიზანი ნათელია – რაც შეიძლება მეტი ხმა წაართვას „მოქალაქეთა კავშირს", თუმცა, უკვე ცხადია, რომ „აღორძინებას" საუკეთესო შემთხვევაში შეიძლება საპატიო მეორე ადგილი შეხვდეს. ცხადზე ცხადია, თუ აბაშიძე მოვა ხელისუფლების სათავეში, დაიწყება სხვაგვარად მოაზროვნე ხალხის დევნა და საქართველოს ქონების უმეტესი ნაწილი „აჭარელი ლომისა" და მისი გუნდის ხელში აღმოჩნდება, ეჭვქვეშ დადგება საქართველოს წევრობა ევროსაბჭოში, რადგან აჭარაში თავისუფალი პრესა არ არსებობს... მას შესანიშნავი ურთიერთობა აქვს რუს სამხედროებთან, „დასავლელი" შევარდნაძისგან განსხვავებით, არასდროს მალავდა თავის პრორუსულ ორიენტაციას.

მოახლოვდა საპარლამენტო არჩევნები, ხოლო პრორუსული იმიჯი ქართველ ამომრჩევლებს არ სიამოვნებთ. ამიტომ ასლან აბაშიძე იძულებულია, განაცხადოს, რომ მას დასავლეთი უჭერს მხარს.

„კვირის პალიტრა" №42, 1999 წ.

მუხრან მაჭავარიანი: „საქართველოს აღორძინება“ პარტიათა ალიანსია, ჩვენ საქართველოს გადარჩენა გვაკავშირებს...“

ბლოკმა „საქართველოს აღორძინება“ ბევრისთვის საკმაოდ მოულოდნელი განაცხადი გააკეთა, როდესაც თავის პარტიულ სიაში მესამე ნომრად მუხრან მაჭავარიანი დაასახელა. ნავსი გატყდა – პოეტი და საზოგადო მოღვაწე მუხრან მაჭავარიანი პოზიციას იცვლის და პოლიტიკაში დაბრუნებას აპირებს. კაცი, რომელიც დაახლოებით შვიდი წელია ასპარეზზე არ გამოჩენილა.

მუხრან მაჭავარიანი: – ვინც საქართველოს ახლო წარსულს კარგად იცნობს, ალბათ, ემახსოვრება, რომ ხელისუფლებაში ეროვნული მოძრაობის მოსვლის დროს ბლოკ „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ სიაში ზვიად გამსახურდიას შემდეგ მეორე ვიყავი; ხოლო ამ ხელისუფლების დამხობის შემდეგ, როდესაც სათავეში იარაღით მოსული ძალა დადგა, მე უარი ვთქვი ყოველგვარ სამსახურზე,



ბლოკმა „საქართველოს აღორძინება“ პარტიულ სიაში მესამე ნომრად მუხრან მაჭავარიანი დაასახელა

ჩემი ნებით დავტოვე მწერალთა კავშირის თავმჯდომარის თანამდებობა, რითაც ეროვნული მოძრაობისადმი საკუთარი ერთგულება დავამტკიცე... გასული შვიდი წელი ჩემთვის საკმაოდ რთული იყო, ყველანაირი გაგებით. ამ დროის განმავლობაში, ასე ვთქვათ, განდეგილის პოზიციიდან ვუყურებდი ყველაფერს.

მიმაჩნია, რომ საქართველოში დღეს არსებულ უამრავ პარტიათა შორის სამად-სამი პოლიტიკური პარტიაა, რომელსაც ეროვნული მოძრაობის სული შემორჩა. ესენია: ბლოკი „საქართველოს აღორძინება“, სახალხო პარტია „დიდგორი“ და სახალხო ფრონტი – ილია ჭავჭავაძის საზოგადოება. ამ სამი პარტიის გარდა, ჩემი აზრით, ყველა ერთ თამაშს თამაშობს, ზოგი პოზიციის, ზოგი კი ოპოზიციის ნიღბით.

რაც შეეხება ბლოკ „საქართველოს აღორძინებაში“ ჩემს შესვლას, ეს პოლიტიკური პარტია „საქართველოს დემოკრატიული აღორძინება“ რომ ყოფილიყო, მისი პარტიული სიით არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებდი. სწორედ იმის გამო გადავდგი ასეთი ნაბიჯი, რომ იგი არა ერთი კონკრეტული პარტიაა, არამედ სხვადასხვა პარტიათა ალიანსი, რომელთაც ერთი დიდი მიზანი, საქართველოს გადარჩენა აკავშირებთ...

აჭარაში არანაირი დიქტატი არ არის. ეს აბსოლუტური სიცრუეა. მე დიდი ხნის მანძილზე არ ვიყავი ნამყოფი აჭარაში, მიუხედავად იმისა, რომ ეს კუთხე ძალიან მიყვარს; ხოლო როდესაც ჩასვლამ მომიწია, გულწრფელად გეტყვით, გაოცებული დავრჩი. თურმე საქართველოში არის კუთხე, სადაც ალმშენებლობა მიდის. სწორედ ამან ჩამისახა იმედი, რომ ჯერ კიდევ შეიძლება საქართველოს გადარჩენა, ჯერ კიდევ არის ამის შანსი. რომ იყოს კიდეც ასლან აბაშიძე დიქტატორი, რაც, კიდევ ვიმეორებ, აბსურდია, შიშის საფუძველი მაინც არ არის, იმის გამო, რომ ასლან აბაშიძე ბლოკის ერთპიროვნული ლიდერი არ გახლავთ.

პირადად მე, მთელი ჩემი შემოქმედებითა და საქმიანობით ვცდილობდი, საზოგადოებამდე მიმეტანა ის საშიშროება, რომელსაც რუსეთი გვიქადდა. სწორედ ამიტომ მომნათლეს ანტისაბჭოთა პოეტად. როგორ ფიქრობთ, შევიდოდი იმ ბლოკში, სადაც თქვენ მიერ ნათქვამი საშიშროების თუნდაც მცირედი ეჭვი იქნებოდა? ასლან აბაშიძეს ასეთი პოზიცია უკავია, – ნებისმიერ მეზობელ ქვეყანასთან მეზობლური, ნორმალური ურთიერთობა. არც ბატონობა და არც მონობა.

ხალხს მოსწყინდა დაქუცმაცებული, გახლეჩილი საქართველოს, ერთმანეთზე გადამტერებული საზოგადოების ყურება. ერის უდიდესი ნაწილი მიხვდა, რომ ურთიერთმიტევებით, თანადგომით, პატივისცემით თუ ეშველება ქვეყანას. თურმე შესაძლოა მტერთა დამოყვრებაც, ამის მაგალითი კი უკვე გვაქვს ჩვენი ბლოკის სახით. სწორედ ამიტომ თითქმის დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენ საპარლამენტო უმრავლესობაში მოვალთ.

თუ ჩემი პიროვნება და ავტორიტეტი საქართველოს ოდნავ მაინც წაადგება, მზად ვარ, ყოველგვარი საქმე გვერდზე გადავდო.

„კვირის პალიტრა“ №42, 1999 წ.

„თურმე შესაძლოა მტერთა დამოყვრებაც, ამის მაგალითი უკვე გვაქვს ჩვენი ბლოკის სახით“

90-იანი წლების
თბილისი



1994 წ. სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია

მხოლოდ ქართველი მოხუცები „ახერხებენ“ 7-9 ლარით ცხოვრებას

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, СНГ-ს ქვეყნებს შორის სიცოცხლის ხანგრძლივობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი საქართველოშია. ალბათ, იშვიათად მოიძებნება სახელმწიფო, სადაც უფრო ნაკლები იქნება საპენსიო თანხა – მხოლოდ ქართველი მოხუცები „ახერხებენ“ 7-9 ლარით ცხოვრებას.

„კვირის პალიტრა“ №22, 1996 წ.

საქართველოში ეროვნულმა ვალუტამ დაიდო ბინა

1992 წლის მიწურულს რუსეთმა, პრაქტიკულად, შეაჩერა საქართველოსთვის ბანკნოტების გამოგზავნა. ასეთ ვითარებაში საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, შემოეღო დროებითი ფული – კუპონი (1993 წლის აპრილი). კუპონის შემოღებისას თავიდანვე დაშვებული იყო შეცდომა – მთავრობამ, პარალელურად, მიმოქცევაში დატოვა რუსული რუბლი, რის გამოც კუპონი განწირულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. საბოლოოდ, მთავრობა იძულებული გახდა, ეროვნული ბანკიდან აეღო სესხები და ამის საფუძველზე გაეწია ხარჯები. ამიტომ აღწევდა1993-1994 წლებში ინფლაცია საშუალოდ, 50-70%-ს, ხოლო პური მხოლოდ ტალონებზე იყიდებოდა. იმ პერიოდში პენსია ამერიკული 10 ცენტის ეკვივალენტს, ხოლო საშუალო ხელფასი – 1,5 აშშ დოლარს შეადგენდა.

1995 წელს ლარმა კუპონი ჩაანაცვლა

1995 წელს უკვე შესაძლებელი გახდა ჰიპერინფლაციის მოთოკვა და 2 ოქტომბერს მიმოქცევაში შემოვიდა ქართული ეროვნული ვალუტა – ლარი. ქართულმა ლარმა არა მხოლოდ კუპონი, არამედ რუსული რუბლიც ჩაანაცვლა. ლარის პირველი პარტია საფრანგეთში დაიბეჭდა, საფრანგეთშივე მოიჭრა ქართული „თეთრები“.

„კვირის პალიტრა“ №7, 1996 წ.

დევნილობა ტრაგედიაა და არა პრივილეგია

თბილისში, მეტროს გამოსასვლელებთან პატარ-პატარა დახლებზე თითქმის ერთნაირი, უცხოური პროდუქცია ალაგია – სიგარეტი, საღეჭი რეზინი, შოკოლადი... პირდაპირ ქუჩაში იყიდება წამლები, წვრილმანი საოჯახო ნივთები, ტანსაცმელი, ფქვილი, შაქარი, კვერცხი... ნაგავსაც ვერსად გაექცევით... მეტროდან გამოსულს აჭრელებული დახლები უთქმელად და უბოდიშოდ გთავაზობენ – იყიდე!

ყოველ დახლს თავისი მეპატრონე ჰყავს. გამყიდველები კი დაქირავებული არიან. აქეთ-იქით ჩარიგებული მენვრილმანეები ჩივიან, რომ ისედაც დაჩაგრულ დევნილებს პოლიციაც დევნის.

– ყოფილა შემთხვევა, რომ ყველაფერი წაურთმევიათ. დაწერენ აქტს, ხელს მოგვაწერინებენ, რომ კანონს ვარღვევთ და ცარიელს გვიშვებენ, ან ყოველდღიურად ფულს გვძალავენ, – ჩივიან მოვაჭრეები.

აქ თავს ყველა დევნილად ასაღებს, თუმცა, თბილისში სავაჭროდ ზოგი ჭიათურიდან, ზოგიც საჩხერიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულა. მათ შეთქმულებივით ერთი პასუხი აქვთ: – ფულს არ ვიხდით, იმიტომ, რომ დევნილები ვართ და ნება გვაქვს დართული!

გარევაჭრობა არაერთხელ აიკრძალა, მაგრამ დევნილები არანაირ კანონს არ ცნობდნენ. ამიტომ დროებით დევნილებს ვაჭრობის ნება დართეს. ჩვენი დედაქალაქის ხელმძღვანელობა ყველაზე ჰუმანური აღმოჩნდა მათ მიმართ – რადგან დევნილებს დროებით მაინც მიეცათ

გარევაჭრობა არაერთხელ აიკრძალა, მაგრამ დევნილები არანაირ კანონს არ ცნობენ

და-მე-ხმა-რეთ! – ეს შემზარავი სიტყვა ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვესმის...

ვაჭრობის უფლება, იქნებ ღირს დაფიქრება იმაზე, რომ ეს უფლება გაჭირვებულ თბილისელებსაც მიეცეთ საკუთარ ქალაქში? დევნილობა ხომ ტრაგედიაა და არა პრივილეგია. ეს ფაქტი წვრილმან კორუფციასაც მოუღებს ბოლოს, რომელსაც ჩვენი პოლიციის სამმართველოები ან გულუბრყვილოდ არ იჯერებენ, ანდა სპეციალურად ხუჭავენ თვალს.

„კვირის პალიტრა“ №33, 1996 წ.

და-მე-ხმა-რეთ!..

▼

რამდენი დაწერილა და თქმულა ამ უსაშინლესი სოციალური მოვლენის შესახებ, თითქოს რაღაც ნაბიჯებიც კი გადადგმულა, მაგრამ თბილისის ქუჩები, ბაზრები, საზოგადოების თავშეყრის სხვა ადგილები და მათი მიმდებარე ტერიტორიები სავსეა ცხოვრებისაგან გარიყული და ბედით დაჩაგრული ადამიანებით. მათი შემყურე უკვე იმ დონეზეა ჩვენი ფსიქიკა, რომ ყველა ხელგაშვერილი თუ გაჭირვებული ადამიანიც, ლამის მაწანწალათა კატეგორიას მივაკუთვნოთ, რადგან, ხშირ შემთხვევაში, მართლაც ჭირს მათ შორის ზღვარის გავლება.

– დამეხმარეთ!

აი, ის ერთადერთი და შემზარავი სიტყვა, რომელიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვესმის: მეტროში, ტრანსპორტში, ქუჩებსა და მიწისქვეშა გასასვლელებში. ამასთან, უკანასკნელ წლებში ქალაქს ეპიდემიასავით მოედო კარდაკარ მოარული ურიცხვ მათხოვართა, მაწანწალათა და გაჭირვებულთა მოთქმა-მუდარა – დამეხმარეთ!

„კვირის პალიტრა“ №1, 1997 წ.

საქართველოში 800 ტონა უხარისხო ხორბალი შემოიტანეს

1996 წლის ივლისის დასაწყისში ორი ფრანგული ფირმის მიერ საქართველოში შემოტანილი 800 ტ უხარისხო ხორბლისგან გამომცხვარმა პურმა აღაშფოთა თბილისისა და რუსთავის მოსახლეობა. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრთან გამოძახებულმა ფირმების წარმომადგენლებმა დაადასტურეს ხორბლის უვარგისობის ფაქტი. ამის გამო მათ ელით დიდი ჯარიმის გადახდა მორალური და მატერიალური ზარალის საკომპენსაციოდ.

„კვირის პალიტრა" №30, 1996 წ.

მდიდარი ქართველები შემოსავალს მალავენ

„საქართველოში ღარიბებსა და მდიდრებს შორის განსხვავება ცხოვრების დონით 3-4-ჯერ უფრო დიდია, ვიდრე დასავლეთში", – დაასკვნეს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის დეპარტამენტის ექსპერტებმა. მათი გაანგარიშებით საქართველოში ღარიბებს 48-ჯერ ნაკლები შემოსავალი აქვთ, ვიდრე მდიდრებს. იმავდროულად, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ მათ ხელთ არსებული მონაცემები რეალურ სურათს ვერ ასახავენ, რადგან მდიდარი ქართველები შემოსავალს მალავენ.

„კვირის პალიტრა" №12, 1997 წ.

გაყინული თბილისელები ნავთქურებითა და შეშის ღუმელებით თბებოდნენ

უშუქობა – ეროვნული კრიზისი

იმას, რაც დღეს საქართველოს ჰიდროელექტროსადგურებში ხდება, შეიძლება ეროვნული კრიზისი ეწოდოს. ჰიდროელექტროსადგურები 850 მეგავატის ნაცვლად, 250-ს(!) გამოიმუშავებენ. ცნება „ღამის თბილისი", რომელიც ათწლეულების მანძილზე პოეტების, ჟურნალისტების, ჩვენი ქალაქის სტუმრებისა და საერთოდ, თითოეული თბილისელის ცნობიე-

რებასა და შემოქმედებაში ამაღლებულ და რომანტიკულ განწყობასთან იყო გაიგივებული, დიდი ხანია გაქრა. დღეს „ღამის თბილისს", მით უმეტეს, უმთვარო ღამეში, ცნება „წყვდიადის თბილისი" წარმატებით ცვლის...

თუ კარგა ხანს დაჰყოფთ მთაწმინდაზე, თქვენ წინაშე წარმოსდგება საშობაო ნაძვის ხესავით მოციმციმე ჩვენი დედაქალაქი და მოწმე გახდებით ტრაგიკომიკური სურათისა: როგორც კი ჩაქრება ერთი უბანი, ინთება მეორე... მეორე ჩაქრება და ინთება მესამე, ოღონდ ქალაქის სხვა ნაწილში, შემდეგ ყველა ერთად ჩაქრება, კვლავ აინთება და ა.შ. მასმედია ყოველდღიურად ცდილობს, რაღაც დამამშვიდებელი და იმედისმომცემი ინფორმაცია მაინც მიაწოდოს წყვდიადის თბილისის ბინადართ, უფრო სწორად, ჟურნალისტები გამეტებით ცდილობენ ერთი-ორი საიმედო ინფორმაცია მაინც ამოგლიჯონ პირიდან თელასისა და საქენერგოს მესვეურთ და ისინიც, იმის გამო, რომ თქვან რაღაც და ეს ნათქვამიც „მუშაობაში" ჩაეთვალოთ, ათას სისულელესა და ტყუილს იშველიებენ. გაუთავებლად ფიგურირებს მათ ენერგოზეპირმეტყველებაში დამწვარი მე-9 ბლოკი (სანამ დაიწვებოდა, მანამდე ხომ ბროდვეი იყო თბილისი)... გადარჩენილი მე-10 ბლოკი, მწყობრიდან გამოსული მე-3 ბლოკი, რემონტში მყოფი მე-4 ბლოკი, ფიდერები, კაბელები, მაღალი ძაბვის გადამცემები, სეპარატიზმი(!)...

აბუჩად აგდებული ხალხი თუ ახალი წელი

ვერავინ ინატრებდა იმ თბილისელთა ბედს, რომელთაც ახალ, 1999 წლის დამდეგს, 30-31 დეკემბერს, შუქი არ ჰქონდათ და მიაწყდნენ თელასის შენობას, ქვების სროლით, ფურთხებით, დედ-მამის სულის გინებითა და წყევლა-კრულვით აიკლეს იქაურობაც და ხელისუფლებაც...

შეჭირვებული მოსახლეობა ცდილობდა მთელი წლის დანაზოგით საახალწლო სუფრისთვის ხორცი მაინც ეყიდა

გაჭირვებულთ კვლავ მოთმენა მართებთ

„ჭირსა შიგან გამაგრება ისრე უნდა, ვით ქვითკირსა“, – ასეთი სიბრძნით მოვედით დღემდე. ამ სიბრძნის გათვალისწინებით უნდა დავასრულოთ ჩვენი სახელმწიფოებრიობის მშენებლობა“, – აღნიშნა პრეზიდენტმა შევარდნაძემ ქვეყნისადმი თავის საახალწლო მიმართვაში. სწორი ნათქვამია, ოღონდ, რა თქმა უნდა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და გარეშე მტერთან ბრძოლის თვალსაზრისით; ხოლო გაჭირვების ჭირს რომ ნამდვილად ვერ გრძნობენ ვერც საკუთარ ოჯახებსა და ვერც თავიანთ კლანებში კორუმპირებული ჩინოსნები, ესეც ფაქტია...

„ეკერის პალიტრა“ №1, 1999 წ.

მაწანწალები ქალაქს „ეპიდემიასავით“ მოედვნენ

ჩვენი მხსნელი „ბიძია სქოული“

თბილისელების მთელი გულისყური და იმედი თელასის მეპატრონე ფირმისა და მისი სიმპათიური წარმომადგენლისკენ, მაიკლ სქოულისკენ არის მიმართული. ახლა ჩვენი მხსნელი „ბიძია სქოული“ ყველაზე პოპულარული კაცია თბილისში, რომელმაც კარგა ხნის ლოდინის შემდეგ საბოლოოდ გადაინურა იმედი, რომ საქენერგო მიანდიდა თელასს ელექტროენერგიას, მიაფურთხა ეშმაკს და თბილისისთვის ელექტროენერგიის საყიდლად მეზობელ ქვეყნებში დაიწყო „ჩალიჩი“ ეჭვიც არ გვეპარება, რომ ამერიკელები იყიდიან დენს და დანაპირებსაც შეგვისრულებენ – თბილისს 24-საათიანი ელექტროენერგიით მოამარაგებენ, მაგრამ... ვაი, ჩვენი ბრალი, როცა ამერიკულ „სოჩიკებს“ დაგვიყენებენ და ამერიკული „სისასტიკით“ დაინყებენ ისედაც გამოცარიელებული ჩვენი ჯიბეებიდან გადასახადების ამოკრეფას...

მაიკლ სქოული: – არ ვნანობ, რომ საქართველოში ჩამოვედი... ზოგი მთაზე ადის, ზოგიც ანტარქტიდაში მიდის, ჩემი არჩევანი თელასია! ძველი სამსახური იმიტომ დავტოვე, რომ მოწყენილობა იყო, თქვენ წარმოიდგინეთ, უფრო მეტს მიხდიდნენ და კომფორტული კაბინეტიც მქონდა, მაგრამ ცვლილებები და ახლის კეთება სიამოვნებას მანიჭებს. სხვათა შორის, მთაზე მეც ავდიოდი ხოლმე... სანამ მწვერვალზე ახვალ, დაბრკოლებები გხვდება, ნვერზე რომ დადგები, ყველა უკან მოტოვებული სიძნელე გავიწყდება... ჩემი საქმის წარმატებაში დარწმუნებული ვარ!

„ქეირის პალიტრა“ №4, 1999 წ.

მაიკლ სქოული: „ზოგი მთაზე ადის, ზოგიც ანტარქტიდაში მიდის. ჩემი არჩევანი თელასია“


წლიური ინფლაციის
დონე საქართველოში
%
200
150
100
50
0
162.7
39.4
7.1
3.6
19.2
4.0
1995
1996
1997
1998
1999
2000
ნელი


საქართველოს
სახელმწიფო
ბიუჯეტი
(ლარი)
562.856
690.411
752.147.2
922.500
695.115.5


დაქირავებით დასაქმებულთა
საშუალო თვიური
ნომინალური ხელფასი
საქართველოში
₾
80
60
40
20
0
13.5
29.0
42.5
55.4
67.5
72.3
1995
1996
1997
1998
1999
2000
ნელი


დაბადებულთა
56 341
55 000
54 000
51 526
48 695
48 800
30 000
40 000
50 000


₾
1,200,000
1,000,000
800,000
600,000
400,000
200,000
0
შემოსავალი
ხარჯები
805,556
880,403
930,547,2
1,231,900
992,567


ᲞᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲗᲐ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ
49 073
47 961
47 575
47 321
47 184
47 410


ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ
ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲘᲡ
ᲡᲐᲐᲠᲡᲔᲑᲝ
ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛᲘ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ
(ᲚᲐᲠᲘ)
₾
120
100
80
60
40
20
0
97.88
93.78
89.13
101.94
100.85
1996
1997
1998
1999
2000
ᲬᲚᲘ

მკითხველის კურიოზები

მოგეხსენებათ, 90-იანი წლები ნეგატიური მოვლენებით იყო დატვირთული, თუმცა, ამ ძნელბედობის ჟამს მკითხველი ცდილობდა ხალისი არ დაეკარგა და მოსმენილი თუ თავს გადახდენილი კურიოზებით სხვაც გაემხიარულებინა...

„ჩამო, შე უსაქმურო“

თბილისში გახურებული მიტინგის ხანა დგას. მთავრობის სახლის წინ სახელდახელო ტრიბუნაზე ერთმანეთს ენაცვლებიან ორატორები. ხალხი სუნთქვაშეკრული მისჩერებია ერთ-ერთ ახალგაზრდას, რომელიც ბაქიბუქობს: ბაქოდან ბენზინს შემოვიტანთ, კანადიდან – პურს და ა.შ. ისეთ დაპირებებს იძლევა, გული გაგინათდება. ხალხში ერთი ჭარმაგი კაცი დგას, თვალს არ აშორებს, ცოტა ხნის შემდეგ ჩუმად ჩაილაპარაკა, – წადი, შე უქნარა. აქეთ-იქიდან მოხედეს, ერთმა ვითომ შემთხვევით მხარიც გაჰკრა. არ ისვენებს კაცი და აგრძელებს, – ჩამო, ჩამო, შე უსაქმუროო... ახლა კი შეუტიეს, – ენა ჩაიწყვიტეთ, აცალეთ, თქვენ რა იცით,

რისი მაქნისიაო.

– შვილია ჩემი, ბატონო, მოხარშულს ვიცნობ, პირველი სართულიდან პური ვერ ამოუტანიაო...

პოლკოვნიკებიც ამოდით!

საქართველოში უცხოელი სამხედრო ექსპერტი ჩამოვიდა. მასთან შესახვედრად დიდ დარბაზში ქართველმა მაღალჩინოსანმა სამხედროებმა მოიყარეს თავი. უცხოელს არ ეჭაშნიკა ამდენი ხალხი, თანაც უმეტესად ახალგაზრდები რომ იყვნენ, და განაცხადა, – ეს სამხედრო შეხვედრა კონფიდენციალურია, ამიტომ მხოლოდ უმაღლესი წოდების ოფიცრები, ადმირალი, გენერლები და პოლკოვნიკები უნდა დაესწრონო. ეს რომ ქართულად უთარგმნეს ქართველ ოფიცრებს, ერთ-ერთი სამხედრო ფანჯარას მიადგა და ეზოში მდგომთ გასძახა: ბიჭებო, პოლკოვნიკებიც ამოდითო!

ნახევარ საათში დარბაზი ისე გაიჭედა, ნემსის ჩასავარდნი ადგილი არსად იყო.

* 90-იანი წლების დასაწყისში სამხედრო წოდების მინიჭება ძალიან ადვილი იყო. ბევრი ახალგაზრდა სამხედრო უცებ გენერალიც კი ხდებოდა.

დელიკატესი

ჩვენს რაიონში (იქნებ სხვაგანაც) დიდ დელიკატესადაა მიჩნეული, უკაცრავად და... ცხვრის ყვ...ბი, თუ ვინმეს ძალიან გინდა ასიამოვნო, შემწვარ- მოხრაკული მიართვი და შენია ის კაცი...

ერთხელ ყვიბისის რესტორანში შევედით. თან ორი სტუმარი გვახლდა. ერთ-ერთმა თავი მოიკლა, – გინდა თუ არა, მე უნდა დაგპატიჟოთო.

– აბა, – თავმომწონედ მიმართა მიმტანს, – რა გაქვთ კარგი?

– ხასიათი, ბატონო – იყო პასუხი.



– ცხელი რა გაქვთ?
– ყვ...ბი, ბატონო!
მოკლედ, იქ ამბავი დატრიალდა, მტრისას და ავისას!..

რომელია აქ კარლო?

ერთ-ერთი კვლევითი ინსტიტუტის ოთახში ვსხედვართ თანამშრომლები, ყველა თავის საქმეს ჩალრმავებია. ვართ ხუთი ქალი და ერთი მამაკაცი – კარლო. ვილაც ფრთხილად აკაკუნებს – მობრძანდით, გავეცით ხმა. კარი გაიღო, ჯერ თავი შემოყო, მერე თვითონაც

შემოყვა. აწურულმა კაცმა მოათვალიერა ოთახი და – რომელია აქ კარლოო, იკითხა... სიცილი წაგვსკდა და – მე, ბატონოო, უთხრა ქალმა.

„ვთქვაა?“

კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ სადადგმო პროექტის დაცვა მიმდინარეობს. მომავალ ფილმზე ლაპარაკობს დამდგმელი რეჟისორი პავლე ჩარკვიანი. კინოსტუდიის დირექტორს, ბატონ რეზო ჩხეიძეს, ეტყობა, დაავინყდა ფილმის სათაური და რეჟისორს ეკითხება, რა ჰქვია მომავალ ფილმსო?

პ. ჩარკვიანი – ვთქვაა?
რ. ჩხეიძე – თქვი!
პ. ჩარკვიანი – ვთქვაა?
რ. ჩხეიძე – ჰო, თქვი!
პ. ჩარკვიანი – ვთქვაა?
რ. ჩხეიძე (გაბრაზებით) – რამდენჯერ უნდა გითხრა, თქვი და მორჩი!
პ. ჩარკვიანი – ვთქვაა? – ასე ჰქვია, ბატონო რეზო, ფილმს.



მამა, ჩუმად!

ჩემი ნათესავი გულიკო და მამამისი მიდიოდნენ დასავლეთ საქართველოში მატარებლით. კუპეში დახვდათ ორი უცნობი მგზავრი: ქალი და ახალგაზრდა მამაკაცი. გულიკოს მამამ ძილში ხვრინვა იცოდა და ძილის დროს სხვა მგზავრები რომ არ შენუხებულიყვნენ, გულიკომ რამდენჯერმე შეუძახა – მამა, ჩუმადო.

შემდეგ გულიკოსაც ჩაეძინა. შუაღამისას რაღაც ხმამ გამოაღვიძა. თვალები გაახილა და რას ხედავს: უცნობი მამაკაცი წამომჯდარიყო და ქალის წვრილი ხმით – მამა, ჩუმადო, – ეძახდა გულიკოს მამას.

ოტია იოსელიანი: „პურის ნატეხისთვის სხვის ხელში შეჩერებულმა ხალხმა არ შეიძლება თავისუფლებას მიაღწიოს“

„მიწაზეა აგებული ქვეყანა სხვა ყველაფერი – ზედნაშენია“

ოტია იოსელიანი, *მწერალი*: „სამშობლო ისეთი მევახშეა, ვერასოდეს მისი ვალიდან ვერ ამოხვალ“ ჩემი ცხოვრება კი ჰგავს გაქცევას, მაგრამ მე არსად გავქცეულვარ, რა უფლება მაქვს, ან სად წავიდე. იქ ვარ, სადაც უნდა ვიყო. სავარძლებში რომ სხედან და აქცევენ ქვეყანას, იმათ ახლოს ვერ ვივარგებ. „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო“, ხომ ამბობს რუსთაველი, თან განმარტავს, „კარგისა მამაცისაგანო“ გაქცევა ყოველთვის არ არის სიმხდალე, არ უნდა გაჩერდე იქ, სადაც შენი ადგილი არ არის.

მიწა საფუძველთა საფუძველია. მიწაზეა აგებული ქვეყანა, სხვა ყველაფერი – ზედნაშენია. ეკონომიკა არის „პური ჩვენი არსობისა“ თუ პური არ გაქვს, მათხოვრად ივლი, ხელგაშვერილი, რავარც ქე დავდივართ, ისე. მათხოვარი არაფერს ქმნის, თან ჩვენ რაცხა სხვანაირი მათხოვრები ვართ. ამერიკას ვეხვეწებით, რაღაცა მოგვეციო და აგერ, ჩვენთან ჩამოსულ ამერიკის ელჩს ისეთი სუფრა გაუწყვეს, კაცი, ალბათ, იმას ფიქრობდა, აქედან რა წავიღოო.

ამ მიწაზე არის ყველაფერი. შენ უნდა მოიწიო შენი სარჩო. შრომა არ უნდა გეთაკილებოდეთ, დამოუკიდებელი სახელმწიფო დამოუკიდებელი ადამიანებისაგან უნდა შედგებოდეს. პურის ნატეხისთვის სხვის ხელში შეჩერებულმა ხალხმა არ შეიძლება თავისუფლებას და კეთილდღეობას მიაღწიოს“

„როგორმე სული უნდა შევინარჩუნოთ“

თამაზ ჭილაძე, *მწერალი:* „ბედნიერება ის არის, რომ ღმერთმა ადამიანს მისცა უნარი: უკიდურეს გაჭირვებასა და სიღატაკეს არ ემოქმედა მის სულზე.

ძალიან ძნელია, მაგრამ როგორმე სული უნდა შევინარჩუნოთ, მით უმეტეს, რომ დღეს ყველაზე საშინელ დღეში მას ვაყენებთ... ლაპარაკია კორუფციაზე. კორუფციასთან ბრძოლაც დღეს კორუფციის ერთ-ერთ სახეობად იქცა. წინათ ამას ეშმაკისათვის სულის მიყიდვა ერქვა... ე.ი. დღეს სული საქონლად ვაქციეთ... არ მინდა, მძაფრი და კატეგორიული ვიყო, ვინმეს შეჩვენება ჩემი საქმე არ არის, მაგრამ ის, რომ ხალხი ასეთ დღეშია, უბრალოდ, დაუშვებელია. მე ვლაპარაკობ შეციებულ, მშიერ, ქუჩაში გამოყრილ ხალხზე, 300 ათას ლტოლვილზე. ეს ხალხი, პირველ რიგში, ადამიანურ ცხოვრებას იმსახურებდა. თავისუფლება ადამიანურ ყოფასთან ერთად უნდა მოვლენოდათ. ახლა აღარც თავისუფლები ვართ ბოლომდე: როცა უნდათ, გაზს გადაგვიკეტავენ, როცა უნდათ, შუქს გამოგვირთავენ. ჩვენი უზარმაზარი მიწები ოკუპირებულია: აფხაზეთი და სამაჩაბლო... ვიდრე ეს ასეა, ყოველი ჩვენგანის თავისუფლებაზე ლაპარაკი ზედმეტია. დღეს მთელი საქართველო ლტოლვილად არის ქცეული. მეც ისევე ვარ, როგორც სოხუმიდან და ცხინვალიდან გამოქცეული.



თამაზ ჭილაძე: „...მთავარია, აღმოაჩინო თავისუფლება შენს თავში“

ილია ამბობდა: „თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი“... ხომ უნდა ვიცოდეთ, სად არის ეს „ნავთსაყუდარი“, რომ იქითკენ მივილტვოდეთ... ჩვენმა სულმა ხომ უნდა მიაგნოს მას... ამისთვის ხომ უნდა გვქონდეს „ფრთები“, რომელსაც ხელოვნება და კულტურა გვანიჭებს... მთავარია, აღმოაჩინო თავისუფლება შენს თავში“

მარჯანიშვილის თეატრიდან 35 მსახიობი გაათავისუფლეს

მარჯანიშვილის თეატრში დაწყებულმა კონფლიქტმა 1996 წლის 5 ივლისს კულმინაციას მიაღწია, როცა თეატრიდან გათავისუფლებულმა 35 მსახიობმა ორი საათით გადაკეტა მარჯანიშვილის ქუჩა. აქცია მაშინ შეწყდა, როცა მათთან მიბრძანდნენ კულტურის მინისტრი და სხვა ოფიციალური პირები. გადაწყდა, რომ 8 ივლისს მარჯანიშვილის თეატრში გაიმართება საერთო კრება, სადაც თეატრის ხელმძღვანელობას მოუწევს საჯაროდ დასაბუთება იმ მიზეზებისა, რისთვისაც დაატოვებინეს თეატრი მსახიობებს.

„კვირის პალიტრა“ №27, 1996 წ.

„ქვეყანა ელიტამ უნდა მართოს!“

გიორგი შენგელაია, *კინორეჟისორი*: „მედროვე არასოდეს ვყოფილვარ და ყოველთვის მარადიული პრობლემები მიზიდავდა. შეიძლება ჩემი ფილმი სუსტი ყოფილიყო, მაგრამ არასოდეს – კონიუნქტურული. ყოველთვის ქართული პრობლემები მაინტერესებდა და ჩემი შემოქმედებაც ყოველთვის იყო უპირველესად ქართული. სხვანაირად არც შეიძლებოდა: მე ხომ ნატო ვაჩნაძისა და ნიკოლოზ შენგელაიას შვილი ვარ. ჩემმა ბავშვობამ ისეთ გარემოში გაიარა, სადაც ყოველდღიურად ვხვდებოდი გოგლა ლეონიძეს, უშანგი ჩხეიძეს... ხელოვანი ყოველთვის რეაგირებს დროზე. ჩემი ბოლო ნამუშევარიც სწორედ ამის მაგალითია, თუნდაც, „კომპოზიტორის მოგზაურობაში“ მინდოდა მეთქვა, რომ ტრაგედიაა, როდესაც პლებსი ფლობს ხელისუფლებას. იგივე აზრია გატარებული „ორფეოსის სიკვდილშიც“ სოციალიზმის უმთავრესი მინუსი ის კი არ იყო, რომ მან წარმოების საშუალებები გააერთიანა, არამედ ის, რომ დაინგრა საუკუნეებით ჩამოყალიბებული ბიოლოგიური და ისტორიული სტრუქტურა საზოგადოებისა. მე არ ვამტკიცებ, რომ აუცილებლად წოდებრივი, ანუ თავადაზნაურული ელიტა უნდა არსებობდეს, მაგრამ ყველგან და ყოველ დროში საზოგადოებაში ყალიბდებოდა ელიტა. ეს არის ინჟინერია, პოლიტიკური მოღვაწეები, განათლების მუშაკები.

გიორგი შენგელაია: „მთავრობის უუნარობის შედეგია ის, რაც დღეს ასე აშკარად გეცემათ თვალში“

დღევანდელ ხელისუფლებას ვერ აქვს კარგად გააზრებული ეს პრობლემა. ის მხოლოდ რაღაც სადღეისო პოლიტიკის გატარებას უნდება. ტრანზიტების გამოყენება, ჩემი ღრმა რწმენით, ერის აბსოლუტურ გადაგვარებას მოასწავებს. უშრომელი ფული კაცისათვის დაღუპვის ტოლფასია. შრომა იგივე კულტურაა და, თუ ხალხი შრომას გადაეჩვია, რომელ კულტურაზე შეიძლება ლაპარაკი?

სწორედ მთავრობის უუნარობის შედეგია ის, რაც დღეს ასე აშკარად გეცემათ თვალში. აეროპორტიდან თბილისში მომავალ გზაზე რესტორნებისა და ავტოგასამართი სადგურების გაუთავებელი რიგი – აი, სახე დღევანდელი თბილისისა და ე.ი. დღევანდელი საქართველოსიც“

„კვირის პალიტრა“ №27, 1996 წ.

„მე ლუდის გაყიდვას ვერ დავიწყებ“

ბუბა კიკაბიძე, *მომღერალი, მსახიობი*: „მე პროფესიით მსახიობი ვარ და ლუდის გაყიდვას ვერ დავიწყებ. როცა მოსკოვიდან თბილისში ჩამოვედი, დაიწყეს ჩვეული ლაყაფი: „ჩვენ აქ უშუქოდ ვართ, ბუბა იქ სიმღერით დადისო. მაშინ ჩავკვდეთ, ძმაო, და ვთქვათ, რომ აღარ არსებობს საქართველო, აღარც ქართველი კაცი“.

„კვირის პალიტრა“ №9, 1997წ

ბუბა კიკაბიძე: „ჩავკვდეთ, ძმაო, და ვთქვათ, რომ აღარ არსებობს საქართველო“

„მე არ ვარ დემოკრატიის მომხრე“

გოგი ქავთარაძე, *რეჟისორი, მსახიობი:* „ყველაზე დამთრგუნველად ჩემზე სიცივე მოქმედებს. თუ მცივა, მუშაობას ვერ ვახერხებ. როგორც მხარჯველ კაცს, უფულობაც ძალიან მაწუხებს, მაგრამ იმედი მაქვს, ეს ყოველივე დროებითია. ადამიანმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ღირსება არ დაკარგოს. სიცივესა და შიმშილში ხდება კაცის გამოცდა. მიკვირს, საიდან გაუჩნდა ასეთი გულგრილობა, კომფორტისადმი სწრაფვა ქართველს. გაგვიჭირდა თუ არა, მყისვე შევჭამეთ, გავძარცვეთ, დავაბეზღეთ, დავამცირეთ ერთმანეთი.

რატომ მოხდა ასე? ალბათ, ყველაფრის მიზეზი სოციალისტურ წყობაში უნდა ვეძებოთ. მან გაგვაზარმაცა, გული გამოგვაცალა, ზედმეტად გაგვანებივრა. მოკლედ, სოციალიზმი ჩვენს გადასაგვარებლად ყოფილა გამოწერილი.

...დემოკრატიის დასაცავად დიქტატურას გამოვიყენებდი, დიქტატურას არა როგორც თვითმიზანს, არამედ დემოკრატიის გარანტს. მე არ ვარ დემოკრატიის მომხრე საქართველოში (ამ ეტაპზე მაინც), რადგან გული მტკივა, რომ თბილისი დღეს ერთ-ერთი ბინძური ქალაქია, იმიტომ, რომ სიმკაცრე არ არის – ნებისმიერს შეუძლია ცენტრალურ ტრასაზეც კი მოისროლოს ნაგავი... რომელ დემოკრატიაზეა ლაპარაკი, როცა კომუნისტების დროს უფრო ადვილად შევიდოდით ცეკას პირველ მდივანთან, ვიდრე ახლა, თუნდაც რომელიმე თანამდებობის პირთან. შუქიც გვქონდა და გათბობაც. ჩემი აზრით, სსრკ არ უნდა დაშლილიყო... 15 რესპუბლიკა უნდა გაერთიანებულიყავით და რუსეთისთვის ჩვენი ულტიმატუმები წაგვეყენებინა. რუსეთის პრიმატი უნდა მოშლილიყო და კონსტიტუციის კანონებით გვემოქმედა. მაშინ ვიქნებოდით 15 თანასწორუფლებიანი რესპუბლიკის გაერთიანება. ვისურვებდი, 15-20 წლის შემდეგ გადავხედო ჩემ მიერ მოცემულ ინტერვიუებს და არ შემრცხვეს...“

„კვირის პალიტრა“ №9, 1998 წ.

გოგი ქავთარაძე: „შუქიც გვქონდა და გათბობაც. ჩემი აზრით, სსრკ არ უნდა დაშლილიყო...“

თემურ ჩხეიძე: „უძრაობა საქართველოში ბევრად ადრე დამთავრდა, ვიდრე დანარჩენ სსრკ-ში“

„პოლიტიკაში ჩაბმის არავითარი სურვილი არა მაქვს“

...თეატრი, სცენა, კულისები – მაგიური სიტყვებია. ჩვენი შეჭირვებული ყოფის მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრს არ შეუძლია იმ ჯადოქრობის გარეშე არსებობა, რასაც თეატრი ჰქვია. პეტერბურგის გიორგი ტოვსტონოგოვის სახელობის დიდ დრამატულ თეატრში ჩვენი თანამემამულე, რეჟისორი თემურ ჩხეიძე მოღვაწეობს. „აი, ეს არის სპექტაკლი! ბრავო, ჩხეიძე!“ – ისმის მაყურებლის გულწრფელი შეძახილები.

თემურ ჩხეიძე, *რეჟისორი:* „უძრაობა საქართველოში ბევრად ადრე დამთავრდა, ვიდრე დანარჩენ სსრკ-ში. სწორედ იმხანად საქართველოში ჭეშმარიტი შედევრები იქმნებოდა. დიახ, ნუ გიკვირთ, იმ დროს ბევრად დიდი სიძნელეების გადალახვა გვიხდებოდა, ვიდრე დღეს, მაგრამ ბ-ნი ედუარდ შევარდნაძის დიდ დამსახურებად მივიჩნევ, რომ კინოში, თეატრში, მუსიკალურ ხელოვნებაში უდიდეს წარმატებებს ვიხვეჭდით, რითაც დღესაც ვამაყობთ და რითაც წარვუდგენთ თავს მსოფლიოს...

ამბობენ, ხელოვანი მუდამ ოპოზიციურად უნდა იყოს განწყობილი ხელისუფლების მიმართო. ჩემი აზრით, ეს სულაც არ არის აუცილებელი. წარსულის უდიდესი ხელოვანნი – რაფაელი და ლეონარდო სულაც არ ყოფილან ოპოზიციონერები. შესაძლოა, ბევრი რამ არც მომწონს ხელისუფლების საქმიანობაში, მაგრამ იგი კანონიერად არის არჩეული და მეც ვუჭერ მხარს.

ყველას თავისი გზა აქვს. მე პოლიტიკაში ჩაბმის არავითარი სურვილი არა მაქვს, ვერც ვერავის განვსჯი. პოლიტიკოსობა ისეთივე პროფესიაა, როგორიც ნებისმიერი სხვა, მაგრამ ბევრად მძიმე და რთული. ამიტომ პოლიტიკას პოლიტიკოსი უნდა მისდევდეს, პური მეპურემ უნდა გამოაცხოს... ხელოვნებას ნაზიარები ადამიანის სწრაფვა ძალაუფლებისაკენ კი ჩემთვის გაუგებარია და არაბუნებრივად მივიჩნევ“

„კვირის პალიტრა“ №1, 1998 წ.

ბრავო, სლავა როსტროპოვიჩ!

თბილისის მუსიკალური კულტურის ცენტრში მსოფლიოს უდიდესი ვიოლონჩელისტის მსტისლავ როსტროპოვიჩის კონცერტი 45 წუთის დაგვიანებით დაიწყო. კონცერტს პრეზიდენტი და მისი ამალა ესწრებოდნენ და, ბუნებრივია, სიფრთხილე ზომაზე მეტად გახლდათ დაცული. პოლიციელთა ათმაგ ქამარს ვერც ერთი „ზედმეტი“ მაყურებელი ვერ დაუსხლტა. შეშვება მოსაწვევებით ხდებოდა. ეს მოსაწვევები კი ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა კონსერვატორიის სტუდენტებისათვისაც კი, ანუ მათთვის, ვისაც მაესტრო წინასწარ შეხვედრებზე უფასოდ შეშვებას დაპპირდა...

გენიალურ მაესტროს თბილისის საპატიო მოქალაქის ნოდება მიენიჭა

ცენტრის შესასვლელთან 50-მდე პოლიციელი დგას (შიგნით – ორი ამდენი). შემსვლელებს ჩხრეკენ და საკმაოდ საფუძვლიანადაც(?!). კარებთან მუსიკოსი სტუდენტები წუხან. პოლიცია შესაშურად აქტიურობს. სტუდენტებმა ბევრი იცადეს თუ ცოტა, პირველი განყოფილებაც დასრულდა! შეიძლება მაესტრო დაამშვიდეს კიდეც, – შემოვუშვით სტუდენტებიო!

ახალგაზრდა მუსიკოსებმა ქუჩაში ერთსულოვანი „სლავა, სლა-ვა-ა!" წამოიწყეს, მერე მეტი სიზუსტისათვის „როს-ტრო-პო-ვიჩ-როს-ტრო-პო-ვიჩ"-ზე გადავიდნენ, მაგრამ უშედეგოდ!

გენიალური მაესტრო, რომელსაც საქართველოსთან არა მხოლოდ წმინდა მუსიკალური კონტაქტები აქვს, განსაკუთრებით მოიხიბლა კონსერვატორიის განახლებული დიდი საკონცერტო დარბაზითა და თბილისის მუსიკალური ცენტრის შენობით.

ბატონი როსტროპოვიჩი საქართველოს ამჯერად განსაკუთრებული მისიით ეწვია – პატივი მიაგოს მის სათაყვანებელ ქართულ კულტურას. მაესტრომ მონაწილეობა მიიღო კონსერვატორიის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოზე.

„ახლა იწერება ისტორია და ამ ისტორიის ერთი ფურცელი თქვენი ჩამობრძანება იქნება!" – განუცხადა მუსიკოსს საქართველოს პრეზიდენტმა. უდიდეს ვიოლონჩელისტს მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება, გადაეცა სიმბოლური გასაღები და დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით"

„კვირის პალიტრა" №47, 1998 წ.

„არანაირ შეზღუდვას არ ვგრძნობ რუსეთში“

„სადაც უნდა ვიყო, რა დონის კონცერტსაც უნდა ვმართავდე, ყოველთვის ვამთავრებ სიმღერით თბილისზე“, – ბრძანა ქალბატონმა ნანი ბრეგვაძემ. ასე იყო სულ ახლახან, ამერიკაში გასტროლებზე, ასე იყო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, რომელმაც მორიგი სეზონი ქართული ესტრადის უცვლელი და განუმეორებელი მშვენების – ნანი ბრეგვაძის დიდი კონცერტით გახსნა.

ნანი ბრეგვაძე: „ყველა კონცერტს ვასრულებ სიმღერით თბილისზე“

ქალბატონმა ნანიმ დიდი ხანია წესად დარგო – უცხოეთში უსათუოდ მღერის „სულიკოს“

ნანი ბრეგვაძე, *მომღერალი:* – გამოგიტყდებით, ყველაზე მეტად თბილისურ მსმენელთან შეხვედრისას ვღელავ. ახლაც ღამეები არ მეძინა. მე ხომ ყოველთვის ჩემი ადგილი მქონდა სცენაზე და არ მინდა ვინმემ თქვას, – ნუთუ ეს ნანიაო?!

„ორერასთან“ ერთად მსოფლიო შემოვიარე. ჩვენს რეპერტუარში იყო სიმღერა ყველა ქვეყნის ენაზე. არანაირ შეზღუდვას არ ვგრძნობ რუსეთშიც. აქ კი თითოეული დეტალი უზარმაზარ მნიშვნელობას იძენს – იმედია, ახალგაზრდობისათვის მოსაწყენი არ ყოფილა ჩემი კონცერტი. მათ აზრს განსაკუთრებით ვაფასებ...

ქალბატონ ნანის ხშირად იწვევენ ჟიურის შემადგენლობაში, კონცერტებზე, საიუბილეო საღამოებზე, ხშირად ეს ყველაფერი ენთუზიაზმის ხარჯზე ხდება. მას არ ჰყავს იმპრესარიო, ძირითადად, მუშაობს მოსკოვში. საქართველოს ბედი აწუხებს, თუმცა, ოპტიმისტია და მომავალს მაინც იმედით შეჰყურებს.

„კვირის პალიტრა“ №9, 1999 წ.

„ჩემი თბილისი მუდამ ჩემთანაა...“

თეატრისა და კინოს მსახიობის, ოლეგ ბასილაშვილის სახელს კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოება. აგერ, უკვე 40 წელია, ოლეგ ბასილაშვილი პეტერბურგის ტოვსტონოგოვის სახელობის დიდ დრამატულ თეატრში მოღვაწეობს.

ოლეგ ბასილაშვილი, *მსახიობი:* – თბილისთან ბევრი რამ მაკავშირებს. უამრავი ნათესავი მყავს იქ. სამწუხაროდ, ხშირად ვერ ვსტუმრობ საყვარელ ქალაქს. უკანასკნელად 1991 წელს ვიყავი და იქ გატარებული დღეები უბედნიე-

რესია ჩემთვის... ახლა კი – რა ნევის ნაპირები და რა – მტკვრისა, ისე შეიცვალა იქაც და აქაც ყველაფერი... მაგრამ ჩემი თბილისი მუდამ ჩემთანაა... თბილისი თეატრალური და კინოხელოვნების მძლავრი კულტურული კერაა. ძალზე მადლიერი ვარ დიდებული ვერიკო ანჯაფარიძის, დოდო ალექსიძის, ჩემი მეგობრის – რამაზ ჩხიკვაძის, რომელსაც ჩემს მასწავლებლად მივიჩნევ. ეს ადამიანები ორიენტირად უნდა გყავდეს ცხოვრებაში, უნდა ცდილობდე, მათ გაუსწორდე, მათი ღირსი იყო. ქართულ კინოზე როგორ არ ვთქვა ორიოდ სიტყვა – „ქართული ფილმის" მარკით გამოსულმა ფილმებმა ხომ საყოველთაო სიყვარული და ზღვა ჯილდოებისა დაიმსახურა. როგორ ვოცნებობდი რეჟისორ ოთარ იოსელიანთან გადაღებაზე, ელდარ შენგელაიასთან...

მერაბ სეფაშვილი: „არჩევნებში ჩემს საკუთარ ხმას ვერ შეველევი – ვერავის დავუთმობ!"

„კვირის პალიტრა" №1, 1998 წ.

„დრო მოვა, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მუსიკაც იტყვის თავისას"

ამბობენ, როცა ზარბაზნები ქუხან, მუზები დუმანო! ჩვენში ყველაფერი პირიქით ხდება და ერთადერთი, რაც არათუ ტოლს არ უდებს უკიდურესად გამძაფრებულ პოლიტიკურ ვნებათაღელვებს, არამედ სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რამდენადმე აჭარბებს კიდეც – ხელოვნება გახლავთ. საარჩევნო სპექტრის მრავალფეროვნებას დედაქალაქის საკონცერტო აფიშის მდიდარი პალიტრა ეცილება. და მაინც, მუსიკალურ მოვლენათა ეპიცენტრს ამჟამად მერაბ სეფაშვილი წარმოადგენს. მერაბს იცნობენ არა მხოლოდ როგორც უნიჭიერეს მომღერალს, არამედ როგორც ღრმად ქართული მენტალიტეტის კაცს. ცნობილია მისი ფრაზა: არასოდეს არსად წავალ, საქართველოს იქით არ მემღერებაო!

მერაბ სეფაშვილი, *მომღერალი:* – არჩევნებში ჩემს საკუთარ ხმას ვერ შეველევი – ვერავის დავუთმობ! ვის მხარეზე ვარ, ამას, ჯერჯერობით, საიდუმლოდ ვინახავ... ერთი კი ფაქტია – დღეს საქართველოს ბედი წყდება. ერთმანეთის მიმართ ლმობიერები, კეთილმოსურნენი უნდა ვიყოთ.

დრო მოვა, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მუსიკაც იტყვის თავისას... მაგრამ ახლა არასასიამოვნო ტენდენციაა – იარლიყების მიკერება მომღერლებზე, მაგრამ აქ ერთი მომენტი უნდა გავითვალისწინოთ – რომ არ ჩაატაროს იმ მომღერალმა ის კონცერტი, რა უნდა აჭამოს შვილს?!

„კვირის პალიტრა" №41, 1999 წ.

ნინო ანანიაშვილი

ნინო ანანიაშვილი – 1997 წლის ქალბატონი

ამერიკულმა ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა, რომელიც გამოსცემს კრებულს **WHO IS WHO** (ვინ ვინ არის) კლასიკური ხელოვნების დარგში გაწეული ღვაწლისთვის ნინო ანანიაშვილი 1997 წლის ქალბატონად აღიარა.

„კვირის პალიტრა“ №52, 1998 წ.

...პირველად იყო სიმღერა

XX საუკუნეს ხშირად და ბევრს საყვედურობენ... ქართულ მუსიკას, მით უფრო, საესტრადოს, ჩვენს საუკუნესთან საპრეტენზიო ნამდვილად არაფერი აქვს.

საუკუნის მიწურულს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ფესტივალის საზეიმო დახურვა-დაჯილდოების ცერემონიალი და გალა-კონცერტი.

დასახელდნენ გამარჯვებულები ხუთ ნომინაციაში:

1. **XX საუკუნის საუკეთესო თანამედროვე მუსიკოსის წოდება მიენიჭა გოგი დოლიძეს.** მსმენელმა ის ერთხმად, უკონკურენტოდ დაასახელა.

ეს გარემოება განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ჩვენი რედაქციისთვის, ვინაიდან **„კვირის პალიტრის“ გამოკითხვა-რეიტინგში გოგი დოლიძის ნამღერს – „ქართველების ერთად ყოფნა დამილოცე, ღმერთო!“ – პირველი ადგილი ხვდა წილად.**

XX საუკუნის საუკეთესო ქართული სიმღერის პრიზი „კვირის პალიტრამ“ გოგი დოლიძის მშობლიურ კოლექტივს, **ანსამბლ „ქართულ ხმებს“** გადასცა.

2. „ქართულმა ხმებმა“ მოიპოვა **XX საუკუნის საუკეთესო სიმღერის ნომინაცია სიმღერისთვის – „გაზაფხული შემოსულა, ლენ!“**

3. **საუკუნის ყველაზე პოპულარულ ანსამბლად დასახელდა „ორერა“.**

4. **საუკუნის კომპოზიტორად აღიარებულ იქნა რევაზ ლაღიძე.**

„აღიარება? – რა უნდა ჩაითვალოს აღიარებად? სიმღერა თბილისზე? მაგრამ მე ხომ მას მხოლოდ ორი საათის განმავლობაში ვწერდი, რა, მთელი დანარჩენი დრო არ ითვლება? არ არის სწორი. ალბათ, უფრო მართალი ის იქნება, რომ ვთქვა – ვქმნიდი მთელი სიცოცხლე და ორი საათის განმავლობაში მხოლოდ ვიწერდი...“ – ვკითხულობთ **რევაზ ლაღიძის ჩანაწერში.**

5. **საუკუნის მომღერლის წოდება მიენიჭა ქალბატონ ნანი ბრეგვაძეს.**

ქართული ესტრადის განვითარებაში განსაკუთრებული ღვაწლისათვის პრიზი გიორგი ცაბაძის ოჯახს გადაეცა.

რეიტინგში – **საუკუნის სიმღერის გამოსავლენად, ხმების უმეტესობა მოიპოვა ვარინკა წერეთლის „სულიკომ“**

„კვირის პალიტრა“ №43, 1999 წ.

ქინქლაძე – სეზონის აღმოჩენა

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის ჩემპიონატი ჯერ მხოლოდ სანახევროდ დასრულდა, სეზონის აღმოჩენად ყველა ერთხმად მიიჩნევს „მანჩესტერ სიტის“ ქართველ ლეგიონერ გიორგი ქინქლაძეს!

„კვირის პალიტრა“, 1996 წ.



გიორგი ქინქლაძე

ღირსეული მარცხი

1996 წლის 9 ოქტომბერი ისტორიულია ქართული ფეხბურთისთვის. ამ დღეს საქართველოს ნაკრებმა პირველი მატჩი გამართა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში. იტალიასთან გასვლით მატჩს უამრავი კითხვისთვის უნდა გაეცა პასუხი. „სპორტ-ექსპრესი“ წერს: „მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ, რომელმაც ქართველთა ღირსეული მარცხი დააფიქსირა – 1:0, სტუმარმა მოთამაშეებმა თავზე ხელი იტაცეს. მათ მართლაც ჰქონდათ გაწბილების მიზეზი. მეორე ტაიმში საქართველოს ნაკრებმა მნიშვნელოვან უპირატესობას მიაღწია მსოფლიოს ერთ-ერთ გრანდთან მისსავე მოედანზე. თუ ჩივაძის შეგირდები იმავე დონეზე ითამაშებენ, როგორც პერუჯაში, ჯგუფიდან გასვლის ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტები იქნებიან“.

„კვირის პალიტრა“, 1996 წ.

გიორგი კანდელაკი

კანდელაკი მსოფლიო ჩემპიონია

1997 წელს, უნგრეთში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე, ქართველმა მოკრივე გიორგი კანდელაკმა მძიმე წონაში ოქროს მედალი მოიპოვა. დამოუკიდებელი ქართული სპორტის ისტორიაში ეს მსოფლიო ჩემპიონის პირველი ტიტულია!

„კვირის პალიტრა", 1997 წ

საქართველო-პოლონეთი – 3:0
მარჯვნივ: მიხეილ ყაველაშვილი, შუაში: თემურ ქეცბაია

პოლონეთი დაიჩაგრა... ყიფიანი გადადგომას აპირებს

საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ბოლო მატჩი ჩაატარა პოლონეთის ეროვნულ გუნდთან და ის თამაში, რომელსაც მთელი ორი წლის განმავლობაში ამაოდ ველოდით, სწორედ ბოლო მატჩში აჩვენა. მეორე ტაიმში ჩვენებს თითქმის ყველაფერი გამოსდიოდათ და ის სამი უპასუხო გოლი, რომელიც საქართველოს ნაკრებმა მეტოქეს გაუტანა, სრულად ასახავს ძალთა თანაფარდობას.

ამ მოგებით საქართველოს ნაკრებმა ფიფას რეიტინგშიც აიმაღლა ადგილი და კიდევ ერთი გოლი რომ გაეტანა, ჯგუფში მესამე ადგილსაც გამოვკრავდით ხელს. პოლონელებთან მატჩში კი ვნახეთ ულამაზესი გოლები, გრძელი თუ მოკლე პასები, ფლანგიდან გარღვევები... ჩინებულად ითამაშეს მეკარე ტოგონიძემ, კახა ცხადაძემ, გიორგი ნემსაძემ. არველაძეებმა წელს უდავოდ საუკეთესო მატჩი ჩაატარეს, როგორც ყოველთვის, საუკეთესო იყო ქეცბაია და თითქმის ყველა შეტევა მისგან იწყებოდა...

ივნისში ნაგებული მატჩის რევანში შედგა, თამაშის წინადღეს კი ცნობილი გახდა, რომ ეს მატჩი უკანასკნელი იქნებოდა დავით ყიფიანისთვის მთავარი მწვრთნელის რანგში...

„კვირის პალიტრა", 1997 წ.

საუკუნის სპორტსმენთა ვინაობა გაირკვა

ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ქართული სპორტის სხვადასხვა დროის უთვალსაჩინოესმა წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი – ჩვენი ქვეყნის XX საუკუნის საუკეთესო ათლეტთა ვინაობა უნდა დაესახელებინათ.

საუკეთესო გუნდად 1981 წლის თბილისის „დინამო“ აღიარეს. მეორე და მესამე ადგილები მოჭადრაკე ქალთა და 1962 წლის თბილისის „დინამოს“ კალათბურთელ გუნდებს ერგო.

ქართული სპორტის საუკუნოვანი ისტორიის საუკეთესო სპორტსმენ ქალთა შორის ჟიურიმ მოჭადრაკე, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი ცნო. მეორე ადგილი ნინო სალუქვაძეს ერგო, მესამე – ნინო დუმბაძეს.

საუკეთესო სპორტსმენი მამაკაცის მესამე და მეორე ადგილები ბეჭდაუდებელ ფალავნებს – ლევან თედიაშვილს და გივი კარტოზიას ერგოთ. **მამაკაცთა შორის საუკეთესოდ კი ჟიურიმ სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი – ვიქტორ სანეევი მიიჩნია.**

„კვირის პალიტრა“ №43, 1999 წ.

სამბოს ჩემპიონატზე ქართული ჰიმნი აჟღერდა

მადრიდის მახლობლად სამბოში 1999 წლის პირად-გუნდური ჩემპიონატი ჩატარდა – 62-კილოგრამიან წონით კატეგორიაში მამუკა კურდღელაშვილმა მეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული...

„კვირის პალიტრა“ №49, 1999 წ.

საუკეთესო სპორტსმენ ქალთა შორის ჟიურიმ ჩვენი სასიქადულო მოჭადრაკე, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი – ნონა გაფრინდაშვილი ცნო



პირველი ქართული კოსმოსური ანტენა

ხორციელდება ქართული კოსმოსური პროგრამა

1999 წლის 23 ივლისს ბაიკონურის კოსმოდრომიდან სტარტი აიღო და დედამიწის ორბიტაზე გავიდა რუსეთის კოსმოსური ხომალდი „პროგრესი", რომელიც 18 ივლისს კოსმოსში მყოფ სადგურ „მირს" შეუერთდა. „პროგრესმა" „მირზე" პირველი ქართული კოსმოსური კონსტრუქცია, კერძოდ, სპეციალური ანტენა მიიტანა და საგულისხმოა, რომ სადგურზე მყოფი ორი რუსი და ერთი ფრანგი კოსმონავტი ბოლო დღეების მანძილზე ქართულ-რუსული კოსმოსური პროგრამის შესრულებაზე მუშაობდნენ.

„კვირის პალიტრა" №30, 1999 წ

მეოცე საუკუნის შავი ჭირი

1999 წლის 20 ნოემბრისათვის საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებულია შიდსის ვირუსით ინფიცირების 105 შემთხვევა.

ინფიცირებულთაგან 14 ქალია, 91 მამაკაცი, მათგან 28-ს უკვე განუვითარდა შიდსი, 18 გარდაიცვალა, აივ-ინფიცირებულთაგან 71 ინტრავენური ნარკომანია, 30 ადამიანი დაავადდა სქესობრივი გზით, მათგან 5 – ჰომოსექსუალური, 25 – ჰეტეროსექსუალური კონტაქტით. სისხლის გადასხმით 3 კაცი დაინფიცირდა, მათგან 1 საზღვარგარეთ გაკეთებული ქირურგიული ოპერაციის დროს.

2 პირის ინფიცირების გზები უცნობია. ასევე რეგისტრირებული იყო 5 უცხოელი მოქალაქე, რომლებიც ამჟამად დეპორტირებული არიან.

აღნიშნული 105 შემთხვევა არ ასახავს საქართველოში აივ-ინფექციის (შიდსი) გავრცელების რეალურ დონეს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტთა შეფასებით, დღეს საქართველოში რეალურად 2 000-მდე აივ-ინფიცირებული და შიდსით დაავადებულია.

მათივე პროგნოზით, თუ ახლავე არ იქნა მიღებული გადამჭრელი ზომები, მათი რიცხვი 2005 წლისათვის 20 000-მდე გაიზრდება.

რაც შეეხება მსოფლიო სტატისტიკას, 1998 წლის მონაცემებით, მსოფლიოში ეპიდემიის დაწყებიდან დღემდე უკვე 33,4 მილიონი ადამიანია აივ-ინფიცირებული, მათ შორის 2,7 მილიონი ბავშვია. 13,9 მილიონი ადამიანი უკვე გარდაიცვალა. ყოველდღიურად აღირიცხება ინფიცირების 16 000 ახალი შემთხვევა, ყოველწლიურად – 5 მილიონამდე, წუთში – 5 ახალგაზრდა.

ერთი საგულისხმო ფაქტიც: 10 ინფიცირებულიდან 9-მ არ იცის, რომ ინფიცირებულია.

„კვირის პალიტრა“ №29, 1999 წ.

სენსაციური აღმოჩენა დმანისში

1999 წელს ქართველი და გერმანელი არქეოლოგების ერთობლივმა ექსპედიციამ დმანისის რაიონში, 3 მეტრის სიღრმეში ცხოველების ჩონჩხთან ერთად, მოულოდნელად აღმოაჩინა ადამიანის თავის ქალა. დამუშავების შემდეგ გაირკვა, რომ იგი ეკუთვნოდა უძველეს ადამიანს. ეს უნიკალური აღმოჩენა შესაძლებლობას იძლევა, დავასკვნათ, რომ კავკასიის რეგიონი მნიშვნელოვანი საკვანძო მაგისტრალი იყო უძველეს დროში. მეცნიერების აზრით, არ არის გამორიცხული, რომ კავკასიის რეგიონში გარკვეულწილად მიმდინარეობდა უძველესი ადამიანის ფორმირება თანამედროვე ადამიანად.

„კვირის პალიტრა“ №32, 1999 წ.

დმანისის რაიონში გათხრებისას ცხოველების ჩონჩხთან ერთად არქეოლოგები მოულოდნელად ადამიანის თავის ქალას წააწყდნენ

იოანე-პავლე II-ის ვიზიტი საქართველოს ხელისუფლებამ კავკასიის ქრისტიანული ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენად შეაფასა

საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ დატოვა მსოფლიო ეკლესიათა საბჭო

1997 წლის 20 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გამართულმა წმინდა სინოდის კრებამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია განუდგა ეკუმენიზმს და დატოვა მსოფლიო ეკლესიათა საბჭო.

„კვირის პალიტრა“ №21, 1997 წ.

საქართველოს რომის პაპი ესტუმრა

1999 წლის ნოემბერში საქართველოს რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაური ეწვია. ორი დღის განმავლობაში იოანე-პავლე II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ქვეყნის იმჟამინდელ პრეზიდენტს და ინტელიგენციის წარმომადგენლებს შეხვდა და სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში იმყოფებოდა. რომის პაპის მიერ თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარებულ ლიტურგიაზე დასასწრებად საქართველოში კათოლიკეები რამდენიმე ქვეყნიდან ჩამოვიდნენ, თუმცა, საგულისხმოა ისიც, რომ ღვთისმსახურებას მხოლოდ კათოლიკეები არ დასწრებიან. იოანე-პავლე II-ის ვიზიტი საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ კავკასიის ქრისტიანული ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენად შეაფასა.

„კვირის პალიტრა“ №46, 1999 წ.

1996 წლიდან „კვირის პალიტრამ“ მკითხველს ახალი რუბრიკა შესთავაზა – საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი, სადაც მკითხველი ასახელებს ყველაზე მნიშვნელოვან

ფაქტებს, მოვლენებს, ადამიანებს

1996 წ.

მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი მოღვაწეები: სტალინი, ლენინი, ჩერჩილი.

XX საუკუნის უდიდესი გამოგონება: კოსმოსური ხომალდი, კომპიუტერი, პენიცილინი.

1997 წ.

XX საუკუნის ქალი: მარგარეტ ტეთჩერი, დედა ტერეზა, მერილინ მონრო.

უდიდესი მხედართმთავრები: მაკედონელი, ნაპოლეონი, დავით აღმაშენებელი.

მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენები: პელე, მაიკლ ჯორდანი, მუჰამედ ალი.

საუკეთესო უცხოური ფილმების სამეული: „ერთხელ ამერიკაში“, „რომაული არდადეგები“, „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“.

საუკეთესო ქართული ფილმები: „მონანიება“, „უძინართა მზე“, „ქეთო და კოტე“

საუკეთესო უცხოელი წყვილები: ალენ დელონი და რომი შნაიდერი, ჯონ და ჟაკლინ კენედები, ფედერიკო ფელინი და ჯულიეტა მაზინა.

საუკეთესო ქართველი წყვილები: რეზო თაბუკაშვილი და მედეა ჯაფარიძე, ილიკო სუხიშვილი და ნინო რამიშვილი, კახი კავსაძე და ბელა მირიანაშვილი.

შესანიშნავი მსახიობი (მამაკაცები): ჩარლი ჩაპლინი, ალენ დელონი, მარჩელო მასტროიანი.

შესანიშნავი მსახიობი (ქალები): მერილინ მონრო, სოფი ლორენი, ელიზაბეტ ტეილორი.

სამი ყველაზე კორუმპირებული უწყება საქართველოში: საბაჟო, პოლიცია, საგადასახადო ინსპექცია.

მკითხველთა 83%-მა განაცხადა, რომ საქართველოში **ადამიანთა უფლებები დაცული არ არის.**

„მხედრიონის“ მოღვაწეობა 76%-მა უარყოფითად შეაფასა.

1998 წ.

წლის მოვლენა მსოფლიოში: მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში, ერაყის დაბომბვა, ფინანსური კრიზისი რუსეთში.

წლის ადამიანი საქართველოში: შალვა ნათელაშვილი, მიხეილ სააკაშვილი, ედუარდ შევარდნაძე.

წლის ადამიანი მსოფლიოში: ბილ კლინტონი, ზინედინ ზიდანი, მონიკა ლევინსკი.

1999 წ.

წლის მთავარ მოვლენად მკითხველმა რუსეთ-ჩეჩნეთის ომი დაასახელა.

საბჭოთა პერიოდის ყველაზე ეროვნული მოღვაწეები: ვასილ მჟავანაძე, ჯუმბერ პატიაშვილი, ლავრენტი ბერია.

ყველაზე პატიოსანი პოლიტიკოსები: ნოდარ ნათაძე, რეზო შავიშვილი.

სამართლიანები: მიხეილ სააკაშვილი, მამუკა გიორგაძე.

პატრიოტები: ზვიად გამსახურდია, ირაკლი წერეთელი.

ეროვნული ღირსების ყველაზე მეტად შემლახველი ფაქტები: ლტოლვილების არსებობა საკუთარ მიწაზე, ქართველი მათხოვრები, დაძაბულობა ცენტრსა და აჭარას შორის.

ყველაზე დიდი სპორტული წარმატება: 1981 წლის თბილისის „დინამოს“ გამარჯვება.

ქართველებისთვის ყველაზე საამაყოა: გმირული წარსული, კულტურული მემკვიდრეობა, გეოგრაფიული მდებარეობა.

საუკუნის მოაზროვნე: ფარდობითობის თეორიის ავტორი – ალბერტ აინშტაინი.

საუკუნის სექსსიმბოლო ქალი: მერილინ მონრო; მამაკაცი: ალენ დელონი.

საუკუნის მკვლელობა: ჯონ ლენონის მკვლელობა.

საუკუნის ადამიანი: ილია ჭავჭავაძე.

„თესეთ სიკეთე და სიყვარული... იმედი მიეცით ხალხს...“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ XX საუკუნის მიწურულს „კვირის პალიტრას“ ინტერვიუ მისცა და საქართველოს მოსახლეობას 2000 წლის მოახლოება და ქრისტესშობის დიდებული დღესასწაული მიულოცა: *„მინდა გისურვოთ მშვიდობა, ჯანმრთელობა, სიხარული, ღვთის სათნო ცხოვრება“.*

უწმინდესმა „კვირის პალიტრაც“ დალოცა და წარმატება უსურვა: *„სიტყვას დიდი ძალა აქვს. საგაზეთო მასალები უნდა იყოს ცოდნის გამაღრმავებელი, ხალხისთვის სარგებლობის მომტანი, ემსახუროს ქვეყნის წინსვლასა და სულიერ აღორძინებას“.*

ილია II: – ჩვენს წელთაღრიცხვას სათავე უდიდესმა მოვლენამ, ძე ღვთისას – იესო ქრისტეს განკაცებამ დაუდო. ეს იყო კაცობრიობის ისტორიაში გრანდიოზული გარდატეხის დასაწყისი. ამ დროიდან ცოდვით დაცემული ადამის მოდგმისათვის გაიხსნა ზეცის კარები და ათიათასობით მართალთა და მოწამეთა სულნი მარადიულ ნეტარებას ეზიარნენ. 2000 წელია, ეს კარი ღიაა და უფლის უდიდესი წყალობა მსოფლიოს ეძლევა. ამდენივე წელია, ბოროტმაც ახალი მეთოდებით დაიწყო ადამიანთა სულების მონადირება. წარმოიშვა ჭეშმარიტების პრეტენზიის მქონე რელიგიები. თვით ქრისტეს ეკლესიას არაერთი ნაწილი ჩამოშორდა და ახალ მიმართულებას დაუდო სათავე. იყო ამა თუ იმ მიზეზით გაჩაღებული მძვინვარე ომები, საზოგადოების სხვადასხვა ფენათა მკვეთრი დაპირისპირება. ყოველივე ამან მილიონობით ადამიანი იმსხვერპლა და შეინირა, მაგრამ იმას, რაც განვლილ ორ საუკუნეში მოხდა, თავისი მასშტაბითა და სულიერი დამანგრეველი ძალით ვერაფერი შეედრება – ვგულისხმობ უღმერთობის ხანის დადგომას.

თუ XXI საუკუნეში კაცობრიობას სიცოცხლე უნერია, იგი რელიგიური ნიშნით იქნება გამორჩეული...

11 წლის განმავლობაში ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი გახლდით და ყველა პრობლემა, რაც მასთან არის დაკავშირებული, ჩემთვის განსაკუთრებით მტკივნეულია. ძალიან მანუხებს სამაჩაბლოს საკითხიც. სავსებით ცხადია, რომ ეს ყველაფერი საქართველოს მთლიანობას უკავშირდება და ჩვენგან გარკვეული ნაბიჯების გადადგმას ითხოვს.

მე მიმაჩნია, რომ იმ წერილებმა მაშინ ძალიან დიდი როლი შეასრულეს ინფორმაციული ვაკუუმის გასარღვევად. თავდაპირველად, მსოფლიო ვერ გაერკვია შექმნილ სიტუაციაში და ჩვენ მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდით...

ეკლესიათა მეთაურებმა და რელიგიურმა გაერთიანებებმა საქართველოს ეკლესიის პოზიციას მთლიანად მხარი დაუჭირეს და სათანადო აზრი შექმნეს თავიანთ სამრევლოებში. მსოფლიო პატრიარქის მკვეთრი პოზიციის გამო კი შეჩერდა ათონის მთაზე მდებარე რუსული მონასტრიდან აფხაზეთში ჩასული სასულიერო პირების მიერ ჩვენი ეკლესია-მონასტრების დაკავება. თვითონ რუსეთის პატრიარქმაც არაერთხელ აღიარა ჩვენი საზღვრების უცვლელობა... არ არის არც ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა, როგორც რუსეთის, ისე დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლებთან, რომ ჩვენ არ ვეხებოდეთ ამ საკითხს. ვცდილობთ, დავარწმუნოთ ყველა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მშვიდობიანი და სამართლიანი გზით არის მოსაგვარებელი და იგი დროულად უნდა გადაწყდეს. საქართველოს ეკლესია, ჩვენი სამღვდელოება მზადაა პირველივე შესაძლებლობისთანავე შევიდეს აფხაზეთში და სულიერად დააპუროს იქ მცხოვრები თავისი სამწყსო. ინებოს ღმერთმა, მალე მოხდეს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა...

თესეთ სიკეთე და სიყვარული, იმედი მიეცით ხალხს და დაეხმარეთ, გადაიტანონ ჩვენი მძიმე დროის გამოცდა. თქვენი გაზეთის მეშვეობით 2000 წლის მოახლოება და ქრისტესშობის დიდებული დღესასწაული მინდა მივულოცო საქართველოს მთელ მოსახლეობას. ვუსურვო მშვიდობა, ჯანმრთელობა, სიხარული და ღვთის სათნო ცხოვრება.

იხარეთ ორივე სოფელსა შინა!

„კვირის პალიტრა“ №52, 1999 წ.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II: „იხარეთ ორივე სოფელსა შინა“

კახა დვალიშვილის („ნიუტონას“) დღიურები — ამონარიდები ლია ტოკლიკიშვილის წიგნიდან: „როცა ისინი, მკვდრები, იღვიძებენ“.

ფოტომასალა:
საქართველოს ეროვნული არქივი

„კვირის პალიტრის“ არქივი

სერგო ედიშერაშვილი
ჯემალ კასრაძე

1995-2000 წლების სტატისტიკური მონაცემები მოგვანოდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

სარედაქციო კოლეგია
გიორგი თევდორაშვილი
ნათია გორდელაძე
ნინო დეკანოსიძე
ნუცა დუმბაძე
თინა მარგველაშვილი
მანანა ჯანელიძე
ნანა ანტონოვა-ილურიძე
სალომე ნიკოლეიშვილი
ლელა ჯიყაშვილი
ირაკლი ალადაშვილი

კორექტორები:
ნინო ბიძინაშვილი
მარინა ინანიშვილი

პროექტის მენეჯერი
ირმა ხარშილაძე

დიზაინერი
ლაშა გიორგაძე

მხატვარი
ზურა ნიკოლაიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ნატალია ახვლედიანი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
თამარ ქიტუაშვილი
დათო მოსიაშვილი

© გამომცემლობა პალიტრა L, 2014
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. 49

238-38-71

book@palitra.ge

www.palitral.ge

ISBN 978-9941-21-810-1 (ყველა ტომისთვის)
ISBN 978-9941-21-811-8 (ტომი I)